

**სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანაცვებულებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2025, №4-6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2025, №4-6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2025, №4-6

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2025, №4-6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის მიზნები და სახეები

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ბრალის აღიარების მიმართ არათანმიმდევრული პოზიცია გამორიცხავს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის შესაძლებლობას 5

დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირის ვინაობის გაუმჟღავნებლობა გამორიცხავს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის შესაძლებლობას 16

2. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის გამკაცრება 22

3. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა აღსრულდეს მსჯავრდებულის მიმართ არსებულ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით შეფარდებულ და მოუხდელ სასჯელზე 32

კერძო ნაწილი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლიდან (დაზარალებულის იძულება, ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისათვის, როცა ამას ერთვის მისი მოკვლის მუქარა) იმავე კოდექსის 11¹, 150-ე მუხლზე (იძულება, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) 45

2. ეკონომიკური დანაშაული

ქურდობა 60

3. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება 68; 76

ნარკოტიკული საშუალების გასაღება 120

- 4. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ**
 ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება,
 გასაღება ან გამოყენება, ძირითად დანაშაულთან ერთად
 დამატებითი დანაშაულის შემადგენლობას ქმნის 129
- 5. დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების
 საპროცესო წესის წინააღმდეგ**
 მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის
 მიერ ცრუ ჩვენების მიცემით 146

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

- გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და
 მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 161
- გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და
 მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა
 საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით 175
- გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და
 მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა
 საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ელი ნაწილით 190

სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის მიზნები და სახეები

**ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ბრალის აღიარების
მიმართ არათანმიმდევრული პოზიცია გამორიცხავს
საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის
შესაბამისად დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად
ჩათვლის შესაძლებლობას**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 1224აპ-24

28 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
ნ. სანდოძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 26 ივნისის განაჩენით გ. დ-ი ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მისამართზე: დ-ოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით და 128-ე მუხლით – ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ; განსაცდელში მიტოვება, ესე იგი დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად, როდესაც მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება.

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემ-

დეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2022 წლის 7 მაისს, სალამოს საათებში, დ-ოს რაიონის სოფელ ქ-ში, სოფელ ა-ს მიმართულებით, დაახლოებით, 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი „გაზ-53“ (სახელმწიფო ნომრით – ...), რომელსაც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავდა მძღოლი – გ. დ-ი. იმავე დროს აღნიშნულ სავალ ნაწილს მარჯვნიდან მარცხნივ კვეთდა ქვეითი კ. რ. მოძრაობისას გ. დ-მა დაარღვია „საგ ზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეეჯახა ქვეით კ. რ-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

2022 წლის 7 მაისს, სალამოს საათებში, დ-ოს რაიონის სოფელ ქ-ში, სოფელ ა-ს მიმართულებით, დაახლოებით, 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი „გაზ-53“ (სახელმწიფო ნომრით – ...), რომელსაც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავდა მძღოლი – გ. დ-ი. იმავე დროს, აღნიშნულ სავალ ნაწილს მარჯვნიდან მარცხნივ კვეთდა ქვეითი კ. რ. მოძრაობისას გ. დ-მა დაარღვია „საგ ზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეეჯახა ქვეით კ. რ-ს. გ. დ-ს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მისი წინარე ქმედების შედეგად კ. რ. აღმოჩნდა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად (გადასარჩენად), ამასთანავე, გ. დ-ს ევალებოდა მისი დახმარება და შეეძლო კიდევ. მიუხედავად აღნიშნულისა, იგი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან და დაუხმარებლად მიატოვა კ. რ., რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

3. აღნიშნული ქმედებებისათვის გ. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; აქედან, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა – სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; სსკ-ის 128-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და გ. დ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; აქედან, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა – სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულს სასჯელი აეთვალა 2024 წლის 26

იენისიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 8 მაისიდან იმავე წლის 17 მაისის ჩათვლით.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. პროკურორმა მიხეილ კუპრაშვილმა მოითხოვა მსჯავრდებულ გ. დ-ისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

5. ადვოკატმა მ. ქ-ემ შესაგებლით მოითხოვა გ. დ-ის მიმართ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 26 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 13 სექტემბრის განაჩენით გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 26 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. კასატორი – პროკურორი მიხეილ კუპრაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, გ. დ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით, 128-ე მუხლით და უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

8. მსჯავრდებულ გ. დ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ქ-ე შესაგებლით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარე ითხოვს გ. დ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 128-ე მუხლით მკაცრი სასჯელის განსაზღვრას. ამდენად, დავის საგანს არ წარმოადგენს გ. დ-ის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაულების ჩადენა. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში (მსჯავრდების ნაწილში) თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა.

3. საკასაციო სასამართლოს, პირველ რიგში, დადასტურებულად მი-

აჩნია, რომ 2022 წლის 7 მაისს, სალამოს საათებში, დ-ოს რაიონის სოფელ ქ-ში, სოფელ ა-ს მიმართულებით ავტომობილი „გაზ-53-ით“ მოძრაობდა, ნასვამი გ. დ-ი შეეჯახა ქვეით კ. ჩ-ს. გ. დ-ი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან და დაუხმარებლად მიატოვა კ. ჩ., რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ამომწურავად არის მითითებული იმ ფაქტორივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც, სასამართლომ სარწმუნოდ დადგენილად მიიჩნია გ. დ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილითა და 128-ე მუხლით მისთვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაულების ჩადენა, რაც ცალსახად დადასტურებულია ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. ხ-ის, მოწმეების: ვ. ხ-ის, დ. ლ-ის, თ. ხ-ის, ი. ი-ის, ზ. ჩ-ის ა. ლ-ის, გ. კ-ისა და სხვათა ჩვენებებით, ალკოტესტით შემოწმების შედეგით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღების ოქმებით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, ექსპერტიზების დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებზეც სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ამომწურავად იმსჯელა და რომლებიც ქმნიან უტყუარ და საკმარის ერთობლიობას გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

5. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის შეფარდებულ სასჯელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით –

მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

6. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ „აუცილებელია, სასჯელი ადეკვატურად შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს. იმ პირობებში, როდესაც სასჯელის სიმკაცრე ამკარად აჭარბებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ეჭვქვეშ დგება დაწესებული სასჯელისა და მისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული დამოკიდებულება. ამკარად მცდარი და არაგონივრული სასჯელი ზედმეტად შორდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

7. სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელი მსჯავრდებულისათვის ჩადენილი დანაშაულის გაანალიზების ეფექტურ ბერკეტს უნდა წარმოადგენდეს, ამასთან, უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი. მოსამართლე როგორც კონკრეტული სასჯელის სახის, ისე – მისი ზომის შერჩევისას ხელმძღვანელობს იმპერატიულად განერილი სამართლებრივი ნორმებითა და განსახილველი საქმის ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851, „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში.... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია: როდესაც საკითხი ეხება ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების განხორციელებას, მთლიანი სამართალწარმოება, მათ შორის – სასამართლო განხილვა, უნდა აკმაყოფილებდეს პოზიტიური

ვალდებულების მოთხოვნებს, კანონის ძალით იქნეს დაცული ადამიანთა სიცოცხლე. მაშინ, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ ყოველი ბრალდების საქმე დამთავრდეს პირის მსჯავრდებით ან კონკრეტული სასჯელის დანიშვნით, ეროვნული სასამართლოები არ უნდა იყვნენ განწყობილი იმისთვის, რათა დაუშვან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაუსჯელად დატოვება. სასამართლოს ამოცანა, შესაბამისად, შემოიფარგლება იმის განხილვით, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასამართლოებმა თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სათანადო ყურადღება გამოიჩინეს და რომ სასამართლოს, როგორც შემაკავებლის როლი და ამ როლის ის მნიშვნელობა, რაც მას ეკისრება სიცოცხლის უფლების დარღვევების პრევენციაში, არ შერყეულა (იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე – *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, no. 25091/07, §242; *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, no. 50375/07, § 84).

9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით – სამ წლამდე, ხოლო სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით – ერთ წლამდე, ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით – ას ოციდან ორას ორმოც საათამდე, ან შინაპატიმრობით, ვადით – ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა – ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ გასაჩივრებული განაჩენით გ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით (ისევე, როგორც დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ დანიშნული სასჯელი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 4 წელი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით, სსკ-ის 128-ე მუხლით კი მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

11. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გ. დ-ს განუსაზღვრა სასჯელი საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული მინიმალური ხანგრძლივობით, რაც დანაშაულის ჩადენის ვითარების, გ. დ-ის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია).

12. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ გ. დ-ი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულებს, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არ არის ნასამართლევით და მის მიმართ პირველად უნდა იქნეს გამოყენებული სისხლისსამართლებრივი სანქცია, მის მიერ ჩადენილია როგორც მძიმე კატეგორიის გაუფრთხილებლობითი, ისე – განზრახი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, ასევე – დამნაშავის რესოციალიზაციის და სამართლიანობის პრინციპი, საქმეში გამოკვლეული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

13. ამასთან, ბრალდების მხარე სასჯელის გამკაცრების მოთხოვნის დასაბუთებისთვის არ უთითებს რაიმე მტკიცებულებაზე/ინფორმაციაზე, რაც არ იყო/არასათანადოდ იყო შეფასებული სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განაჩენში და ადასტურებს დანიშნული სასჯელის უსამართლობას, რის საფუძველზეც, სასამართლოს ექნებოდა დანიშნული სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – გამკაცრების შესაძლებლობა.

14. საკასაციო სასამართლო გ. დ-ის მიერ ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროების და ხასიათის, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მართლსაწინააღმდეგო შედეგის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და წარსულის გათვალისწინებით, ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ზომის შესახებ (მინიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთა). სასამართლო, ერთი მხრივ, ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ. ხ-ის პოზიციასაც გ. დ-ის მკაცრად დასჯის თაობაზე. იმავდროულად, სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ დაზარალებულის პოზიცია ავტომატურად ვერ გახდება სასჯელის გამკაცრების საფუძველი, ვინაიდან „სასჯელის დაკისრება, თავისი ბუნებით, არ არის უფლება, რომელიც შეიძლება/უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანების მოთხოვნების, სურვილების შესაბამისად. სასჯელის სიმძიმე ყოველთვის ვერ იქნება დაზარალებულის გამოხატული ემოციის პროპორციული. სასჯელი უნდა იყოს რეალურად ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, დაფუძნებული როგორც ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, ისე დანაშაულის ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N№1/8/594 განწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართვე-

ლოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23). ამასთან, ზიანის ანაზღაურება და დაზარალებულთან შერიგება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და სასჯელზე გავლენას ახდენს შემსუბუქების თვალსაზრისით, ხოლო საწინააღმდეგო მოცემულობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს ზიანის ანაზღაურებლობა ვერ მიიჩნევა დამამძიმებელ გარემოებად (მაგალითისთვის, იხ. სუსგ: №295აპ-22, №354აპ-22). სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (სუსგ: №51აპ-19, №389აპ-21, №432აპ-22).

15. ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მსჯავრდებულ გ. დ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს კუმულაციურად შემდეგი გარემოებების არსებობა: ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ დანაშაულის აღიარება (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე); დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეების დასახელება და თანამშრომლობა გამოძიებასთან (მაგალითისთვის: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №305აპ-21).

16. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ზოგადი წუხილი მომხდარი შემთხვევის გამო, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, ვერაფრით შეუმსუბუქებს მას ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, ვერ შეუწყობს ხელს, განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენა სხვა არაფერია, თუ არა დაზარალებულის სამართლიანი დაკმაყოფილება მსჯავრდებულისათვის ადეკვატური, სამართლიანი სასჯელის განსაზღვრით, განსაკუთრებით ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომლებსაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა და სასამართლოს, დარღვეული უფლების ხარისხის მხედველობაში მიღებით, კიდევ უფრო მეტად მართებს, გულდასმით მოეკიდოს დაზარალებულისათვის მიყენებულ ზიანს და თავი შეიკავოს არაგონივრული ღმობიერებისაგან.

17. სასამართლო ითვალისწინებს, რომ გ. დ-ი როგორც წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, ისე – არსებითი განხილვისას აღიარებდა მხოლოდ ფაქტს (და არა – ბრალს) და იყენებდა დუმილის უფლებას, ხოლო,

სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ, საბოლოო სიტყვის ეტაპზე თავი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში (იხ. სხდომის ოქმი), რაც ვერ შეფასდება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შელავათის გამოყენების წინაპირობად (მაგალითისთვის იხ. სუსგ: №444აპ-23, №878აპ-22).

18. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლას იმპერატიულად უკავშირებს ამავე ნაწილით დადგენილი ზემოაღნიშნული სა-მის წინაპირობის არსებობას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული შელავათის გამოყენებისას, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, მით უფრო, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ბრალის აღიარების მიმართ არათანმიმდევრული პოზიციის შემთხვევაში.

19. შესაბამისად, სასამართლო კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, მსჯავრდებულ გ. დ-ის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის – პირობით მსჯავრად ჩათვლა, რის გამოც, აღნიშნულ ნაწილში უნდა შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 სექტემბრის განაჩენი.

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიერ ჩადენილმა დანაშაულმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას სასამართლოს წინაშე თანხმობას არ აცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია. საქმეში წარმოდგენილია დაზარალებულის უფლებამონაცვლის – მ. ხ-ის – განცხადება, რომელიც ითხოვს გ. დ-ის მკაცრად დასჯას. დაცვის მხარეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია რაიმე ინფორმაცია დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციის ცვლილების შესახებ და არც მისი თანხმობა გ. დ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით გათვალისწინებული შელავათის გავრცელების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გ. დ-ს ამნისტიის საფუძველზე შეუმციროს დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 13 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. დ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით – 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და გ. დ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებულს სასჯელი აეთვალოს ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2024 წლის 26 ივნისიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2022 წლის 8 მაისიდან იმავე წლის 17 მაისის ჩათვლით;

5. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ გ. დ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია;

6. ნივთიერი მტკიცებულებები:

თ-გან ამოღებული კ. ჩ-ს ნივთები (ტანსაცმელი, სამი ცალი სატვირთო და ორი ცალი მობილური ტელეფონი), რომელიც დალუქული სახით ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კ-ის დეპარტამენტის დ-ოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს;

გ. დ-ის სისხლის ნიმუში, რომელიც, დალუქული სახით, შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის გადაგზავნილია ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

გ. დ-ისაგან ამოღებული ტანსაცმელი (შარვალი და სვიტერი), ნიმუში, რომელიც დალუქული სახით შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის გადაგზავნილია შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

გ. დ-ისაგან ამოღებული ტანსაცმლის ნიმუში, რომელიც დალუქული სახით შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის გადაგზავნილია შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

გ. დ-ისაგან ამოღებული „გაზ-53“-ის მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ..., რომელიც დალუქული სახით გაჩერებულია სპეციალურ ავტოსადგომზე, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული ანაწმენდი, რომელიც დალუქული სახით ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კ-ის დეპარტამენტის დ-ოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული სათვალე, რომელიც დალუქული სახით ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კ-ის დეპარტამენტის დ-ოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

მ. ხ-ისაგან ამოღებული კ. ჩ-ს ტანსაცმელი (მოსასხამი), რომელიც დალუქული სახით ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კ-ის დეპარტამენტის დ-ოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს;

გ. დ-ის ნერწყვის ნიმუში, რომელიც დალუქული სახით შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის გადაგზავნილია ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

„გაზ-53“ მარკის ავტომანქანიდან (სახელმწიფო ნომრით – ...) ამოღებული „შალითები“ და „ბალიში“, რომლებიც დალუქული სახით შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის გადაგზავნილია შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

„გაზ-53“ მარკის ავტომანქანიდან (სახელმწიფო ნომრით – ...) ამოღებული ანაწმენდები, რომლებიც დალუქული სახით შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის გადაგზავნილია ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს;

კ. ჩ-საგან აღებული სისხლის ნიმუში – განადგურდა კანონით დადგენილი წესით;

დ-ოს რაიონის სოფელ ქ-ში მდებარე, გ. ჩ-ს კუთვნილი მაღაზიიდან

გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერი, ჩანერილი 1 (ერთ) ცალ „DVD-R“ დისკზე, რომელიც დალუქული სახით ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახული იქნას საქმის შენახვის ვადით;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირის პინაოგის
გაუმჟღავნებლობა გამოირიცხავს საქართველოს სსკ-ის 50-
მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად დანიშნული სასჯელის
ნაწილის პირობითად ჩათვლის შესაძლებლობას**

**განაჩენი
საქართველოს სახელმით**

№ 1369აპ-24

19 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. სანდოძე,

ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ ლელა ჭეშმარიტაშვილის და მსჯავრდებულ ჯ. ა-
ის ადვოკატი ი. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასა-
მართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ჯ. ა-ს – ბრალად ედებათა ქურდობა, ესე იგი, სხვისი მოძრავი
ნივთის ფარული დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების
მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შელ-
წევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალის-
წინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში
– საქართველოს სსკ-ის) 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2024 წლის 22 თებერვალს, ღამის საათებში, რ-ში მდებარე, შპს
„ჯ-ის“ კუთვნილ ჯიხურში, ფანჯრის დაზიანების გზით, უკანონოდ შე-
აღწიეს წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად მოქმედმა ჯ. ა-მა და გა-
მოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელმა ერთმა პირმა და ფარულად, მარ-

თლსანინაალმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლნენ მალაზიაში განთავსებულ საკვებ პროდუქციას, ასევე – „ნოკიას“ ფირმის მობილურ ტელეფონს. მითითებული ქმედების შედეგად, შპს „ჯ-ს“ ჯამში მიადგა 690,24 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 21 მაისის განაჩენით, ჯ. ა-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 6 თვით.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 21 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ლელა ჭეშმარიტაშვილმა – მოითხოვა დანიშნული სასჯელის გამკაცრება, ხოლო მსჯავრდებულ ჯ. ა-ის ადვოკატმა – ი. მ-მა – დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენით რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლელა ჭეშმარიტაშვილის და ადვოკატ ი. მ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 21 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

3.3. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ლელა ჭეშმარიტაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს დანიშნული სასჯელის გამკაცრებას. მისი პოზიციით, მსჯავრდებულის ქცევის (თანამშრომლის ვინაობის გაუმჟღავნებლობით სრულყოფილად არ ითანამშრომლა გამოძიებასთან), წარსული ნასამართლობის და დაზარალებულის მხრიდან პრეტენზიის არსებობის პირობებში, გამოყენებული სასჯელით ვერ მიიღწევა საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები.

3.4. მსჯავრდებულ ჯ. ა-ის ადვოკატი ი. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად სასჯელის განსაზღვრას, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით: მსჯავრდებული აღიარებს და გულწრფელად ინანიებს დანაშაულს, მან ნებაყოფლობით ითანამშრომლა გამოძიებასთან და ხელი შეუწყო მტკიცებულებათა მოპოვებას, წარმოდგენილი მტკიცებულებები კი სასამართლოში მიიჩნია უდავოდ, რითაც დაზოგა სასამართლოს რესურსი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლელა ჭეშმარიტაშვილის და მსჯავრდებულ ჯ. ა-ის ადვოკატ ი. მ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ჯ. ა-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრდემარცხილი დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის სამართლიანობა.

3. ჩადენილი დანაშაულისთვის ჯ. ა-ის მიმართ გამოყენებული სასჯელის სამართლიანობის კონტექსტში შემომწებამდე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას სასჯელის მიზნებზე გაამახვილებს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია“. გარდა ამისა, სასჯელის მიზანია დანაშაულის პრევენცია, როგორც სპეციალური, ისე ზოგადი, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს დამნაშავესთვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას, რადგან საკუთარ თავზე დანაშაულის სამართლებრივი შედეგების განცდა, გამაფრთხილებელ ზეგავლენას მოახდენს მის სამომავლო ქცევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ქმედებისთვის პირის დასჯის დემონსტრირებას ექნება შემაკავებელი ეფექტი, დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველის მიმართ.

4. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციამში

... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). მართლმსაჯულების განხორციელება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის № 1/7/851 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

5. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

6. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რითაც სასჯელი დაენიშნა ჯ. ა-ს, უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

7. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად შეაფასა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები და სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი (მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება, მონანიება და მტკიცებულებათა უდავოდ მიჩნევით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულებისთვის ხელშეწყობა), ისე, დამამძიმებელი გარემოებები (განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლობის პირობებში კვლავ განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტი). ამ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს მიერ ჯ. ა-ისთვის დანიშნული სასჯელის სახე და ზომა სრულად შეესაბამება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მის პიროვნებას.

8. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირის ვინაობის გაუმჟღავნებ-

ლობის პირობებში, გამოირიცხება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული მუხლით დადგენილი შეღავათით სარგებლობისთვის კანონმდებელი იმპერატიულად და კუმულაციურად მოითხოვს, რომ ბრალდებულმა (მსჯავრდებულმა) აღიაროს დანაშაული (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), დაასახელოს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეები და ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ კანონიერად უთხრა უარი დაცვის მხარეს სასჯელის შემსუბუქებაზე.

9. ჯ. ა-ისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონს, რომელიც ცალკეული დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის შეღავათს ითვალისწინებს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის (მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულის) მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო, ხოლო, თუ საქმეზე სამართალწარმოება დასრულებულია - თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

10. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შემცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. ა-ის მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს ერთი მეექვსედით, რადგან საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რითაც სასჯელი დაენიშნა ჯ. ა-ს, არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და ამასთან, დასახელებული მუხლი არ ექცევა ამნისტიის ხსენებული კანონის მე-7 მუხლში.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლელა ჭეშმარიტაშვილის და მსჯავრდებულ ჯ. ა-ის ადვოკატ ი. მ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლელა ჭეშმარიტაშვილის და მსჯავრდებულ ჯ. ა-ის ადვოკატი მ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 სექტემბრის განაჩენი:

3. ჯ. ა-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და 7 თვით;

4. ჯ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს პირველი ინსტანციის განაჩენის მიღების დღიდან – 2024 წლის 21 მაისიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებაში ყოფნის დრო – 2024 წლის 22 თებერვლიდან 2024 წლის 25 თებერვლის ჩათვლით;

5. ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს, ხოლო დისკი შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სასჯელის ღანიშვნა

სასჯელის გამკაცრება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№1315აპ-24

23 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. სანდოძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაი-
ონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის საკასაციო საჩი-
ვარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ნ. ნ-ს ... ბრალად ედებოდა:

ა) თაღლითობა, ესე იგი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზ-
ნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შე-
თანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და-
ნაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კო-
დექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-2 ნაწი-
ლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით;

ბ) თაღლითობა, ესე იგი, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზ-
ნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შე-
თანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია,
დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის
მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

1.2. დ. კ-ს ბრალად ედებოდა თაღლითობა, ესე იგი, მართლსაწინა-
აღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუე-
ბით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნე-
ლოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართვე-
ლოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

1.3. გ. მ-ს ბრალად ედებოდა თაღლითობა, ესე იგი, მართლსაწინააღ-
მდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით,

ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

1.4. ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

1.4.1. 2018 წლის შემოდგომაზე, ნ. წ-ი და დ. კ. „ს-თ“ დაუკავშირდნენ გ-ში მყოფ ი. შ-ესა და ნ. მ-ს, რა დროსაც შესთავაზეს სოფელ წ-ში მდებარე, დ. კ-ს სახელზე რეგისტრირებული 6000 კვ/მეტრი მიწის ნაკვეთის გადაფორმება, ქირის ჩათვლის სანაცვლოდ. 2018 წლის შემოდგომაზე, ნაკვეთის გადასაფორმებლად, ვითომდა საჭირო საბუთების მოსაწესრიგებლად, ნ. წ-მა და დ. კ-მა 5000 ლარის ექვივალენტი ევრო მოტოციკლებით ჩაარიცხვინეს ნ. მ-ს და ი. შ-ეს, რაც, ნ. წ-მა გაანაღდა თ-ი, ვ-ი, „ი-ის“ შენობაში, ხოლო აღნიშნული თანხა პირადი მიზნებისთვის მოიხმარა დ. კ-მა. 2021 წლის ჩათვლით, ნ. წ-ი აქტიურად არწმუნებდა ნ. მ-ს, რომ მიწის ნაკვეთს გადაუფორმებდნენ უპრობლემოდ და ამისთვის 2021 წლის 30 დეკემბერს ი. შ-ეს ქ-ი, ჭ-ის ქუჩაზე მდებარე „ს-ის“ ბანკომატიდან ჩაარიცხვინა 2500 ლარი, რაც 2021 წლის 31 დეკემბერს გაანაღდა თ-ი, კ-ში, თუმცა 2019 წლის 25 სექტემბერს ხსენებული მიწის ნაკვეთი დ. კ-ს უკვე გადაფორმებული ჰქონდა სხვა პირზე – გ. ბ-ეზე. აღნიშნული ქმედებით ნ. მ-სა და ი. შ-ეს მიაღვათ მნიშვნელოვანი ზიანი.

1.4.2. 2019 წლის შემოდგომაზე ნ. წ-ი, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, შეუთანხმდა ნ. მ-ს, რომ დაეხმარებოდა მისი სახლის წინ, კერძოდ, თ-ი, ... კორპუსში მდებარე საგარაჟე ფართის დარეგისტრირებაში, რა დროსაც მას დაეხმარებოდა გ. მ-ი და ვინმე ლ. აღნიშნული მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, ი. შ-ესა და ნ. მ-თან აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა, როგორც ნ. წ-ს, ისე – ვინმე „ლ-ს“ და გ. მ-ს, რომელიც დასარეგისტრირებლად საჭირო დოკუმენტაციაზე აწერინებდა ხელს ი. შ-ეს. ვითომდა საგარაჟე ფართის დასამტკიცებლად საჭირო თანხა, ნ. წ-ის მოთხოვნით, ი. შ-ემ ა-დან ჩარიცხა გ. მ-ის ანგარიშზე 2021 წლის 29 მარტს, 3 300 ევრო (13 111 ლარი და 89 თეთრი) სამეტყადა, კერძოდ, 1250, 1050 და 1000 ევრო, რაც განადგურებული იქნა თ-ი, თ-ში და თ-ი, ჯ-ში მდებარე „ს-ის“ სერვის-ცენტრის სალაროდან. აღნიშნული საგარაჟე ფართის დასარეგისტრირებლად, სხვადასხვა დროს, ნ. წ-მა, გ. მ-მა და ვინმე ლ-მ დაზარალებულებს გადაახდევინეს თანხები, კერძოდ: 2019-2020 წლებში, ნ. მ-ის დავალებით, მისმა ნათესავმა – ც. მ-მა – თ-ი, ჭ-ის გამზირზე, №-ის მიმდებარედ, ნ. წ-ს გადასცა 1100 დოლარი (2 904 ლარი და 44 თეთრი) ხელზე. ასევე, დაზარალებულების ნათესავმა – თ. გ-მა – მათი დავალებით, 1000 ლარი გადასცა წელიწად

თ-ი, ვ... კორპუსის, ბინა №-ში. ვითომდა ადვოკატ გ. გ-სთვის გადასახ-
დელი – 3500 ლარი – ნ. წ-მა ი. შ-ეს გ. გ-ს ანგარიშზე ჩაარიცხვინა 2021
წლის 7 დეკემბერს, ხოლო გ. გ-ს იმავე დღეს სრულად გადაარიცხვინა
აღნიშნული თანხა თავისი მეგობრის – თ. ყ-ის – ანგარიშზე. საბოლოო-
ოდ, ხსენებული თანხა ნ. წ-მა გაანაღდა 2021 წლის 7 დეკემბერს, თ-ი,
კ-ის ქუჩაზე არსებული „ს-ის“ ბანკომატიდან. ნ. წ-მა, გ. მ-მა და ვინმე
ლ-მ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად მოატყუეს ნ. მ-ი და ი. შ-ე,
მათთვის ცნობილი იყო, რომ თ-ი, ვ-ის წინ მდებარე საგარაჟო ფართი
ვერ დარეგისტრირდებოდა, მიუხედავად ამისა, მოტყუებით დაეუფ-
ლნენ დიდი ოდენობით თანხას და მოიხმარეს პირადი მიზნებისთვის.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის განა-
ჩენით:

2.1.1. ნ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული
დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 10 000
ლარი. ნ. წ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწი-
ნებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად დაენიშნა ჯარიმა –
10 000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძ-
ველზე, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქმა მეორე თანაბარი სასჯე-
ლი და, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. წ-ს სასჯელად დაენიშნა ჯარი-
მა – 10 000 ლარი;

2.1.2. დ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული
დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 5 000 ლა-
რი;

2.1.3. გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვა-
ლისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად დაენიშნა ჯა-
რიმა – 10 000 ლარი.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის განა-
ჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის ისა-
ნი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ნათია ჩუბი-
ნიძემ – სააპელაციო საჩივრით მოითხოვა სამივე მსჯავრდებულის მი-
მართ დანიშნული სასჯელის გამკაცრება. კერძოდ, ჯარიმის ნაცვლად,
თავისუფლების აღკვეთის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდის გან-
საზღვრა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბრის

განაჩენით, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი – ნათია ჩუბინიძე – საკასაციო საჩივრით ითხოვს სამივე მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ, ჯარიმის ნაცვლად, თავისუფლების აღკვეთის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდის განსაზღვრას, შემდეგ არგუმენტებზე მითითებით: გამოყენებული არასაპატიმრო სასჯელი მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და პიროვნებებთან აშკარა შეუუსაბამობის გამო, დაზარალებულებს უსპობს სამართლიანობის განცდას; მსჯავრდებულებს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე გასჩენიათ გულწრფელი სინანული; ისინი არ აღიარებენ დანაშაულს; ნ. წ-მა და დ. კ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში დატოვეს საქართველო; არასაპატიმრო სასჯელის პირობებში, სასჯელის კერძო და ზოგადი პრევენციის მიზნები მიუღწევადია.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი გაასაჩივრა მხოლოდ ბრალდების მხარემ და მხოლოდ სასჯელის ნაწილში. კერძოდ, პროკურორი – ნათია ჩუბინიძე – საკასაციო საჩივრით, სამივე მსჯავრდებულთან მიმართებით, ითხოვს ჯარიმის ნაცვლად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას. დაცვის მხარეს საკასაციო საჩივარზე შესაგებელი არ წარუდგენია. ამდენად, მხარეებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის მიერ მათთვის მსჯავრდებურობის დადგენისა და განაჩენის გადამხილვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგან-

ნია მსჯავრდებულების მიმართ დანიშნული სასჯელის სამართლიანობა.

3. ჩადენილი დანაშაულისათვის ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის მიმართ გამოყენებული სასჯელის სამართლიანობის კონტექსტში შემონეშებად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას სასჯელის მიზნებზე გაამახვილებს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია“. გარდა ამისა, სასჯელის მიზანია დანაშაულის პრევენცია, როგორც სპეციალური, ისე ზოგადი, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს დამნაშავესთვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობას, რადგან საკუთარ თავზე დანაშაულის სამართლებრივი შედეგების განცდა, გამაფრთხილებელ ზეგავლენას მოახდენს მის სამომავლო ქცევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ქმედებისთვის პირის დასჯის დემონსტრირებას ექნება შემაკავებელი ეფექტი, დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველის მიმართ.

4. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). მართლმსაჯულების განხორციელება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ღმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის № 1/7/851 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-7).

5. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სას-

ჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

6. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე, ხოლო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილი – ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე.

7. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული საკუთრების უფლება სახელმწიფოს ავალდებულებს, ამ უფლების დარღვევის შემთხვევებზე ჰქონდეს სათანადო რეაგირება, რაც, მათ შორის, დამნაშავესთვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნას მოიაზრებს. მოცემულ შემთხვევაში, ნ. წ-ის, დ. კ-სა და გ. მ-ისთვის დანიშნული სასჯელის სამართლიანობაზე მსჯელობისას, სასამართლო საკანონმდებლო მოთხოვნების კვალდაკვალ, შეაფასებს, როგორც მოცემული საქმის გარემოებებს, ისე – მსჯავრდებულების პიროვნებებს და თავისი დისკრეციის ფარგლებში, შეარჩევს სასჯელის ისეთ სახესა და ზომას, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

8. სასამართლო მხედველობაში იღებს ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივ საფრთხეს, ასევე – დანაშაულის მოტივსა და მიზანს. კერძოდ, ისინი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნითა და ანგარების მოტივით, წინასწარშეთანხმებული გეგმის შესაბამისად, განზრახ მცდარი ინფორმაციის მიწოდების შედეგად, დაეუფლნენ დაზარალებულთა კუთვნილ თანხებს, რომელთა რაოდენობამაც ერთ ეპიზოდში მნიშვნელოვან ზიანს, ხოლო მეორე ეპიზოდში, დიდი ოდენობით ქონებრივ ზიანს მიაღწია. დაზარალებულებში ნდობის აღძვრას წინ უძღოდა მათი დამოკიდებულება ნ. წ-ისა და დ. კ-სადმი, რომელიც საქმიანად დაიწყო და ახლომეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა.

9. სასამართლო აგრეთვე ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის შემდგომ ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის ქცევას. დანაშაულის ჩადენის დღიდან გასული ხანგრძლივი დროის მიუხედავად, არცერთ მსჯავრდებულს უცდია დაზარალებულებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან რაიმე ფორმით გულწრფელი სინანულის გამოხატვა. უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, „მსჯავრდებულის მისწრა-

ფეხა, შეურიგდეს დაზარალებულს ან/და აანაზღაუროს ზიანი, წამახალისებელი ნორმებია“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 იანვრის №633აპ-20 განჩინება), რაც, ალტერნატიული სასჯელის პირობებში, არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას სამართლიანად აქცევს. რამდენიმე სახის, შესაძლო სასჯელის არსებობისას აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა, რითაც შემცირდება დამნაშავეისთვის არაპროპორციული და არასამართლიანი სასჯელის დანიშვნის რისკი.

10. იმავდროულად, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სასჯელის უპირველეს მიზანს – სამართლიანობის აღდგენას, რომელიც ჩადენილი დანაშაულის პროპორციული სასჯელის დანიშვნას მოიაზრებს. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, სასჯელის ზოგად და კერძო პრევენციულ დატვირთვას და მიიჩნევს, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ამ ტიპის დანაშაული, მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით, საჭიროებს მკაცრ რეაგირებას.

11. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის მიმართ სასჯელის სახით გამოყენებული ჯარიმა კანონიერია, თუმცა დანაშაულის სპეციფიკის და მომეტებული საშიშროების, აგრეთვე – მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, არასამართლიანია. ეს მოცემულობა ამართლებს ნ. წ-ის, დ. კ-ს და გ. მ-ის მიმართ ჯარიმის ნაცვლად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას, როგორც აუცილებელ ზომას პრევენციისა და სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მოსაზრებით, თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულთათვის იქნება, ერთი მხრივ, დამაფიქრებელი, დანაშაულის გაცნობიერებისთვის ხელშემწყობი სასჯელი და, მეორე მხრივ, – შემაკავებელი, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების კუთხით. რაც შეეხება სანქციის ზომას, სასამართლო განსაზღვრავს მინიმალური ვადით, რაც, სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეის რესოციალიზაციის მიზნების შესაბამისი იქნება.

12. სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, მსჯავრდებულის (მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულის) მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით, გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო.

13. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი

ან მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, დანიშნული სასჯელი გაუნახევრდება განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

14. სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მსჯავრდებული პირები ვერ ისარგებლებენ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო შეღავათით, რადგან მათ არ აქვთ დაზარალებულების თანხმობა (პროკურორის მიერ წარდგენილი სატელეფონო გასაუბრების ოქმით დასტურდება, რომ დაზარალებულებს აქვთ დაუცველობის განცდა და ითხოვენ სამივე მსჯავრდებულის უმკაცრესად დასჯას) და, ამასთან, გარდა ზემოაღნიშნული მუხლებისა, მსჯავრად შეერაცხათ თაღლითობის ჯგუფურად ჩადენა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაზეც ამნისტიის დასახელებული კანონის მხოლოდ მე-4 მუხლით განსაზღვრული შეღავათი ვრცელდება.

15. ხსენებული ამნისტიის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კი, ერთი მეხუთედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი არასრულწლოვანს ან ქალ მსჯავრდებულს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

16. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ნ. ნ-ს ერთი მეხუთედით უნდა შეუმცირდეს თითოეული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი, ხოლო დ. კ-ს და გ. მ-ს – ერთი მეექვსედით, რამეთუ მათზე არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და,

ამასთან, მათ ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენიათ.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და მსჯავრდებულებს უნდა დაენიშნოთ უფრო მკაცრი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნათია ჩუბინიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი:

3. ნ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეხუთედით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, 2 თვით და 12 დღით;

4. ნ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეხუთედით და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 9 თვით და 18 დღით;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. წ-ს სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 9 თვით და 18 დღით;

6. ნ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზნით, მისი დაკავების მომენტიდან;

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ნ. წ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია;

8. დ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და 4 თვით;

9. დ. კ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზნით, მისი დაკავების მომენტიდან;

10. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დ. კ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია;

11. გ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

12. გ. მ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზნით, მისი დაკავების მომენტიდან;

13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. მ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია. გირაოს სახით შეტანილი თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს მის შემტან პირს;

14. ნივთიერ მტკიცებულებებად ცნობილი ლაზერული დისკები შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

15. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ამენისტია, შეწყალება, ნასამართლობა

„ამენისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა აღსრულდეს მსჯავრდებულის მიმართ არსებულ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით შეფარდებულ და მოუხდალ სასჯელზე

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№10აპ-25

19 ივნისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ა. მ-ისა და ა. ლ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით ა. მ-ს, – დაბადებული ...ს, – და ა. ლ-ს, – დაბადებული ... წელს, – ბრალი ედებოდათ შემდეგში:

1.1. ა. მ-მა და ა. ლ-მ, გასაღების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ შეიძინეს ნარკოტიკული საშუალებები: მეფედრონი, წონით – 2,8682 გრამი, ალფა პეპ, წონით – 1,9944 გრამი, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – პსილოცინის სოკო, წონით – 5,01 გრამი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება მეთადონი (ფუძე), საერთო წონით – 2,9494 გრამი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება მდმა, საერთო წონით – 2,085 გრამი, რასაც 2023 წლის 20 ოქტომბერს ინახავდნენ საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ.... და ავტომობილში, ქ.... მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს ა. მ-ის და ა. ლ-ს საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად.

1.1.1. აღნიშნული ქმედებით ა. მ-მა ჩაიდინა: ნარკოტიკული საშუა-

ლების უკანონოდ შეძენა და შენახვა, არაერთგზის, ასევე – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ხოლო ა. ლ-მ – ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა და შენახვა, ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით;

1.2. ა. მ-მა და ა. ლ-მ გასაღების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ შეიძინეს ნარკოტიკული საშუალება ალფა-პეპ, წონით – 1,026 16 გრამი, მეთადონი – 0,1998 გრამი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – მდმა, წონით – 2,85254 გრამი, რაც 2023 წლის 11 ოქტომბერს უკანონოდ გაასაღეს ა. ა-ზე, რომელიც 2023 წლის 18 ოქტომბერს, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს ა. ა-ის პირადი ჩხრეკის, ასევე – ავტომანქანის და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად.

1.2.1. აღნიშნული ქმედებით ა. მ-მა და ა. ლ-მ ჩაიდინეს: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება; ასევე – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“ და მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით;

1.3. ა. მ-მა და ა. ლ-მ გასაღების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ შეიძინეს გამომშრალი მარიხუანა, საერთო წონით – 27,86 გრამის ოდენობით, რაც 2023 წლის 11 ოქტომბერს უკანონოდ გაასაღეს ა. ა-ეზე, რომელიც 2023 წლის 18 ოქტომბერს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს ა. ა-ის ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად;

1.3.1. აღნიშნული ქმედებით ა. მ-მა და ა. ლ-მ ჩაიდინეს: მარიხუანას უკანონოდ შეძენა, შენახვა და გასაღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 19 ივნისის განაჩენით:

2.1. ა. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართვე-

ლოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

2.1.1. ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

2.1.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ასევე დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმა (გადაუხდელი) და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

2.1.3. ა. მ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 19 ოქტომბრიდან;

2.1.4. ა. მ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, ხოლო 10 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება;

2.2. ა. ლ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

2.2.1. ა. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

2.2.2. ა. ლ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მო-

მენტიდან – 2023 წლის 18 ოქტომბრიდან;

2.2.3. ა. ლ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შე-სახეობა“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრან-სპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფ-ლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმია-ნობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, ია-რალის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალ-დებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

3.1. გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარ-ტამენტის პროკურორმა – ნუგზარ ჭიტაძემ მოითხოვა მსჯავრდებუ-ლების ა. მ-ისა და ა. ლ-ს დამნაშავედ ცნობა ბრალადწარდგენილი ყვე-ლა ქმედებისათვის; ასევე – მათთვის სამართლიანი სასჯელის განსაზ-ღვრა;

3.2. მსჯავრდებულების ა. მ-ისა და ა. ლ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ნ. კ-ემ მოითხოვა მსჯავრდებულებისათვის დანიშნული სასჯელების მინიმუმამდე შემსუბუქება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 19 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

4.1. ა. მ-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართვე-ლოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნა-წილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-ქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

4.1.1. ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“, მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვე-თა 10 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდა ერთი მეექვსედით და სასჯელის სახედ და ზომად განე-საზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით;

4.1.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის გა-

ნაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ასევე – დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმა (გადაუხდელი) და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით;

4.1.3. ა. მ-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება; ხოლო 10 წლით: საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება;

4.1.4. ა. მ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 19 ოქტომბრიდან;

4.2. ა. ლ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

4.2.1. ა. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მეხუთედით და საბოლოოდ განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, 2 თვითა და 12 დღით;

4.2.2. ა. ლ-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება; ხოლო

10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

4.2.3. ა. ლ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 18 ოქტომბრიდან.

5. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – ა. მ-ისა და ა. ლ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ნ. კ-ემ. კასატორი ითხოვს მსჯავრდებულების მიმართ შეფარდებული სასჯელის მინიმუმამდე შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009); „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლები შეზღუდულია სამართლის კონკრეტული საკითხებით“ (Kuparadze v. Georgia, no.30743/09, par.76, ECtHR, 21/09/2017).

2. საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა მხოლოდ დაცვის მხარემ, რომელიც ითხოვს ა. მ-ისა და ა. ლ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას. კასატორი პოზიციის დასაბუთებისთვის უთითებს მხოლოდ მსჯავრდებულების აღიარებაზე.

3. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის, ხოლო დაცვის მხარის მიერ მხოლოდ სასჯელის ნაწილის გასაჩივრების პირობებში, მხარეებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენს: ა. მ-ის – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო ა. ლ-ს – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით უდანამაულოდ ცნობა; ასევე – ა. მ-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, მე-6 ნაწილის „ა“ ქვე-

პუნქტებით, ხოლო ა. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მსჯავრდება.

3.1. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია ა. მ-ისა და ა. ლ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის სამართლიანობა.

4. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი.

5. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობისა და სახეობების, ასევე – მსჯავრდებულების აღიარების გათვალისწინებით, მსჯავრდებულებს განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა მინიმალურთან მიახლოებული ხანგრძლივობით, კერძოდ: ა. მ-ს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, ხოლო ა. ლ-ს – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით; იმავდროულად, მათ მიმართ მსჯავრდების ამ (მიმდინარე განსახილველი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში) ნაწილში სწორად გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი.

6. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა იმავე არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივარშია ჩამოყალიბებული. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები სამართლებრივად სწორად შეაფასა და გასაჩივრებულ განაჩენში მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებმაც ა. მ-ისა და ა. ლ-ს მიმართ მსჯავრად შეარაცხილი დანაშაულისათვის შესაბამისი სასჯელების განსაზღვრა განაპირობა. ამასთან, დაცვის მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ა. მ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ხოლო ა. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის უსამართლობას, პრევენციის ან რესოციალიზაციის მიზნებთან შეუსაბამობას, რის საფუძველზეც, შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულებისათვის სასჯელის შემსუბუქება.

7. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ა. მ-ისა და ა. ლ-ს მსჯავრდებისა და სასჯელის ნაწილში, რის გამოც, დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

8. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „შევიბრებითობის პრინციპი ...არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე (იხ.: იქვე, II-21). „შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება ისიც, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ“ (იხ.: იქვე, II-22). კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება II-20).

9. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს ა. მ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის ნაწილში. კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენით: ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდა ერთი მეექვსედით და განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით; საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი, ასევე, დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული ჯარიმა (გადაუხდელი) და საბო-

ლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით.

9.1. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენით არ იქნა გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის – განაჩენით დანიშნულ სასჯელზე.

10. მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის – განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო (მიმდინარე) განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულება ვერ იქნება დამოკიდებული განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესის (შთანთქმის, ნაწილობრივ შეკრების ან სრულად შეკრების) გამოყენებაზე, ვინაიდან სასჯელის შთანთქმა, იმავდროულად, არ გულისხმობს, მის გაუქმებას (იხ. მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 15 ნოემბრის №791-24 განჩინება). შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი უნდა აღსრულდეს მსჯავრდებულის მიმართ არსებულ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით შეფარდებულ და მოუხდელ სასჯელზე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

11. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლო 2023 წლის 16 მარტის განაჩენით ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

11.1.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად; მასვე, საქართველოს სსჯ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – ჯარიმა 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

11.1.2. საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – ჯარიმა 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

11.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად და-

უდგინდა 1 წელი; მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

11.2. თბილისის პრობაციის ბიუროს 2023 წლის 23 ოქტომბრის წერილს თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენის საფუძველზე, ა. მ-ის მიმართ სააღსრულებო საქმისწარმოება თბილისის პრობაციის ბიუროში მიმდინარეობს და გამოსაცდელი ვადა უნდა დასრულებულიყო 2024 წლის 15 მარტს;

11.3. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2023 წლის 25 ოქტომბრის წერილის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენის საფუძველზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი (რომლის თანახმად, ა. მ-ს სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ), მოვალეს არ წარუდგენია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და მის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები.

12. საკასაციო სასამართლო, ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა, ამავე კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა) და 265-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

13. შესაბამისად, მსჯავრდებულების – ა. მ-ისა და ა. ლ-ს – ინტერე-

სების დამცველი ადვოკატის ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა გასაჩივრებული განაჩენი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, ა. მ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა. მ-ი უნდა გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლო 2023 წლის 16 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩათვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

15. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული შემსუბუქება (კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან გათავისუფლება) გავლენას ვერ მოახდენს განსახილველი – მიმდინარე – საქმის ფარგლებში განაჩენთა ერთობლიობით დანიშნულ საბოლოო სასჯელზე, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად უნდა შთანთქმას წინა განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელი.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულების – ა. მ-ისა და ა. ლ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 ნოემბრის განაჩენში ა. მ-ის მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

16.1. ა. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის;

16.2. ა. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

16.2.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დანიშნუ-

ლი სასჯელი შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით;

16.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქმას წინა – თბილისის საქალაქო სასამართლო 2023 წლის 16 მარტის განაჩენით – განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით;

16.4. ა. მ-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება; ხოლო 10 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება;

16.5. ა. მ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 19 ოქტომბრიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების ა. მ-ისა და ა. ლ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 ნოემბრის განაჩენში, ა. მ-ის მიმართ, შევიდეს ცვლილება:

2.1. ა. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, მე-6 ნაწილის „ა“, მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

2.2. ა. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

2.2.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით;

2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქას წინა – თბილისის საქალაქო სასამართლო 2023 წლის 16 მარტის განაჩენით – განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე შემცირებული სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 4 თვით;

2.4. ა. მ-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება; ხოლო 10 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება;

2.5. ა. მ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 19 ოქტომბრიდან.

3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიციერება საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლიდან (დაზარალებულის იძულება, ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისათვის, როცა ამას ერთვის მისი მოკვლის მუქარა) იმავი კოდექსის 11¹, 150-ე მუხლზე (იძულება, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ)

განაჩენი
საქართველოს სახელით

№ 1380აპ-24

7 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ ონისე თუთისანის საკასაციო საჩივარი თბილი-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. გ. ტ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-
მართლის კოდექსის (შემდგომში: საქართველოს სსკ-ის) 126¹-ე მუხლის
პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მი-
მართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ
მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე, ან 120-ე მუხლით გათვა-
ლისწინებული შედეგი (ოთხი ეპიზოდი)), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-
ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სიცოცხლის მოსპობის მუ-
ქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორცი-
ელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ (ორი ეპი-
ზოდი)) და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მეორე ნაწილით (დაზა-
რალებულის იძულება, ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისათვის,
როცა ამას ერთვის მისი მოკვლის მუქარა) გათვალისწინებული დანაშა-
ულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის ნოემბრის ბოლოს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, რაიმე მიზეზის გარეშე, გ. ტ-ემ ფეხების სხეულის სხვადასხვა ადგილებში მრავალჯერადი დარტყმის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც აღნიშნული ქმედების შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.3. 2023 წლის ნოემბრის ბოლოს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, გ. ტ-ე რაიმე მიზეზის გარეშე, სიტყვით – მოგკლავ, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს, თ. ტ-ეს, რომელმაც აღნიშნული მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

1.4. 2023 წლის 24 დეკემბერს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ შეპასუხებით გაბრაზებულმა, გ. თ-მ ხელების ყელზე მოჭერის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც აღნიშნული ქმედების შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.5. 2023 წლის 24 დეკემბერს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ შეპასუხებით გაბრაზებული, გ. ტ-ე სიტყვებით: – დაგახრჩობ და მოგკლავ!, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს, თ. ტ-ეს, რომელმაც აღნიშნული მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

1.6. 2024 წლის 14 იანვარს, დაახლოებით, 08:30 საათზე, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, საათის თქმასთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, გ. თ-მ ფეხების სხეულის სხვადასხვა ადგილებში მრავალჯერადი დარტყმის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის – თ. თ-ის მიმართ, მან აღნიშნული ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.7. 2024 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 08:35 საათზე, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, გ. თ-ის მიერ თ. თ-ის მიმართ ძალადობის გამო პოლიციისთვის მიმართვით გაბრაზებულმა, გ. ტ-ემ, ხელის სახის არეში დარტყმით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც აღნიშნული ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.8. 2014 წლის 14 იანვარს, დაახლოებით, 08:35 საათზე, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, გ. თ-ის მიერ თ. თ-ის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით განცხადების სამართალდამცავ ორგანოში შეტანის შემთხვევაში, გ. ტ-ე თ. ტ-ეს დაემუქრა მოკვლით, რაც თ. ტ-ემ აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ გ. ტ-ემ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე, ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (სამი ეპიზოდი) – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით; მანვე ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩინდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ (ორი ეპიზოდი) – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით; მანვე ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი, მისი ფიზიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება – რომლის შესრულებაც ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგით:

2.2. 2023 წლის ნოემბრის ბოლოს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ეების საცხოვრებელ სახლში, რაიმე მიზეზის გარეშე, გ. ტ-ემ ფეხების სხეულის სხვადასხვა ადგილებში მრავალჯერადი დარტყმის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც აღნიშნული ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2.3. 2023 წლის ნოემბრის ბოლოს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ეების საცხოვრებელ სახლში, გ. ტ-ე რაიმე მიზეზის გარეშე, სიტყვით: – მოგკლავ!, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს, თ. ტ-ეს, რომელმაც აღნიშნული მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩინდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.4. 2023 წლის 24 დეკემბერს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ეების საცხოვრებელ სახლში, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ შეპასუხებით გაბრაზებულმა, გ. ტ-ემ ხელების ყელზე მოჭერის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც აღნიშნული ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2.5. 2023 წლის 24 დეკემბერს, დღის საათებში, თ-ში, გ. და თ. ტ-ეების საცხოვრებელ სახლში, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ შეპასუხებით გაბრაზებული, გ. ტ-ე, სიტყვებით: – დაგახრჩობ და მოგკლავ!, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს, თ. ტ-ეს, რომელმაც აღნიშნული მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩინდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.6. 2024 წლის 14 იანვარს, დაახლოებით, 08:30 საათზე, თ-ში, გ. და თ. ტ-ეების საცხოვრებელ სახლში, საათის თქმასთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტისას, გ. ტ-ემ ფეხების სხეულის სხვადასხვა ად-

გილებში მრავალჯერადი დარტყმით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც მისი ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2.7. 2024 წლის 14 იანვარს, დაახლოებით, 08:35 საათზე, თ-ში, გ. და თ. ტ-ების საცხოვრებელ სახლში, გ. თ-ის მიერ თ. თ-ის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით განცხადების სამართალდამცავ ორგანოში შეტანის შემთხვევაში, გ. ტ-ე თ. ტ-ეს დაემუქრა მოკვლით, რაც თ. ტ-ემ აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში ასევე, ხელის სახის არეში დარტყმით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის, თ. თ-ის მიმართ, რომელმაც ამ ქმედებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2.8. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 4 ივლისის განაჩენით, გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის ნოემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის ნოემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის 24 დეკემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის 24 დეკემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2024 წლის 14 იანვრის 08:30 საათის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. თ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2024 წლის 14 იანვრის 08:35 საათის ეპიზოდი) და იმავე კოდექსის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

გ. ტ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლე-

ბის აღკვეთა.

მასვე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გ. თ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2024 წლის 14 იანვრის 08:30 საათის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა სხვა თანაბარი სასჯელები, ხოლო დამატებითი სასჯელი საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილით გამოყენებულ იქნა დამოუკიდებლად და დანაშაულთა ერთობლიობით გ. ტ-ეს განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელად იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, წინამდებარე განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 5 წლით თავისუფლების აღკვეთიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და გ. ტ-ეს განაჩენითა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელად – იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით.

2.9. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 4 ივლისის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა ონისე თუთისანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და გ. თ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მეორე ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში, ამასთან, მისთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 4 ივლისის განაჩენში შევიდა ცვლილება.

გ. თ-ის ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე

მუხლის პირველი ნაწილითა (2024 წლის 14 იანვრის 08:35 საათის ეპიზოდი) და იმავე კოდექსის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე. გ. ტ. ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის ნოემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა 1/6-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის ნოემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდა 1/6-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 24 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა 1/6-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 24 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა 1/6-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2024 წლის 14 იანვრის 08:30 საათის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა 1/6-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა 1/6-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვე-

თა 10 თვით; მასვე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა სხვა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, გ. ტ-ეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით, ხოლო დამატებით სასჯელად – იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 9 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით და გ. ტ-ეს განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 9 თვით, ხოლო დამატებით სასჯელად – იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით.

3.2. 2024 წლის 21 ნოემბერს, მარნეულის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა ონისე თუთისანმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, გ. თ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მეორე ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2024 წლის 14 იანვრის 08:35 საათის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გ. თ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველ ნაწილზე ნაწილზე გადაკვალიფიცირების თაობაზე უკანონოა, რადგან, საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულია – გამოსაკითხი პირის, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან მისი

იძულება, შესაბამისად, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის, ან განზრახ არასწორად თარგმნისათვის, ანდა ინფორმაციის მიწოდებაზე ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ან მისი შეცვლისათვის, თუ ამას ერთვის მისთვის ანდა მისი ახლო ნათესავისთვის ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებლის შეთავაზება ან მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების ან განადგურების ანდა სხვა მუქარა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით კი, დაზარალებულია – სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. აღნიშნულის გათვალისწინებით, თ. ტ-ე ძალადობის ან/და მუქარის განხორციელების მომენტიდან დაზარალებულია, მიუხედავად იმისა დაწყებულია თუ არა გამოძიება ან გამოტანილია თუ არა პროკურორის დადგენილება მისი დაზარალებულად ცნობის თაობაზე. საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, იძულებისაგან განსხვავებით სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, რომლის მიზანია, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მატარებელი პირი დაიცვას უკანონო ზემოქმედებისგან. შესაბამისად, 2024 წლის 14 იანვრის 08:35 საათზე გ. თ-ის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. უპირველეს ყოვლისა საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხარეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენს საქმეზე სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ბრალდების მხარის მიერ სადავოა გ. თ-ის მიერ 2024 წლის 14 იანვრის 08:35 საათზე განხორციელებული დანაშაულის კვალიფიკაცია და სამართლებრივი შეფასება.

5.3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გ. თ-ის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ

დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდების შესახებ, ვინაიდან საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პრეიუდიციულად ცნობილი მტკიცებულებებით: შეტყობინებით დანაშაულის შესახებ, დაზარალებულისა და მოწმეების გამოკითხვის ოქმებით, საგამოძიებო ექსპერტიზის ოქმით და მასზე დართული ფოტოსურათებით, თ. თ-ის სხეულის ვიზუალური დათვალიერების ოქმით, თ. თ-ის სამედიცინო ბარათით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით – ერთმნიშვნელოვნად დგინდება მისი ბრალეულობა.

5.4. ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და, შესაბამისად, არასწორად განსაზღვრა გ. თ-ის სადავოდ გამხდარი ქმედების კვალიფიკაცია, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.5. საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით დასჯადია გამოსაკითხი პირის, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან მისი იძულება, შესაბამისად, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის, ან განზრახ არასწორად თარგმნისათვის, ანდა ინფორმაციის მიწოდებაზე ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ან მისი შეცვლისათვის, თუ ამას ერთვის მისთვის ანდა მისი ახლო ნათესავისთვის ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებლის შეთავაზება ან მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების ან განადგურების ანდა სხვა მუქარა.

5.6. მოცემულ შემთხვევაში, გ. ტ-ეს ბრალი წარედგინა დაზარალებულის იძულებაში, ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისათვის, როცა ამას ერთვის მისი მოკვლის მუქარა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ, ზოგადად, ზემოქმედება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტსა ან თარჯიმანზე არის სპეციალური მუხლი და იცავს გამოსაკითხ პირს, მოწმეს, დაზარალებულს, ექსპერტსა ან თარჯიმანს, თუმცა მისი დაცვის ძირითადი ობიექტია საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობა და მართლმსაჯულების ინტერესი. ხოლო როდესაც ვერ არ დაწყებულია გამოძიება და შესაბამისად, პირს არ აქვს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სტატუსი, იგი ამ მუხლის მიზნებისთვის სუბიექტად ვერ მოიაზრება. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით კრიმინალიზებულია იძულება, რაც ობიექტური მხრივ შეიძლება განხორციელდეს პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ქმედება. დაცვის ობექტი კი, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლებაა და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლისგან განსხვავებით

არ ჰყავს სპეციალური დაცვის დამატებითი ობიექტი.

5.7. ამასთან, ვინაიდან 2024 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 08:30 საათზე, მეუღლის მიმართ ფიზიკური ძალადობის შემდგომ, დაახლოებით ხუთ წუთში, გ. ტ-ე თ. ტ-ეს დაემუქრა მოკვლით, იმ შემთხვევაში თუ იგი განცხადებას შეიტანდა სამართალდამცავ ორგანოში და კვლავ ფიზიკურად იძალადა მეუღლის მიმართ, სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა იძულების შემადგენლობის ნიშნები, ქმედების ჩადენა, როგორც ძალადობით ასევე სიცოცხლის მოსპობის მუქარით. შესაბამისად, გ. თ-ის ქმედება დამატებით საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციას არ საჭიროებს, რისი გათვალისწინებითაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მის მიერ განხორციელებულ ქმედებას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭეს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ გ. თ-ის ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრისას სასამართლო არ გასცდა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფორმულირებას, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური იძულების, ისე ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენის კომპონენტში.

5.8. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით შესაძლებელია, როგორც ფაქტების უტყუარი დადასტურება, ისე – მატერიალური სამართლის ნორმის თითოეულ ელემენტის დადასტურებულად მიჩნევა, რაც ქმნის დანაშაულის სრულყოფილ შემადგენლობას და სახეზეა დანაშაულები, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს სასამართლოს მიერ დანაშაულისა და დამნაშავის შეფასებას, სასჯელი კი არის კანონის რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე. შესაბამისად, სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პი-

როვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, პირადი და ეკონომიკური პირობები, კერძოდ: გ. ტ-ემ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაულები, მტკიცებულებები მიიჩნია უდავოდ, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ყოველივე ზემოაღნიშნულისა და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მას კანონიერი და სამართლიანი – სასჯელები განუსაზღვრა, რაც სრულად შეესაბამება, საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას).

6.4. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლი ადგენს სასჯელის დანიშვნის წესს დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. ტ-ე არის ნასამართლევი, შესაბამისად, მის მიმართ სასჯელი უნდა დაინიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც გულისხმობს, რომ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება.

6.5. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის სამ ალტერატიულ წესს. კერძოდ, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება. აღნიშნული ეხება, როგორც ძირითად, ასევე დამატებითს სახის სასჯელებსაც. თუმცა, დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს, რომ ზემოხსენებული სამი წესიდან არჩეული იქნეს ერთი და ამ პრინციპის საფუძველზე მოხდეს, როგორც ძირითადი ასევე დამატებითი სახის სასჯელის დანიშვნა. აღნიშნული დასკვნა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №642აპ-21 განაჩენი).

6.6. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც გ. თ-ის მიმართ დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელი დანიშნულია შთანთქმის პრინციპის გა-

მოყენებით, მის მიმართ ერთი მუხლით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქოს სხვა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები, მათ შორის დამატებითიც.

6.7. ამასთან, ვინაიდან გ. ტ-ემ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 სექტემბრის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენებით მსჯავრდებულად დანიშნული ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი.

6.8. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა.

6.9. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა გ. ტ-ემ განაცხადა თანხმობა, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდება სასჯელი.

6.10. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეოთხედით უმცირდება დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

6.11. შესაბამისად, გ. ტ-ეს „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექ-

ტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელები უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 სექტემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენზე ნაწილობრივ დამატებული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6.12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, ამავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ონისე თუთიანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. თ-ის ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2024 წლის 14 იანვრის 08:35 საათის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილზე;

4. გ. ტ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის

ნომბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ„ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის ნომბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ„ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 24 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ„ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2023 წლის 24 დეკემბრის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ„ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2024 წლის 14 იანვრის 08:30 საათის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც „ამნისტიის შესახებ„ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ„ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 თვით; მასვე, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 2 წლით;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს, სხვა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით გ. ტ-ეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით;

6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე

გაუქმდეს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2022 წლის 2 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით და საბოლოოდ გ. თ-ის განაჩენითა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 9 თვით;

8. გ. ტ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავებიდან – 2024 წლის 15 იანვრიდან;

9. „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტისა და ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულ გ. თ-ის მიმართ (3 თვის ვადით) გამოიცეს დამცავი ორდერი:

მსჯავრდებულ – გ. ტ-ეს აეკრძალოს დაზარალებულთან – თ. ტ-ესთან, მათ შორის, მის საცხოვრებელთან, სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან მიახლოება, სადაც შეიძლება თ. ტ-ე იმყოფებოდეს და მასთან რაიმე ფორმით ურთიერთობა;

მსჯავრდებულ – გ. ტ-ეს აეკრძალოს დაზარალებულთან – თ. ტ-ესთან, ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მობილური საშუალებისა და სოციალური ქსელის გამოყენებით;

დამცავი ორდერი ამოქმედდეს მსჯავრდებულ გ. თ-ის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე;

10. მსჯავრდებულ გ. ტ-ეს, 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის „ამნისტიის შესახებ“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, განემარტოს, რომ ამნისტიის საფუძველზე პენიტენციურ დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების/ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მისთვის საქართველოს კანონით დადგენილი წესით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას;

11. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. თ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

12. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

13. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ეკონომიკური დანაშაული

ქურდობა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№7აპ-25

14 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ვაკე-საბურთალოს
რაიონული პროკურატურის პროკურორ ვახტანგ ხარებაშვილის საკა-
საციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენზე

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ფ. ა-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-
მართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 177-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით
(ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მარ-
თლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზი-
ანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) გათვალისწინე-
ბული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 23 ნოემბრის 20:13 – 20:22 საათამდე, ფ. ა-ი, გამოდი-
ებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად იმყოფებოდა ქ-ში მდებარე, შპს
„ფ-ს“ კუთვნილ მაღაზია „ფ-ი“, სადაც წინასწარ შეთანხმებულად, ჯგუ-
ფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად და-
უფლნენ სარეალიზაციოდ განთავსებულ „ACL“-ის წარმოების ოთხ ერ-
თეულ უსადენო ყურსასმენს. ფ. ა-ის და გამოდიებით დაუდგენელი პი-
რების დანაშაულებრივი ქმედების შედეგად შპს „ფ-ს“ მიადგა 271 ლა-
რის მნიშვნელოვანი ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა კოლეგიის 2024 წლის 20 მაისის განაჩენით ფ. ა-ის მიმართ საქარ-
თველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

ფ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

2.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია: 2023 წლის 23 ნოემბრის 20:13 – 20:22 საათამდე პერიოდში, ფ. ა-ი ქ-ში მდებარე შპს „ფ-ს“ კუთვნილ მაღაზია „ფ.“ ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა სარეალიზაციოდ განთავსებულ ACL-ის წარმოების ერთ ერთეულ უსადენო ყურსასმენს. ფ. ა-ის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად შპს „ფ-ს“ მიადგა 69 ლარის ზიანი.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 20 მაისის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის პროკურორმა ვახტანგ ხარებაშვილმა, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ფ. ა-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებით.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 20 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელი.

3.2. 2024 წლის 16 ოქტომბერს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის პროკურორმა ვახტანგ ხარებაშვილმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ფ. ა-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებით.

3.3. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე დაცვის მხარემ წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, ბრალდების მხარემ სასამართლოში გამოიკვლია არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, ქურდობის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ნათლად არის ასახული ფ. ა-ისა და გამოძიებით დაუდგენელი პირების მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებამდე, ქმედებების პროცესში და შემდგომ განხორციელებული მთელი რიგი აქტიური მოქმედებები, რაც მიმართული იყო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გაადვილებისაკენ, რისთვისაც მათ წინასწარ გადანაწილებული ჰქონდათ შესასრულებელი ამოცანები. ვიდეოკამერის ჩანაწერებზე ნათლადაა ასახული როგორ გადაადგილდებიან ერთად ფ. ა-ი და გამოძიებით დაუდგენელი პირები. ამდენად, კასატორის აზრით სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და სუბიექტური გადაწყვეტილება მიიღო.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე.

5.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ვინაიდან მოცემული განაჩენი დაცვის მხარეს არ გაუსაჩივრებია, ხოლო ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრებულია ფ. ა-ისათვის მსჯავრდმეარაცხილი კვალიფიკაციის ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები ფ. ა-ის მიერ ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია.

5.3. მოწმე თ-ას ჩვენებით, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, ქ-ში მდებარე შპს „ფ-ს“ კუთვნილ მაღაზია „ფ.“ გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერებით, 2023 წლის 1 დეკემბრის ამოღების ოქმით, ჰაბიტოს კოპიური ექსპერტიზის დასკვნითა და თავად ფ. ა-ის აღიარებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ფ. ა-ის მიერ მსჯავრდმეარაცხილი დანაშაულის ჩადენა, შესაბამისად, სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს, რომ 2023 წლის 23 ნოემბრის 20:13 – 20:22 საათამდე პერიოდში, ფ. ა-ი ქ. თ... მდებარე შპს „ფ-ს“ კუთვნილ მაღაზია „ფ.“ ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა სარეალიზაციოდ განთავსებულ „ACL“-ის წარმოების ერთ უსადენო ყურსასმენს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო

სასამართლოს შესაფასებელი გარემოებაა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება თუ არა ფ. ა-ის მიერ მსჯავრდმერაცხილი დანაშაულებრივი ქმედების, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენის ფაქტი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

5.4. ჯგუფური დანაშაულის დეფინიციას მოიცავს საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლი, კერძოდ: ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულის ჩადენამდე დროის ხანგრძლივი პერიოდი, მთავარია შეთანხმება არსებობდეს ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე, რაც უნდა დადასტურდეს საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით. შეთანხმება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც სიტყვიერი ფორმით ასევე არავერბალური ფორმითაც, კერძოდ, გამოიხატოს ჟესტებით და მიმიკებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის №618აპ-15 განაჩენი).

5.5. სასამართლო აფასებს საქმეში არსებულ ვიდეორჩანანერებს და მიუთითებს, რომ ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებითა და ქ-ში მდებარე შპს „ფ-ს“ კუთვნილ მაღაზია „ფ.“ გამოთხოვილი ვიდეორჩანანერებით არ დასტურდება, ფ. ა-ისა და გამოძიებით დაუდგენელ უცნობ მამაკაცებს შორის რაიმე სახის კომუნიკაცია, რომელიც დაადასტურებდა მათ წინასწარ შეთანხმებას, ასევე საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მათ შორის რაიმე სახის კავშირს ან/და კომუნიკაციას დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე, მიმდინარეობისას და შემდეგ. საგულისხმოა, რომ უშუალოდ ყურსასმენების დახლთან მართალია დადასტურდა კომუნიკაცია ფ. ა-სა და გამოძიებით დაუდგენელ პირს შორის, თუმცა არა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისას და არა იმ ინტენსივობით და ფორმით, რამაც შესაძლოა სასამართლოს აფიქრებინოს დანაშაულის წინასწარი შეთანხმებით ჩადენა. ამასთან, ყურსასმენის მიწოდება დახლთან მდგომი პირისთვის, რომელიც ათვალიერებს და უკან აბრუნებს მას, შემთხვევის ადგილის, მომხმარებელთა რაოდენობისა და სააქციო პროდუქტის გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკურია. ამდენად, სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ვიდეორჩანანერის მიმდინარეობის პერიოდში არ დასტურდება ფ. ა-სა და გამოძიებით დაუდგენელ პირებს შორის იმგვარი ხასიათის და ინტენსივობის

ბის კომუნიკაცია, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ისინი ფ. ა-თან ერთად, მაღაზია „ფ-ს“ ტერიტორიაზე წინასწარ შეთანხმებულად შევიდნენ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ნივთის (ნივთების) დასაუფლებლად.

5.6. სასამართლო იზიარებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა ფ. ა-სა და უცნობ მამაკაცებს შორის წინასწარ შეთანხმებას ქურდობის ჩასადენად (საქმეში არ არსებობს არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს მსჯავრდებულსა და გამოძიებით დაუდგენელ პირებს შორის ქურდობის ჩასადენად წინასწარი შეთანხმების არსებობაზე). ამასთან, ამოღების ოქმის თანახმად, ფ. ა-ისგან ამოღებულია მხოლოდ ერთი წყვილი ყურსასმენი, ხოლო დაზარალებულის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განმარტება იმის დასადასტურებლად, რომ დანაკლისის სახით აღმოჩენილი ყურსასმენები დაიკარგა შემთხვევის დღეს არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, იმის თაობაზე, გამოძიებით დაუდგენელმა ორმა პირმა, რომელთან ერთადაც დანაშაულის ჩადენას ედავება ბრალდების მხარე ფ. ა-ს გაიარეს თუ არა სალაროს სივრცე, შეიძინეს თუ არა სხვა ნივთი ანდა ხომ არ გადაიხადეს სადავო ნივთების საფასური.

5.7. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს შეთანხმების არსებობაზე (წინასწარ შეკავშირებაზე). აღნიშნული შესაძლოა დადასტურდეს, როგორც თითოეულის ცალკეული ქმედებით, ასევე ერთად განხორციელებული მოქმედებების ხასიათით, ინტენსივობითა და ფორმით, მთავარია საქმეში არსებობდეს საკმარისად ნათელი და კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც უტყუარად დაადასტურებს, რომ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დანყების მომენტამდე და მიმდინარეობისას, თითოეული მათგანი თავისი მოქმედებებით ხელს უწყობდა სხვათა მოქმედებას.

5.8. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენი კვალიფიკაციის ნაწილში კანონიერია, რისი გათვალისწინებითაც ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. სასჯელის დასაბუთება

6.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს სასამართლოს მიერ დანაშაულისა და დამნაშავის შეფასებას, სასჯელი კი არის კანონის რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე. შესაბამისად, სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.3. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

6.4. სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნების განსასაზღვრად, სრულყოფილად უნდა შეფასდეს ყველა ის გარემოება, რაც სასჯელის დანიშვნის დროს არის გასათვალისწინებელი და ასევე ნათლად უნდა იქნეს გაანალიზებული საფრთხე ან საფრთხეები, რაც შექმნა დამნაშავის ქმედებამ.

6.5. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასჯელის სამართლიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული დანაშაული და მისი ჩადენი პირი ხასიათდება ინდივიდუალურობით, შესაბამისად, დანიშნული სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილ დანაშაულთან.

6.6. საკასაციო სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს და სა-

ქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, მიაჩნია, რომ ფ. ა-ს უნდა განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად უნდა ჩაეთვალოს პირობითად, ხოლო საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად უნდა დაუდგინდეს 2 წელი, რაც საკასაციო პალატის შეფასებით სრულად შეესაბამება საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს და მსჯავრდებულის პიროვნებას.

6.7. ამასთან, ვინაიდან ფ. ა-მა მსჯავრდემერაცხილი დანაშაული ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

6.8. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

6.9. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი უნდა გავრცელდეს ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელზე, და, ფ. ა-ი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისგან, მათ შორის პირობითი მსჯავრისგან და გამოსაცდელი ვადისგან.

6.10. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განა-

ჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ ვახტანგ ხარებაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 19 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ფ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

4. ფ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობითად, ხოლო საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 წელი. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფ. ა-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელისგან, მათ შორის პირობითი მსჯავრისგან და გამოსაცდელი ვადისგან.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ფ. ა-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გირაო – გაუქმებულია და გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში დაუბრუნდეს მის შემტანს;

6. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

დისკი შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; ყურსასმენი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

7. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№1214აპ-24

16 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჟ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, დ. ქ-ს ბრალად დაედო: განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა (ორი ეპიზოდი) და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.1. დ. ქ., გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და უკანონოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 55,587 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 1,568 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 32,014 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „მეთილენდიოქსიმეტამფეტამინსა (მდმა)“ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 89,486 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „მეტამფეტამინს“, რომელთაგან ნაწილს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 53,168 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 1,568 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 32,014 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „მეთილენდიოქსიმეტამფეტამინსა (მდმა)“ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 89,486 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „მეტამფეტამინს“ ინახავდა პირადად, რაც 2023 წლის 3 თებერვალს, 06:45 საათიდან 08:18 საათამდე დროის მონაკვეთში, ... მიმდებარე

რე ტერიტორიაზე ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა; ხოლო ნაწილს, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 2,419 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ ინახავდა მის საცხოვრებელ სახლში, რაც 2023 წლის 3 თებერვალს, 09:00 საათიდან 09:35 საათამდე დროის მონაკვეთში, ... მისი დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა.

1.2. დ. ქ. გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და უკანონოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 1,164 გრამ – ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინს“, რომლის ნაწილი – 0,606 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინი“ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა ამოიღეს 2023 წლის 3 თებერვალს, 12:10 საათიდან 13:45 საათამდე დროის მონაკვეთში, ... შესახვევთან (საავტომობილო გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს) ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად; ნაწილი – 0,285 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინი“ – 2023 წლის 3 თებერვალს, 12:10 საათიდან 13:45 საათამდე დროის მონაკვეთში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად, ხოლო ნაწილი – 0,273 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინი“ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა ამოიღეს 2023 წლის 3 თებერვალს, 12:10 საათიდან 13:45 საათამდე დროის მონაკვეთში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად.

1.3. დ. ქ-მ დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით, 2023 წლის 2 თებერვალს, ღამის საათებში, . შესახვევთან (საავტომობილო გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს), ... მიმდებარე ტერიტორიებზე განათავსა 1,164 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი. ზემოხსენებული ნარკოტიკული საშუალება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოიღეს.

2. დ. ქ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით დ. ქ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე; დ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (პირველი ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების

აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მეორე ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 14 თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დ. ქ-ს საბოლოოდ განესაზღვრა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ დ. ქ-მ ჩაიდინა: განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა (ორი ეპიზოდი) და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადება.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა – თორნიკე გოგეშვილმა, რომელიც ითხოვდა გადაწყვეტილების შეცვლასა და დ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას მისთვის წარდგენილი კვალიფიკაციით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – გ. შ-მ და მ. ჟ-მ, რომლებიც ითხოვდნენ განაჩენის შეცვლას, დ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ერთი ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და შეფარდებული სასჯელის – 14 წლით თავისუფლების აღკვეთის – ნაწილის პირობითად ჩათვლას.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 სექტემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 სექტემბრის განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა – მ. ჟ-მ, რომელიც ითხოვს განაჩენის შეცვლას, დ. ქ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (ერთი ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათ-

ვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, შეფარდებული სასჯელის – 14 წლით თავისუფლების აღკვეთის – ნაწილის პირობითად ჩათვლას. კასატორი მიიჩნევს, რომ განაჩენი უკანონოა, ვინაიდან, ერთი მხრივ, არასწორია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ორ ეპიზოდად დაკვალიფიცირება და, აქედან გამომდინარე, ცალ-ცალკე სასჯელების განსაზღვრა, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, განგრძობადია ამავე კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას. განსახილველ შემთხვევაში კი, გამოკვეთილია არა რამდენიმე, არამედ – ერთი ქმედება; მეორე მხრივ, არსებობდა ყველა სამართლებრივი წინაპირობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელის – 14 წლით თავისუფლების აღკვეთის – ნაწილის პირობითად ჩასათვლელად, ვინაიდან დ. ქსათვის დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე არ წაუსწრიათ, მან ითანამშრომლა გამოძიებასთან (რომ არა მსჯავრდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობა, კონკრეტული ლოკაციებიდან ვერ ამოიღებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს) და დაასახელა დანაშაულში თანამონაწილეები. გარდა ამისა, მსჯავრდებულმა უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებების ნაწილი, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას.

8. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარზე ბრალდების მხარეს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ: მოწმეების – გ. ა., ლ. გ., მ. ბ., დ. ბ., მ. დ., ი. გ., გ. თ., ა. ფ. და ე. ჯ. ჩვენებები, დ. ქ-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ქიმიური ექსპერტიზის №... და №... დასკვნები, რომელიც, მსჯავრდებულ დ. ქ-ს აღიარებასთან ერთობლივად, გონივრულ

ექვს მიღმა ადასტურებს, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის მსჯავრდებურობის ქმედებები, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. დაცვის მხარის მიერ სადავოდ გამხდარ დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, განგრძობადია ამავე კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას. განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი ქმედების ჩადენის მომენტიდან. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დ. ქ-ს მიერ ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილი ქმედებები არ იკვეთება, რამეთუ მისი პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით, უტყუარად დადგენილია, რომ მსჯავრდებულს ამოძრავებდა მხოლოდ მათი უკანონოდ შეძენისა და შენახვის განზრახვა, რასაც ედავებოდა კიდეც დ. ქ-ს ბრალდების მხარე, მაშინ, როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით, დადგენილია მათი გასაღების განზრახვა. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით, არც დაცვის მხარე უარყოფს და საკასაციო სასამართლოსაც დადასტურებულად მიაჩნია, რომ დ. ქ. ამზადებდა ამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებას, როდესაც დანაშაულის ჩასადენად პირობები განზრახ შექმნა. შესაბამისად, დაცვის მხარის მითითება, რომ დ. ქ-მ ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით შეიძინა და ინახავდა მისი პირადი და საცხოვრებელი ჩხრეკისას აღმოჩენილ, ისევე – როგორც საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს და, შესაბამისად, მისი ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ, ერთ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

4. მსჯავრდებულისათვის შეფარდებულ სასჯელთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ

ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცქევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ სასჯელთან დაკავშირებული კონსტიტუციური შეზღუდვის არსი არის პროპორციული სასჯელის დაკისრება მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავეს ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), დამნაშავეს პერსონალური მახასიათებლები და საქმის კონკრეტული გარემოებები იმისთვის, რათა განისაზღვროს, როგორი სასჯელი იქნება შესაბამისი პირის რეაბილიტაციისა და საზოგადოების დაცვისთვის ამ კონკრეტული დამნაშავეს შეკავების გზით. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეასრულებს სასჯელი თავის მიზნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-97).

6. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების (აღიარა ჩადენილი ქმედებები, რასაც სწორ სამართლებრივი შეფასება მისცა სასამართლომ; ითანამშრომლა გამოძიებასთან; უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებების ნაწილი, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას) მხედველობაში მიღებით, დ. ქ-ს ჩადენილი დანაშაულის სანქციით

გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუფარდა, რომლის კიდევ უფრო შემსუბუქება და სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა, საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობიდან („ჰეროინი“ მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებაა) გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს: რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება, მასში გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის დროსაც კი, წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას. შესაბამისად, ზემოხსენებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს დ. ქ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლას.

7. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებისა, წარმოებისა, შეძენისა, შენახვისა, გადაზიდვისა ან გადაცემისა). ამავდროულად, 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილით. ამდენად, დ. ქ-ს ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელები, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი არ ვრცელდება.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჟ. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 სექტემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის

307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. ქ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჟ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. ქ-სთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე;

4. დ. ქ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1-ელი ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (მე-2 ეპიზოდი) – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დ. ქ. საბოლოოდ მიესაჯოს – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალოს 2023 წლის 3 თებერვლიდან;

9. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა

და ტარების უფლებები, ხოლო საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 20 წლით;

10. სხვა, მათ შორის, ნივთმტკიცებების ნაწილში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№ 1331 აპ-24

26 ივნისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა აჭარის ა/რ პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ირაკლი დონდოლაძის, მსჯავრდებულ ს. ჩ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ზ-ისა და მსჯავრდებულ ი. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის პ. ბ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

1.1. ი. დ-ს ბრალად ედებოდა:

1.1.1. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ი. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ი. დ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით 0,016 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას ბუპრენორფინს და 0,04 გრამ ნარკოტიკულ საშუალებას მეთაღონს

(მარილი) რაც 2022 წლის 2 მაისს, ქ. ბ..., დ... თ-ს ქ. -ის №... მდებარე, მისივე საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს.

1.1.2. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი).

ი. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ი. დ-მ, ს. ჩ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგნელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,6736 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რომლის ნაწილი – დიდი ოდენობით – 0,3374 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, 2022 წლის 13 აპრილს ს. ჩ-მ განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს....ს გვერდით მარმარილოს მსგავსი ქვით მოპირკეთებულ გაზონში, ხოლო, ასევე დიდი ოდენობით – 0,3362 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ი. დ-მ განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს....ს გვერდით, ზღვის მხარეს პირველი სასაფლაო ზოლის გაზონში დარგული პალმის ხის ძირში, რაც იმავე დღეს ამოიღეს ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

ი. დ-მ, ს. ჩ-სთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგნელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,706 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რომლიდანაც 0,585 გრამი 2022 წლის 19 აპრილს ი. დ-მ მოათავსა ქ. ბ....., ხ....ის ქ. -ის №-ში მდებარე კორპუსის უკან არსებულ სკვერში, ხოლო 0,121 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, მანვე განათავსა ქ. ბ.... მდებარე ი-სი, რაც იმავე დღეს ამოიღეს ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

1.1.3. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

ი. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ი. დ-მ, ს. ჩ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგნელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 12,832 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რომლის ნაწილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 1,913 გრამი – 2022 წლის 2 მაისს ამოიღეს ი. დ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე 0.122 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ი. დ-ს მითითებით, ქ. ბ..... ვ-ს ქ. -ის №-..ს მოპირდაპირედ, სკვერში. განსაკუთრებით დიდი ოდენობით 1,106 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ს. ჩ-ს პირადი ჩხრე-

კის შედეგად, ხოლო, 0,298 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს, ს. ჩ-ს მითითებით, ქ. ბ..... ვ-ს ქ.-ის №...ს მოპირდაპირედ, სკვერში. ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 9,393 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ი. დ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, მდებარე ქ. ბ....., დ.... თ-ის №-ში.

1.1.4. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (სამი ეპიზოდი).

ი. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ი. დ-მ და ს. ჩ-მ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით ქ. ბ....., ბ....-ის ტერიტორიაზე განათავსეს დიდი ოდენობით – 0,6736 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომლის ნაწილი, დიდი ოდენობით – 0,3374 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, 2022 წლის 13 აპრილს ს. ჩ-მ გასაღების მიზნით განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს მარმარილოს მსგავსი ქვით მოპირკეთებულ გაზონში, ხოლო დიდი ოდენობით – 0,3362 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ი. დ-მ გასაღების მიზნით განათავსა ქ. ბ.... ს.....ს გვერდით, ზღვის მხარეს პირველი სასეირნო ზოლის გაზონში არსებული პალმის ხის ძირში. პოლიციის მუშაკების მიერ გატარებული ღონიძიების შედეგად მათ მიერ ვერ განხორციელდა ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება, რადგან იმავე დღეს ამოღებული იქნა ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

ი. დ-მ და ს. ჩ-მ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით 2022 წლის 19 აპრილს, ქ. ბ....., ხ.....ის ქ.-ის №..ში მდებარე კორპუსის უკან არსებულ სკვერსა და ბ.... მდებარე ი-ში, განათავსეს დიდი ოდენობით – 0,706 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. კერძოდ, 0,585 გრამი გასაღების მიზნით განათავსდა ქ. ბ....., ხ.....ის ქ. №..ში მდებარე კორპუსის უკანა სკვერში, ხოლო 0,121 გრამი ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინი, გასაღების მიზნით, – ქ. ბ....., ი-სი. პოლიციის მუშაკების მიერ გატარებული ღონიძიების შედეგად, მათ მიერ, ვერ განხორციელდა ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება, რაც იმავე დღეს იქნა ამოღებული ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

ი. დ-მ და ს. ჩ-მ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით, 2022 წლის 2 მაისს, ქ. ბ..... ვ... ფ.....ს ქ. №-..ს მოპირდაპირედ, სკვერში განათავსეს დიდი ოდენობით – 0,42 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომლის ნაწილი – 0,122 გრამი – ი. დ-მ გასაღების მიზნით განათავსა, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 0,298

გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი გასაღების მიზნით განათავსა ს. ჩ-მ. პოლიციის მუშაკების მიერ გატარებული ღონიძიების შედეგად, მათ მიერ, ვერ მოხდა ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება და იმავე დღეს იქნა ამოღებული მათივე მითითებით.

1.2. ს. ჩ-ს – პირადი ნომერი, – ბრალად ედებოდა:

1.2.1. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა არაერთგზის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი).

ს. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნა-სამართლევა ს. ჩ-მ არაერთგზის, ი. დ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,6736 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რომლის ნაწილი – დიდი ოდენობით 0,3374 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი – 2022 წლის 13 აპრილს ს. ჩ-მ განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს გვერდით, მარმარილოს მსგავსი ქვით მოპირკეთებულ გაზონში, ხოლო დიდი ოდენობით – 0,3362 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ი. დ-მ განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს გვერდით, ზღვის მხარეს პირველი სასაფლაო ზოლის გაზონში დარგული პალმის ხის ძირში, რაც იმავე დღეს ამოიღეს ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნა-სამართლევა ს. ჩ-მ არაერთგზის, ი. დ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,706 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რომლის ნაწილი – 0,585 გრამი – 2022 წლის 19 აპრილს, ი. დ-მ განათავსა ქ. ბ....., ხ.....ს ქ.-ის №-ში მდებარე კორპუსის უკან არსებულ სკვერში, ხოლო – 0,121 გრამი მანვე განათავსა ქ. ბ.... მდებარე ი-სი, რაც იმავე დღეს ამოიღეს ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

1.2.2. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა არაერთგზის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი).

ს. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნა-სამართლევა ს. ჩ-მ და ი. დ-მ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით ქ. ბ....., ბ...-ის ტერიტორიაზე განათავსეს დიდი ოდენობით – 0,6736 გრამი – ნარკოტიკულ შუალება ჰეროინი, საიდანაც დიდი ოდენობით – 0,3374 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი 2022 წლის 13 აპრილს ს. ჩ-მ გასაღების მიზნით განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს გვერდით მარმარილოს მსგავსი ქვით მოპირკეთებულ გაზონში, ხოლო დიდი ოდენობით – 0,3362 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ი. დ-მ გასაღების მიზნით განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს გვერდით, ზღვის მხარეს პირველი სასაფლაო ზოლის გაზონში დარგული პალმის ხის ძირში. პოლიციის მუშაკების დროულად გატარებული ღონიძიების შედეგად მათ ვერ მოახერხეს ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება და იმავე დღეს იქნა ამოღებული ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნა-სამართლევა ს. ჩ-მ არაერთგზის, ი. დ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით 2022 წლის 19 აპრილს, ქ. ბ....., ხ.....ის ქ.-ის №...ში მდებარე კორპუსის უკან არსებულ სკვერში და ბ.... მდებარე ი-სი, განათავსეს დიდი ოდენობით – 0,706 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომლის ნაწილი – 0,585 გრამი – გასაღების მიზნით განათავსდა ქ. ბ....., ხ.....ის ქ. №...ში მდებარე კორპუსის უკან მდებარე სკვერში, ხოლო 0,121 გრამი ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინი გასაღების მიზნით განათავსდა ქ. ბ....., ი-სი. პოლიციის მუშაკების მიერ გატარებული ღონიძიების შედეგად, მათ მიერ, ვერ განხორციელდა ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება, რაც იმავე დღეს ამოღებულ იქნა ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად.

1.2.3. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობა არაერთგზის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ბრალდების შესახებ დადგენილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების ნაცვლად მითითებულია საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე).

ს. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ი. დ-მ და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევა ს. ჩ-მ არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით,

ჯგუფურად, დაუდგენელ პირებზე გასაღების მიზნით, 2022 წლის 2 მაისს, ქ. ბ..... ვ... ფ.....ს ქ. №...ს მოპირდაპირედ, სკვერში განათავსეს დიდი ოდენობით – 0,42 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომლის ნაწილი – 0,122 გრამი – გასაღების მიზნით განათავსა ი. დ-მ, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 0,298 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი – გასაღების მიზნით განათავსა ს. ჩ-მ. პოლიციის მუშაკების მიერ გატარებული ღონიძიების შედეგად, მათ მიერ, ვერ მოხერხდა ზემოთ მითითებული ნარკოტიკული საშუალების გასაღება და იმავე დღეს იქნა ამოღებული მათივე მითითებით.

1.2.4. არაერთგზის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ს. ჩ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნა-სამართლევა ს. ჩ-მ არაერთგზის ი. დ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 12,832 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რომლის განსაკუთრებით დიდი ოდენობა – 1,913 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი – 2022 წლის 2 მაისს ამოიღეს ი. დ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე 0.122 გრამი საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ი. დ-ს მითითებით ქ. ბ..... ვ-ს ქ...– №...ს მოპირდაპირედ, სკვერში. ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით 1,106 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე 0.298 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ს. ჩ-ს მითითებით ქ. ბ..... ვ-ს ქუჩის №...ს მოპირდაპირედ, სკვერში. ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით 9,393 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს იმავე დღეს ი. დ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ბ....., დ..... თ-ის №...ში.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენით:

2.1. ი. დ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში (2022 წლის 13 აპრილის ეპიზოდები);

2.2. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19, 260-ე მუხლის მე-5 ნაწი-

ლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებები (ორი ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 18, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე;

2.3. ი. დ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 18, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში:

2.3.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3.3. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3.4. საქართველოს სსკ-ის 18, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3.5. საქართველოს სსკ-ის 18, 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 2 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა დანარჩენი ნაკლებად მკაცრი და თანაბარი ზომის სასჯელები და საბოლოოდ, ი. დ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.5. მსჯავრდებულ ი. დ-ს, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად – 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით: საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო

დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 20 წლით;

2.6. მსჯავრდებულ ი. დ-ს სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 2 მაისიდან;

2.7. ს. ჩ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში (2022 წლის 13 აპრილის ეპიზოდებში);

2.8. ს. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდება (ორი ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე;

2.9. ს. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში;

2.9.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.9.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.9.3. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.9.4. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 2 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.10. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

ერთმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი ნაკლებად მკაცრი და თანაბარი ზომის სასჯელები და საბოლოოდ, ს. ჩ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.11. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით, ს. ჩ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სრულად შთანთქა ახალი განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა და საბოლოოდ, განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობით, ს. ჩ-ს, სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.12. მსჯავრდებულ ს. ჩ-ს, როგორც ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად – 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით ჩამოერთვა: საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება – 20 წლით.

2.13. ს. ჩ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 2 მაისიდან.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

3.1. აჭარის ა/რ პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა ირაკლი დონდოლაძემ მოითხოვა ცვლილება გასაჩივრებულ განაჩენში, ი. დ-სა და ს. ჩ-ს დამნაშავედ ცნობა ბრალად წარდგენილი ყველა ქმედების ჩადენაში და მათთვის უფრო მკაცრი, მაქსიმალურთან მიახლოებული, სასჯელის განსაზღვრა;

3.2. მსჯავრდებულ ს. ჩ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ზ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, ს. ჩ-ს სრულად უდანაშაულოდ ცნობა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა;

3.3. მსჯავრდებულ ი. დ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პ. ბ-ემ მოითხოვა ი. დ-ს სრულად უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ოქტომბრის

განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება:

4.1. გაუქმდა გასაჩივრებული განაჩენი ი. დ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ (13 აპრილის ეპიზოდი);

4.2. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე;

4.3. ი. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (13 აპრილის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

4.3.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.3.2. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.3.3. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე (19 აპრილის ეპიზოდი);

4.4. ი. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (19 აპრილის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

4.4.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.4.2. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.5. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე (2 მაისის ეპიზოდი);

4.6. ი. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2 მაისის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

4.6.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.6.2. საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.6.3. ი. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ბუპრენორფინი და მეთადონის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად გაუნახევრდა და განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებით, საბოლოოდ, ი. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.8. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

4.9. ი. დ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 22 მაისიდან;

4.10. გაუქმდა გასაჩივრებული განაჩენი ს. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ (13 აპრილის ეპიზოდი);

4.11. ს. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვა-

წლით თავისუფლების აღკვეთა;

17. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებით, საბოლოოდ ს. ჩ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.18. საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, ს. ჩ-ს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.19. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

4.20. ს. ჩ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 2 მაისიდან.

5. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა:

5.1. აჭარის ა/რ პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა ირაკლი დონდოლაძემ მოითხოვა ს. ჩ-სა და ი. დ-ს დამნაშავედ ცნობა ყველა წარდგენილ ბრალდებაში და მათთვის მკაცრი, მაქსიმალურთან მიახლოებული სასჯელის დანიშვნა;

5.2. მსჯავრდებულ ს. ჩ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ზ–მ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება და ს. ჩ-ს სრულად უდანაშაულოდ ცნობა;

5.3. მსჯავრდებულ ი. დ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პ. ბ-მ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება და ი. დ-ს სრულად უდანაშაულოდ ცნობა.

6. 2025 წლის 3 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მსჯავრდებულ ს. ჩ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ზ-მ და მოითხოვა 2025 წლის 5 ივნისს, ს. ჩ-სა და ი. დ-ს მიმართ ზეპირი მოსმენის გარეშე ჩანიშნული პროცესის გადადება გარკვეული დროით, ვინაიდან მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადანყვებილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece (No.2)* no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარე ითხოვს ს. ჩ-სა და ი. დ-ს დამნაშავედ ცნობას ყველა წარდგენილი ბრალდებით და მათთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ხოლო დაცვის მხარე ი. დ-სა და ს. ჩ-ს უდანაშაულოდ ცნობას და გამართლებას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. მსჯავრდებულ ი. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის პ. ბ-ის მტკიცებით, საქმეზე დაკითხული პირები იძლევიან ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს და ყველა ჩვენება არის ირიბი, საქმეზე არ არის წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა ი. დ-ს ბრალეულობა.

4.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ კასატორი არათუ არ უთითებს თავისი პოზიციის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებას ან არგუმენტს, არამედ საერთოდ, არც კი მსჯელობს რაში გამოიხატება ან/და რომელ მოწმეთა ჩვენებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ კასატორმა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მკაფიოდ ფორმულირებასთან ერთად უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა. ანალოგიურად, საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილიც საკასაციო საჩივრის დასაშვებობას უკავშირებს ამავე ნაწილში მითითებული საფუძვლების დასაბუთებას რაც გულისხმობს, რომ მკაფიოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული რომელი საფუძვლით ასაჩივრებს და კონკრეტულად რითი ასაბუთებს კასატორი საკუთარ პოზიციას. ამდენად, კასატორმა უნდა განსაზღვროს არა მხოლოდ განაჩენის გასაჩივრების კონკრეტული საფუძველი, არამედ მკაფიოდ მიუთითოს ის არგუმენტებიც, რომლებიც ადასტურებენ კასატორის პოზიციას და შესაბამისად – გასაჩივრებული განაჩენის უკანონობას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის №933აპ-23 განჩინება).

5. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ბრალდების მხარის მსჯელობას, რომ ს. ჩ-ს (საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (13 აპრილის, 19 აპრილის და 2 მაისის ეპიზოდები), და ი. დ-ს (საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (13 აპრილის, 19 აპრილისა და 2 მაისის ეპიზოდები)) მიმართ ბრალადწარდგენილი ქმედება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობა არასწორად გადაკვალიფიცირდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადებაზე.

5.1. საქართველოს სსკ-ის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი (საქართველოს სსკ-ის – მე-19 მუხლი), ხოლო დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა (საქართველოს სსკ-ის – მე-18 მუხლი).

5.2. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა ს. ჩ-სა და ი. დ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობას. კერძოდ, დადგენილი არ არის მსჯავრდებულების კონტაქტი შემძენებთან ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით, თანხის ჩარიცხვის მოთხოვნა, ნარკოტიკული საშუალებების ლოკაციის ფოტოსურათების გადაგზავნა შემძენთან (იდენტიფიცირებულნი არ არიან მათ შორის ის პირები, ვისთანაც მიმოწერა ჰქონდათ მსჯავრდებულებს), სასამართლოს წინაშე წარდგენილი მასალებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ფოტოების გადაღების დრო, ზუსტი ადგილი, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მხოლოდ იმის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზად-

დება (მაგალითისთვის იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკა – 2022 წლის 10 იანვრის განჩინება №825აპ-21; 2023 წლის 6 აპრილის განჩინება №27აპ-23; 2023 წლის 5 ივნისის განჩინება №140აპ-23; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 24 აპრილის №83აპ-24 განჩინება; 2024 წლის 10 ივნისის №68აპ-24 განჩინება, 2024 წლის 17 ივლისის №342აპ-24 განჩინება; 2025 წლის 20 თებერვლის №1146აპ-24 განაჩენი, 2025 წლის 16 აპრილის №1214აპ-24 განაჩენი).

5.3. შესაბამისად, ამ ნაწილში ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლობის გამო არ ეთანხმება დაცვის მხარე კასატორების მოთხოვნას ი. დ-სა და ს. ჩ-ს მათთვის მსჯავრდშერაცხილ ყველა დანაშაულში უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ. ვინაიდან,

7. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: მოწმეთა: მ. წ-ის, რ. ს-ის, უ. კ-ის, გ. ზ-ის, ბ. ა-ის ჩვენებებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ოქმით, 2023 წლის 13 აპრილის პატიკით, 2022 წლის 13 აპრილის ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმით (თანდართული ფოტოსურათებით), ქიმიური ექსპერტიზის N.... დასკვნით, ს..... კომპიუტერული სისტემიდან გამოთხოვილი ვიდეორჩანწერებით, 2022 წლის 2 მაისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით და სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულთა მიერ 2022 წლის 13 აპრილის ეპიზოდების – ი. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ს. ჩ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

7.1. 2022 წლის 13 აპრილის პატიკის თანახმად, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელმა რ-რ. ს-ემ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ს. ჩ-მ და ი. დ-მ.... მდებარე ს..... მიმდებარე ტერიტორიაზე დადეს წინასწარ გასასაღებლად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალებები. ოპერატიულ პატიკზე არ ფიქსირდება შედგენის დრო.

7.1.1. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას რ. ს-ემ დაადასტურა ინფორმატორისგან პატიკში მითითებული შინაარსის ინფორმაციის მიღების ფაქტი, რის შესახებაც მოახსენა ხელმძღვანელობას, შემდეგ კი გამოიკითხა გამომძიებლის მიერ. გამოკითხვის ოქმში გამოკითხვის დროდ მითითებულია 18:11 – 18:25 სთ.

7.2. ბ. მდებარე ს-ს კომპიუტერული სისტემიდან გამოთხოვილი ვიდეომასალით დგინდება, რომ 2022 წლის 13 აპრილს, 17:27 საათიდან თ-ს მიმდებარედ გადაადგილდებიან ს. ჩ. და ი. დ. ს. ჩ. ს.....ს გვერდით გაზონში არსებული ბუჩქის ძირას რაღაც ნივთს დებს, ხოლო დ. მიდის გაზონში დარგულ პალმასთან, შემდეგ უკან ბრუნდება და უკვე ორივენი ერთად შედიან გაზონზე, რის შემდეგაც ი. დ. რაღაცას დებს ბუჩქის ძირში.

7.3. 2023 წლის 13 აპრილის ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმის თანახმად, 2022 წლის 13 აპრილის, 18:30- 19:45 საათის დროის მონაკვეთში დეტექტივ-გამომძიებელმა უ. კ-ემ, დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელ გ. ზ-ესთან და ექსპერტ-კრიმინალისტ ბ. ა-ესთან ერთად დაათვალიერა ქ. ბ.... მდებარე ს-ს მიმდებარე ტერიტორია. დათვალიერებისას მარმარილოს მსგავსი ქვით მოპირკეთებულ გაზონში მწვანე ბუჩქის ქვეშ აღმოაჩინეს მოლურჯო მწებავი ლენტის შენაფუთი, რომელიც გახსნის და დათვალიერების გარეშე მოთავსდა სპეც.პაკეტში, გაუკეთდა ინფორმაციული წარწერა, მოეწერა ხელი. თ-დან პირველ სასეირნო ზოლში გამწვანების გაზონში დარგული პალმის ძირში აღმოაჩინეს ერთი ცალი მოლურჯო ფერის მწებავი ლენტის შენაფუთი, რომელიც გახსნის და დათვალიერების გარეშე მოთავსდა სპეც. პაკეტში, გაუკეთდა ინფორმაციული წარწერა და მოეწერა ხელი (ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმს ერთვის შავ-თეთრი ფოტო-მასალა, რომელზეც გამოსახულია ადგილები, საიდანაც ამოღებულ იქნა მოლურჯო ფერის ორი ცალი შენაფუთი).

7.3.1. მონმის სახით დაკითხვისას საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებელმა გამომძიებელმა – უ. კ-ემ, მონაწილე პირებმა: გამომძიებელმა – გ. ზ-ემ და ექსპერტ-კრიმინალისტმა – ბ. ა-ემ დაადასტურეს მათ მიერ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების სისწორე და კანონთან შესაბამისობა.

7.4. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის აჭარის ა/რ საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2022 წლის 14 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის №...– დასკვნის თანახმად, მოყავისფრო ფერის ნივთიერება, წონით 1,194 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს 0,3374 გრამის ოდენობით; მოყავისფრო ფერის ნივთიერება, წონით 1,391 გრამი შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს 0,3362 გრამის ოდენობით.

8. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას, რომ ს.....ს მიმდებარე ტერიტორიიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერებში არ მოსჩანს მასზე აღბეჭდილი ორი პირბადიანი ადამიანის სახეები, ვინაიდან, ს. ჩ-ს პირბადე არ უკეთია, ხოლო ი. დ-ს პირბადე ჩამოწეული აქვს და ისე გადაადგილდებიან ქ. ბ.... მდებარე ს.....ს მიმდებარე ტერი-

ტორიაზე, რა დროსაც ს. ჩ. თ-ს გვერდით მარმარილოს მსგავს ქვით მოპირკეთებულ გაზონში, დებს როგორც შემდეგ ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, დიდი ოდენობით – 0,3374 გრამი – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, ხოლო ი. დ-ს.....ს გვერდით, ზღვის მხარეს პირველ ზოლში განთავსებულ გაზონში დარგული პალმის ხის ძირში დებს დიდი ოდენობით – 0,3362 გრამი – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს.

8. 1. დაუსაბუთებელია დაცვის მხარის მოთხოვნა ჩანაწერის არგაზიარების შესახებ. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე და დაცვის მხარეს ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, როგორც წარმოდგენილი მტკიცებულების გამოკვლევის, ასევე მტკიცებულების დამოუკიდებლად ან სასამართლოს მეშვეობით მოპოვების და წარმოდგენის უფლება (იხ. უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 იანვრის №951აპ-20 განჩინება; 2021 წლის 4 იანვრის №925აპ-20 განჩინება; 2020 წლის 17 ივლისის №30აპ-20 განჩინება; 2021 წლის 9 ივლისის განაჩენი №669აპ-20, I-56). შეჯიბრებით სამართალწარმოებაში მხარეები წყვეტენ რა მტკიცებულებებს და არგუმენტებს წარუდგენენ სასამართლოს და რა საკითხებზე იდავებენ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, II- 15). წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დგინდება რომ დაცვის მხარეს/მსჯავრდებულს არ მიეცა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა ჰაბიტოსკოპიური ან/და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზა და წარმოედგინა საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

9. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ ს. ჩ-მ ი. დ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,6736 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, საიდანაც 2022 წლის 13 აპრილს დიდი ოდენობით – 0,3374 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, ს. ჩ-მ განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს გვერდით მარმარილოს მსგავსი ქვით მოპირკეთებულ გაზონში, ხოლო დიდი ოდენობით – 0,3362 გრამი – ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ი. დ-მ განათავსა ქ. ბ.... მდებარე ს.....ს გვერდით, ზღვის მხარეს პირველ ზოლში განთავსებულ გაზონში დარგული პალმის ხის ძირში, რითიც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა და გასაღების მომზადება (ს. ჩ-მ არაერთგზის), წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: მოწმეთა: უ. კ-ის, ს. დ-ის, ბ. ა-ის ჩვენებებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ოქმით, 2022 წლის 19 აპრილის რ-რ. ს-ის ოპერატიული პატაკით, 2022 წლის 19 აპრილის ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმებით (ერთვის ფოტოსურათები), 2022 წლის 20 აპრილის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ფარული ვიდეოჩანანერებით, 2022 წლის 28 დეკემბრის №... ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ი. დ-ს ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაციითა და სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულთა მიერ 2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდების (შ. ხ....ის №... მდებარე საცხოვრებელი კორპუსის უკანა მხარეს განთავსებული სკვერის ნაწილი) – ი. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ს. ჩ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

10.1. ფარული საგამოძიებო მოქმედების ოქმის თანახმად, ს. ჩ-სა და ი. დ-ს მიმართ მოსამართლის განჩინების საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა 2022 წლის 19 აპრილის 16:28 – 16:30 სთ-მდე და იმავე დღის 17:16- 17:19 სთ-მდე დროის მონაკვეთში ქ. ბ....., შ. ხ....ის №... მდებარე საცხოვრებელი კორპუსის უკანა მხარეს განთავსებული სკვერის ცენტრში, ხ-ის ქუჩის მხარეს არსებულ პალმის ხესთან და ბ...-სი არსებულ ი-სი ხ-ზე განთავსებული გადასასვლელი ხიდის სიახლოვეს ბეტონის სკამთან.

10.1.1. ფარულ ჩანანერებში ასახულია 2022 წლის 19 აპრილს, 17:17 სთ-ზე ხ....ის №...- მიმდებარედ არსებულ სკვერში, ი. დ-ს მიერ მარცხენა ხელით რალაციის პალმის ხის მერქანში დადების ფაქტი, ამ დროს ი. დ-ს მარჯვენა ხელში უჭირავს მობილური ტელეფონი და უღებს ფოტოს. ფარული საგამოძიებო მოქმედების დროს მოპოვებულ ვიდეომასალაში ასევე ასახულია ს. ჩ-სა და ი. დ-ს გადაადგილება ბ...-ის ტერიტორიაზე, ი-სი, თუმცა კონკრეტული მოქმედებები გარკვევით არ ჩანს.

10.2. დეტექტივის თანამემჩნე-გამომძიებლის რ-რ. ს-ის 2022 წლის 19 აპრილის ოპერატიული პატაკის თანახმად, ა-ს დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ ს. ჩ-მ და ი. დ-მ ქ. ბ....., ხ....ის №... მდებარე კორპუსის უკანა მხარეს არსებულ სკვერში, ხ-ის ქუჩის მხარეს არსებულ პალმის ხესა და ზღვისპირა ბ...-სი არსებულ ი-

სი ხ-ზე განთავსებული გადასასვლელი ხიდის სიახლოვეს ბეტონის სკამ-თან დადეს წინასწარ გასასაღებლად დაფასოებული ნარკოტიკული სა-შუალებები.

10.2.1. პატაკთან დაკავშირებით რ-რ. ს-ე მოწმის სახით გამოიკითხა 2022 წლის 19 აპრილს, 19:52 – 20:15 სთ-მდე დროის შუალედში.

10.3. 2022 წლის 19 აპრილის ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმის თანახმად, გამომძიებელმა უ. კ-ემ 20:40 – 21:03 სთ-მდე დროის შუალედში დაათვალიერა ქ. ბ....., ხ.....ის №... მდებარე კორპუსის სკვერი, სადაც ერთ-ერთ პალმის ხეზე ძაფოვან-ბუსუსოვან საფარში იპოვა მო-ლურჯო ფერის მწებავი ლენტის შენაფუთი, რომელიც გაუხსნელად მო-თავსდა სპეცპაკეტში, მოენერა ხელი და დაილუქა (დათვალიერების ოქმს ერთვის საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას გადაღებული ფო-ტოსურათები).

10.4. 2022 წლის 19 აპრილის ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქმის თანახმად, გამომძიებელმა უ. კ-ემ 21:15 – 21:36 სთ-მდე დროის შუალედში დაათვალიერა ბ.... მდებარე ი-სი მდგარ მარმარილოს ქანდა-კებასა და ხ-ზე გადასასვლელ ხიდს შორის არსებული ადგილი, სადაც სამკუთხა ფორმის ქვის სკამსა და გაზონს შორის, გაზონის ძირში აღ-მოაჩინა ერთი ცალი ლურჯი ფერის შენაფუთი, რომელიც გაუხსნელად მოთავსდა სპეც. პაკეტში და დაილუქა (დათვალიერების ოქმს ერთვის საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას გადაღებული ფოტოსურათე-ბი).

10.5. 2022 წლის 19 აპრილის შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ნარკოტიკული საშუალების ამოღების – საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებელმა გამომძიებელმა უ. კ-ემ და მონაწილეებმა ს. დ-ემ და ბ. ა-ემ დაადასტურეს მათ მიერ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების სისწორე და კანონთან შესაბამისობა.

10.6. ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ქ. ბ....., შ. ხ.....ის ქუჩის №...-ს მიმდებარე სკვერში ამოღებული ფხვნილი, წონით 1,843 გრამი შეიცავს 0,585 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს; ქ. ბ....., ბ....-სი ი-სი ამოღებული ფხვნილი, წონით 0,445 გრამი – შეიცავს 0,121 გრამ ნარ-კოტიკულ საშუალება ჰეროინს და 0,0074 გრამ ნარკოტიკულ საშუალე-ბა „მორფინს“ (მარილი).

10.7. 2022 წლის 28 დეკემბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის №.. დას-კვნის თანახმად, ბ....-სი ი-სი ამოღებული შეკვრის ქაღალდის და იზო-ლენტის ნაწყვეტზე, ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალური კონ-ცენტრაცია არ აღმოჩნდა. ქ. ბ....., ხ.....ის №... მდებარე სკვერიდან ამო-ღებული შეკვრის პოლიეთილენის და იზოლენტის ნაგლეჯებზე აღმოჩ-ნდა ადამიანის ბიომასალა, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის ი. დ-ს.

11. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ფარული ვიდეოჩანაწერებით დასტურდება ი. დ-სა და ს. ჩ-ს გადაადგილება 2022 წლის 19 აპრილს ქ. ბ....., ხ.....ის ქუჩის №...-ში მდებარე კორპუსის უკანა მხარეს არსებულ სკვერში. კადრებში ჩანს, ი. დ-ს მიერ ხ.....ის №...ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, პალმის მერქანში მარცხენა ხელით რალაცის დადებისა და მარჯვენა ხელში არსებული ტელეფონით ფოტოს გადაღების ფაქტები (საიდანაც შემდგომში ადგილმდებარეობის დათვალიერებისას 2022 წლის 19 აპრილს 20:40-21:03 საათზე ამოიღეს მოლურჯო ფერის მწებავი ლენტის შენაფუთი, რომელშიც აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი). იმავედროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქ. ბ....., ხ.....ის №...- მდებარე სკვერიდან ამოღებული შეკვრის პოლიეთილენის და იზოლენტის ნაგლეჯებზე აღმოჩნდა ადამიანის ბიომასალა, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის ი. დ-ს.

11.1. დაუსაბუთებლობის გამო არ იზიარებს სასამართლო დაცვის მხარის მსჯელობას, რომ თითქოსდა სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ს. ჩ-სა და ი. დ-ს მიერ მათთვის მსჯავრდებურობის დადგენისა და დასჯის საფუძველზე განსაზღვრული პირობების დარღვევა. ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის ფარული ვიდეოჩანაწერებით, ი. დ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაციით) დასტურდება მსჯავრდებულთა ურთიერთშეთანხმებული, ჯგუფური მოქმედება.

11.2. რაც შეეხება ი-დან ამოღებულ შენაფუთს (რომლის აღმოჩენაც მოხდა ასევე ადგილმდებარეობის დათვალიერებისას, 2022 წლის 19 აპრილს, 21:15 სთ-დან – 21:36 სთ-მდე დროის შუალედში) სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ი-სი ამოღებული შეკვრის ქაღალდსა და იზოლენტის ნაწყვეტზე გენოტიპირებისთვის საკმარისი ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალური კონცენტრაცია არ აღმოჩნდა. ამასთან, განსხვავებით ხ.....ის ქ-ზე მდებარე სკვერისგან, ი-სი ფარული საგამოძიებო მოქმედებისას გადაღებული ვიდეოკადრები ვერ აფიქსირებს ნივთის კონკრეტულ ადგილზე განთავსების ფაქტს (ვიდეოკადრებში ასახულია მხოლოდ მსჯავრდებულთა გადაადგილება მითითებულ ტერიტორიაზე). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებენ ი-სი ს. ჩ-სა და ი. დ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების დადების ფაქტს, რის გამოც ბრალდებით გათვალისწინებული 2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდისა და ს. ჩ-სა და ი. დ-ს უნდა ამოერიცხოთ ი-სი გასაღების მიზნით ნარკოტიკული საშუალების განთავსების და ამავდროულად ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენის და შენახვის ბრალდება, რო-

მელიც საბოლოო ქმედების კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ ახდენს.

12. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ ი. დ-მ, ს. ჩ-სთან ერთად გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა დიდი ოდენობით – 0,585 გრამ – ნარკოტიკულ საშუალება პეროინს, რომელიც 2022 წლის 19 აპრილს, ი. დ-მ მოათავსა ქ. ბ....., ხ.....ის ქ. №-ში მდებარე კორპუსის უკან არსებულ სკვერში, რითიც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა და გასაღების მომზადება (ს. ჩ-მ არაერთგზის), წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: მოწმეთა: რ-რ. ს-ის, უ. კ-ის, ს. დ-ის, ე. ჯ-ის (ექსპერტ-კრიმინალისტი), ლ. გ-ის, გ. ნ-ის, მ. რ-ის ჩვენებებით, 2022 წლის 2 მაისის რ. ს-ის პატაკით, 2022 წლის 2 მაისის ი. დ-ს პირადი ჩხრეკის ოქმის (ერთვის ფოტომასალა), 2022 წლის 2 მაისის ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის ოქმის (ერთვის ფოტომასალა), 2022 წლის 2 მაისის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ამოღებების ოქმების, 2022 წლის 3 მაისის განჩინებებით (რომლებითაც კანონიერად იქნა ცნობილი 2022 წლის 2 მაისის გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ამოღებები), ი. დ-ს ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, 2022 წლის 4 მაისის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №... დასკვნით (მხარეთა მიერ ცნობილია უდავოდ) და სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულთა მიერ 2022 წლის 2 მაისის ეპიზოდების – ს. ჩ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ი. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

13.1. 2022 წლის 2 მაისის ინფორმაციული პატაკის თანახმად, გამომძიებელმა რ. ს-ემ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, ს. ჩ. და ი. დ. ქ. ბ....., ვ-ს №... მიმდებარედ არსებულ სკვერში აპირებენ დააწყონ წინასწარ გასასაღებლად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალებები.

13.1.1. გამომძიებელმა რ-რ. ს-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას დაადასტურა პატაკში მითითებული ინფორმაციის ოპერატიული გზით მიღების და აღნიშნულის შესა-

ხებ ხელმძღვანელობისთვის მოხსენების ფაქტი.

13.2. 2022 წლის 2 მაისს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებული ი. დ-ს პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ჩხრეკა ჩატარდა ქ. ბ....., ვ-ს №... მოპირდაპირედ არსებულ სკვერში 18:35 სთ-დან – 19:37 სთ-მდე. ი. დ-ს ჟილეტის გარე მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს ოთხი ცალი მომწვანო-მოყვითალო ფერის მწებავი ლენტის შენაფუთი, ერთი ცალი კანფეტის მსგავსი შენაფუთი, ხოლო სპორტული ზედა სამოსის მარჯვენა ჯიბიდან – თერთმეტი ცალი მომწვანო-მოყვითალო ფერის მწებავი ლენტის შენაფუთი. შენაფუთები ადგილზევე დაილუქა. საგამოძიებო მოქმედებისას ასევე ამოიღეს ი. დ-ს მობილური ტელეფონი, საფულე და პირადი ნივთები. პირადი ჩხრეკის ოქმზე დაფიქსირებული შენიშვნის თანახმად, ი. დ-ს განმარტებით „ნარკოტიკის ინახავს საცხოვრებელ სახლშიც. ნარკოტიკული საშუალება გასაღების მიზნით ერთ შენაფუთად დადო ამავე სკვერში მუზეუმისკენ მიმავალ ბილიკთან გაზონის კუთხეში...“ შენიშვნის ქვემოთ დაფიქსირებულია დ.ს ხელმოწერა. ოქმზე ხელისმოწერითაა დადასტურებული, რომ ჩხრეკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით ი. დ-ს მხრიდან რაიმე პრეტენზია არ გამოთქმულა (ოქმს ერთვის ჩხრეკის მიმდინარეობისას გადაღებული ფოტომასალა).

13.3. გამომძიებელმა უ. კ-ემ, პოლიციის თანამშრომლებმა: ს. დ-ემ და ხ. ფ-ემ, ექსპერტ-კრიმინალისტმა ე. ჯ-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას დაადასტურეს მათ მიერ ი. დ-ს პირადი ჩხრეკის ფაქტი და საგამოძიებო მოქმედების კანონთან შესაბამისობა.

13.4. 2022 წლის 2 მაისს სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ჩატარებული ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ჩხრეკა ჩატარდა ქ. ბ..... ვ-ს №... მოპირდაპირედ არსებულ სკვერში 19:10-19:42 საათებს შორის დროის შუალედში. ს. ჩ-ს წარედგინა სასამართლოს განჩინება პირადი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე და მიეცა წინადადება თუ ინახავდა, წარმოედგინა ნარკოტიკული საშუალებები. ს. ჩ-მ განაცხადა, რომ ქურთუკის მარჯვენა ჯიბეში ინახავდა რვა პაკეტად დაფასოებულ ნარკოტიკულ საშუალებას, რის შემდეგაც თავისივე ხელით შავი ფერის ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღო და წარმოადგინა რვა ცალი მოყვითალო-მომწვანო ფერის მწებავი ლენტის შენაფუთი, რომლებიც ექსპერტ-კრიმინალისტიკის მიერ დასურათდა და დაილუქა. ს. ჩ-სგან ასევე ამოიღეს მობილური ტელეფონი, ფულადი თანხა, „ს-ს“ პლასტიკური ბარათი. საგამოძიებო მოქმედების ოქმში ასევე დაფიქსირებულია ს. ჩ-ს განმარტება, რომ ორ შენაფუთად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება დადო იმავე სკვერში არსებული შადრევნის მარცხენა მხარეს ვ-ს ბიუსტის უკან გაზონთან ბალახებში, მეორე შენაფუთი დადო შად-

რევენის მარჯვენა მხარეს მუზეუმის კედელთან ახლოს ქვის სკამის უკან მდებარე გაზონის ბალახებში. ს. ჩ. ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნული განმარტების სისწორეს, ისევე როგორც მთლიანად ოქმს. ოქმზე ხელმოწერითაა დადასტურებული, რომ ჩხრეკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით ს. ჩ-ს მხრიდან რაიმე პრეტენზია არ გამოთქმულა (ოქმს ერთვის ჩხრეკის მიმდინარეობისას გადაღებული ფოტომასალა).

13.4.1. გამომძიებლებმა: ლ. გ-ემ და გ. ნ-ემ, ექსპერტ-კრიმინალისტმა მ. რ-ემ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას დაადასტურეს მათ მიერ ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის ჩატარების ფაქტი და ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონთან შესაბამისობა.

13.5. 2022 წლის 2 მაისს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ამოღების ოქმის თანახმად, ქ. ბ....., ვ. ფ-ას ქ. №... მოპირდაპირედ სკვერში,ას ბიუსტსა და მუზეუმს შორის ტერიტორიაზე, სავალი ბილიკიდან მარჯვნივ გაზონის კუთხეში, ი. დ-ს მითითებით ამოიღეს მომწვანო-მოყვითალო ფერის ერთი ცალი შენაფუთი, რომელიც დაილუქა ადგილზე. საგამომძიებო მოქმედების ოქმში ასახული გარემოებების სისწორე ხელმოწერით დაადასტურეს მასში მონაწილე პირებმა, მათ შორის ი. დ-მ (ამოღების ოქმს ერთვის ფოტომასალა, რომლებშიც პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გამოსახულია ი. დ., რომელიც პოლიციის თანამშრომლებს უთითებს გაზონის მიმართულებით თითო, ფოტოებში ასევე ასახულია ადგილი, საიდანაც მოხდა შენაფუთის ამოღება და ამოღებული ნივთიც).

13.5.1. 2022 წლის 3 მაისის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით კანონიერად იქნა ცნობილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ამოღება.

13.6. 2022 წლის 2 მაისს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ამოღების ოქმის თანახმად, ქ. ბ.....,ას ქუჩის №... მოპირდაპირედ სკვერში მდებარე შადრევნის მარცხენა მხარეს არსებული, ვ... ფ.....ას ბიუსტის უკან, ფეხით სავალი ნაწილის მარჯვნივ გაზონის კუთხეში, მინის ზედაპირზე ბალახში და ამავე შადრევნის მარჯვენა მხარეს მუზეუმის შენობის კედელთან მდებარე დასაჯდომის უკან, გაზონის კუთხეში მინის ზედაპირზე ბალახში, ს. ჩ-ს მითითებით ამოიღეს მოყვითალო-მომწვანო ფერის მწებავი ლენტის ორი შენაფუთი. ს. ჩ-მ ხელმოწერით დაადასტურა ოქმში ასახული გარემოებების სისწორე, საგამომძიებო მოქმედების მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით ს. ჩ-ს მხრიდან პრეტენზია არ გამოთქმულა (ამოღების ოქმს ერთვის ფოტომასალა. ფოტოებში პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გამოსახულია ს. ჩ., რომელიც პოლიციის თანამშრომლებს უთითებს გარკვეული

მიმართულებით. ფოტოებში დაფიქსირებულია ადგილი, საიდანაც მოხდა შენაფუთების ამოღება, ასევე ჩანს ამოღებული ნივთებიც).

13.6.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 მაისის განჩინებით კანონიერად იქნა ცნობილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ამოღება.

13.7. 2022 წლის 24 მაისის ინფორმაციის გამოთხოვის ოქმის თანახმად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ს. ჩ-ს მობილური ტელეფონიდან იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია, მათ შორის გამოთხოვილი ფოტო, რომელზეც გამოსახულია კედლის წინ, გაზონში ჩარგული ორი ბუჩქის ხე და ქვის დასაჯდომი, მონმე გ. ნ-ის განმარტებით, აღნიშნულ ფოტოზე ასახულია სწორედ ის ადგილი, რომელზეც 2022 წლის 2 მაისს ს. ჩ-მ მიუთითა და მისი მითითებით აღნიშნული დასაჯდომის უკან მდებარე გაზონიდან ამოიღეს პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება.

13.8. 2022 წლის 24 მაისის ინფორმაციის გამოთხოვის ოქმის თანახმად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ი. დ-ს მობილური ტელეფონიდან გამოითხოვეს ინფორმაცია, მათ შორის ერთი ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია გაზონის კუთხე, მონმე ს. დ-ის განმარტებით, ფოტოზე სწორედ ის ადგილია გამოსახული, რაც 2022 წლის 2 მაისს ი. დ-მ მიუთითა და მისი მითითებით აღნიშნული გაზონის შიგნით ადგილიდან ამოიღეს ერთ პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება.

13.9. 2022 წლის 4 მაისის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ი. დ-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ფხვნილი, შეიცავს 1,913 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს; ი. დ-ს მითითებით ამოღებული ფხვნილი, წონით 1,324 გრამი შეიცავს 0,122 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს; ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ფხვნილი, წონით 11,949 გრამი შეიცავს 1,106 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს; ს. ჩ-ს მითითებით ამოღებული ფხვნილი, წონით 3,221 გრამი შეიცავს 0,298 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს;

13.10. ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად (მხარეთა მიერ ცნობილია უდავოდ), ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ შენაფუთებზე აღმოჩნდა ადამიანის ბიომასალა, შერეული გენეტიკური პროფილით, რომლის მინორული წილი ეკუთვნის ი. დ-ს, მაჟორული წილი არ ეკუთვნის ს. ჩ-ს. ი. დ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულ შენაფუთებზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი შეერეულია, რომლის მაჟორული წილი ეკუთვნის ი. დ-ს. ი. დ-ს მითითებით ამოღებულ შენაფუთებზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი შეერეულია, რომლის მაჟორული წილი ეკუთვნის ი. დ-ს. ს. დ-ს მითითებით ამოღებულ შენაფუთებზე გენოტიპირებისათვის საკმარისი

ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალური კონცენტრაცია არ აღმოჩნდა.

14. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გამოკვლეულ იქნა დაცვის მხარის – მსჯავრდებულ ს. ჩ-სა და მისი ინტერესების დამცველის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – ტელეარხ „...“-ის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ფოტოსურათი და ამავე ტელეარხიდან გამოთხოვილი ვიდეომასალა.

14.1. ვიდეომასალა, რომელიც 2022 წლის 2 მაისით თარიღდება, დაცვის მხარისვე მტკიცებით ასახავს ს. ჩ-ს პირად ჩხრეკას (ვიდეოჩანაწერში პირი, რომლის ჩხრეკაც მიმდინარეობს, ჩანს ზურგიდან). ს. ჩ-ს ორივე მხარეს უდგანან პოლიციის თანამშრომლები, ჩანს მის წინ მდგარი გამომძიებელიც, ასევე მომენტი, როდესაც ს. ჩ-ს ქურთუკის ჯიბიდან საკუთარი ხელით იღებს ყვითელ-მწვანე ფერის შენაფუთებს და ალაგებს იქვე მდგარი სკამის ზედაპირზე.

14.2. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ ფოტოზე ასახულია დუტისქურთუკიანი მამაკაცი, რომელსაც კაპიუშონი ახურავს თავზე, გამოსახულია ზურგის მხრიდან, ორივე გვერდიდან უდგანან პოლიციის ფორმიანი პირები, რომლებსაც მის ორივე ხელზე აქეთ-იქიდან ხელი აქვთ ჩაკიდებული. ფოტოზე აღნიშნულია დრო – 02.05 – 19:01.

15. ტელეარხ „ტ...“-ის ფეისბუქ გვერდზე განთავსებულ ფოტოსურათსა და ს. ჩ-ს ჩხრეკის ოქმზე არსებულ დროებს შორის 9 წუთიან ცდომილებასთან დაკავშირებით სასამართლო ითვალისწინებს, რომ ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკა ჩატარდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერითაც დგინდება, რომ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციის თანამშრომელთა და გამომძიებელთა მიერ გაკეთებული განმარტებების იდენტურად ს. ჩ. ნამდვილად თავისი ხელით იღებს და იქვე გვერდით მდგარ სკამზე ყრის ზუსტად იმ აღწერილობის და იმდენ ცალ შენაფუთს, როგორც ეს ასახულია საგამოძიებო მოქმედების ოქმში. საგამოძიებო მოქმედების ოქმში საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროის არასწორად მითითება, მნიშვნელოვანია დაკავების ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის (საქართველოს სსსკ-ის 36-ე მუხლის პირველი ნაწილით ამ კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით), მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს ისეთი არსებითი ხასიათის შეცდომას, რომელიც გამოიწვევდა მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკისა – და ამ ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულების დაუშვებლად

ცნობას.

16. დაუსაბუთებლობის გამო არ იზიარებს ასევე სასამართლო დაცვის მხარის მსჯელობას, რომ ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის ოქმი არ უნდა შედგენილიყო, რადგან მოხდა მისი დაკავება და დაკავებისას პირადი ჩხრეკის ოქმი ცალკე არ დგება. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკა ჩატარდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის განჩინების საფუძველზე და არა გადაუდებელი აუცილებლობით. განჩინებით გაიცა ნებართვა ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკის ჩატარებაზე, ხოლო მისი დაკავება მოხდა პირადი ჩხრეკის შემდგომ – პირადი ჩხრეკის შედეგიდან გამომდინარე (მან წარმოადგინა ნარკოტიკული საშუალებები ნებაყოფლობით).

16.1. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ კასატორის მიერ მითითებული რეგულაცია საქართველოს სსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხოლოდ დაკავების ოქმის შედგენას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დაკავებული პირის მიმართ, ამავე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას, სასამართლოს განჩინების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობით პირადი ჩხრეკის ჩატარებას. განსახილველ შემთხვევაში კი, ს. ჩ-ს მიმართ ჯერ განხორციელდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირადი ჩხრეკა და მხოლოდ ამის შემდეგ მისი დაკავება.

16.2. რაც შეეხება ს. ჩ-სათვის თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, სასამართლო ითვალისწინებს შემთხვევის ადგილზე არსებულ ვითარებას, კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პოლიციელებმა დაადასტურეს, რომ ი. დ-ს პირადი ჩხრეკა რამდენიმე წუთით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ს. ჩ-სი და ასევეა დაფიქსირებული შესაბამის ოქმებშიც. ექსპერტ-კრიმინალისტებმა ე. ჯ-ემ და მ. რ-ემ განმარტეს, რომ ე. ჯ-ე უფრო ადრე მივიდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილას და როდესაც შეიტყო, რომ საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარებულიყო ორ პირთან, გამოიძახა ექსპერტი მ. რ-ე. ე. ჯ-ე მონაწილეობდა უფრო ადრე დაწყებულ ი. დ-ს პირად ჩხრეკაში, ხოლო მ. რ-ე – მოგვიანებით დაწყებულ, ს. ჩ-ს პირად ჩხრეკაში. შესაბამისად, ი. დ-ს პირადი ჩხრეკის დაწყებისთანავე ს. ჩ-სთვისაც გახდა ცნობილი, რომ მასაც ჩაუტარდებოდა საგამოძიებო მოქმედება, რამიზნითაც ჰყავდათ შეჩერებული იგი პოლიციის თანამშრომლებს.

17. დაუსაბუთებელია დაცვის მხარის მსჯელობა ს. ჩ-ს უდანაშაულოდ ცნობის შესახებ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ პოლიცია არ დაელოდა ნარკოტიკების შემძენი პირების მიერ სარეალიზაციოდ დამალული ნარკოტიკების სამალავიდან აღებას. სასამართლო ერთი მხრივ ითვალისწინებს, რომ ნარკოტიკული საშუალების შემძენი პირების გამოუვლენობა და დანაშაულის იმ ეტაპზე აღკვეთა, რა დროსაც მსჯავ-

რდებულებმა განათავსეს ნარკოტიკული საშუალებები, მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, არ მიუთითებს ს. ჩ-ს უდანაშაულობაზე, თუმცა გავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. კერძოდ, სწორედ მიუთითებული გარემოებების (არ მომხდარა გამოვლენა ვისთვის დაიდო ნარკოტიკული საშუალება) გათვალისწინებით დაკვალიფიცირდა ს. ჩ-სა და ი. დ-ს ქმედებები ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადებად და არა დასრულებულ დანაშაულად. შესაბამისად, აღნიშნულზე აპელირება დაცვის მხარის მიერ არ შეესაბამება საქართველოს სსსკ-ით 44-ე მუხლის პირველი ნაწილით ადვოკატზე დაკისრებულ მოვალეობას.

18. რაც შეეხება დაცვის მხარის მტკიცებას ს. ჩ-ს პირადი ჩხრეკისა და დაკავებისას ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო არაადეკვატურობაზე, სასამართლო ითვალისწინებს, სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნას, რომლის თანახმად, ბრალადშერაცხილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ს. ჩ-ს შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა). სასამართლო ასევე ითვალისწინებს, ექსპერტ თ. ჭ-ს ჩვენებას, რომელმაც განმარტა, რომ დაკავებისას, ს. ჩ-ს ჰქონდა თუ არა ნარკოტიკული საშუალება მიღებული ამის თქმა მას არ შეუძლია, ნარკოტიკულ შიმშილს ნარკოტიკული საშუალებების მანამდე მიღება, ნარკოტიკული შიმშილის დაწყების დროს განსაზღვრავს მიღებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობა და სახეობა. სირეცის მიღების შემთხვევაში ნარკოტიკული შიმშილი შესაძლოა დაიწყოს მესამე, მეოთხე დღესაც. იმ შემთხვევაშიც, თუ პირი ნარკოტიკული საშუალებების ხშირი მომხმარებელია ძირითადად მესამე-მეოთხე დღეს იწყება ნარკოტიკული შიმშილი. შესაბამისად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ს. ჩ-ს დაკავების მეორე დღეს, 3 მაისს, დაეწყო „ნარკოტიკული შიმშილი“ და საჭირო გახდა მისი გადაყვანა კლინიკაში, ვერ ადასტურებს, რომ 2 მაისს, ს. ჩ. მის მიმართ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას და დაკავებისას იყო ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, რაც არაადეკვატურს ხდიდა მას.

18.1. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაკავებიდან მეორე დღეს, 3 მაისს, „ნარკოტიკული შიმშილი“ დაეწყო ასევე ი. დ-საც, რომელიც ასევე გადაიყვანეს კლინიკაში. ი. დ-სთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნას (რომელიც ჩატარდა დაკავებიდან რამდენიმე საათში). დასკვნის თანახმად, კლინიკურად ი. დ- დაკავებიდან რამდენიმე საათშიც კი არ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და მხო-

ლოდ ლაბორატორიული გამოკვლევით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. ი. დ-ს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ბრალდშერაცხილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ი. დ-ს შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა). ანალოგიურ გარემოებებზე მიუთითა ექსპერტმა თ. ჭ-მ ი. დ-სთან მიმართებითაც.

18.2. იმავდროულად, დაცვის მხარესაც არ წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა, რომ ი. დ. ან/და ს. ჩ. მათ მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას იმყოფებოდნენ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ და არ შეეძლოთ ეხელმძღვანელათ საკუთარი ქმედებებისათვის.

19. 2022 წლის 2 მაისის ამოღების (ს. ჩ-ს მითითებით იქნა ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები) კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებისა და ს. ჩ-ს მიმართ ამ პროცესში განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ კასატორის მტკიცებასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება ამოღების კანონიერება შემოწმებული იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ და კანონიერად იქნა ცნობილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 3 მაისის განჩინებით. შესაბამისად, დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა კანონით დადგენილი წესით გაესაჩივრებინა მოცემული განჩინება და მოეთხოვა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა და აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა. იმავდროულად, ს. ჩ-ს დაკავების ოქმში არ არის მითითებული რაიმე სახის დაზიანებაზე (ოქმის თანახმად – „დაკავებულს გარეგნულად რაიმე ფიზიკური დაზიანების კვალი არ აღენიშნება“. ამასთან, ს. ჩ-მ უარი განაცხადა დაკავების შემდგომ სამედიცინო შემოწმების ჩატარებაზე.

19.1. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 191¹-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის კანონისმიერი საფუძველი, თუმცა განმარტავს, რომ მსჯავრდებული უფლებამოსილია, მის მიმართ უფლებების დარღვევის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, თავად/ადვოკატის მეშვეობით მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს.

19.2. სასამართლო ასევე არ ითვალისწინებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ ს. ჩ-ს მითითებით ნარკოტიკული საშუალების ამოღებასთან მიმართებით წარმოდგენილია მხოლოდ ამოღების ოქმი და ითვალისწინებს 2022 წლის 24 მაისის ინფორმაციის გამოთხოვის ოქმს, რომლის

თანახმად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ს. ჩ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი იქნა ფოტო, რომელზეც გამოსახულია კედლის წინ, გაზონში ჩარგული ორი ბუჩქის ხე და ქვის დასაჯდომი. მონმე გ. ნ-ის განმარტებით, აღნიშნულ ფოტოზე ასახულია სწორედ ის ადგილი, საიდანაც 2022 წლის 2 მაისს ს. ჩ-ს მითითებით დასაჯდომის უკან მდებარე გაზონიდან ამოღებული იქნა პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება. შესაბამისად, იმ ადგილზე ინფორმაცია (ფოტოს სახით), საიდანაც მოხდა ნარკოტიკული საშუალების ამოღება, მოიპოვებოდა ასევე ს. ჩ-ს მობილურ ტელეფონში.

20. ამასთან, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ჩხრეკა/ამოღების მიმდინარეობისას მხოლოდ ფოტო გადაღება/ფიქსაცია ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „გიორგი ქეპურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2020 წლის 25 დეკემბერი, №2/2/1276), გადაწყვეტილების მიზნებს, რადგან არ ახდენს საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის და არა მხოლოდ შედეგის ფიქსაციას. შესაბამისად, ფოტოს გადაღება ვერ ჩაითლება იმ გონივრულ ზომად, რაც უზრუნველყოფს ჩხრეკა/ამოღების მიმდინარეობის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მაქსიმალურად სრულად/უწყვეტად ფიქსაციას, რადგან ფოტოსურათის კადრი არ იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას. ამდენად, ფოტოსურათი/ფოტოსურათები ვერ ჩაანაცვლებს ვიდეოჩანაწერს, რომელიც ფოტოსურათისაგან განსხვავებით სრულად ასახავს, უმეტეს შემთხვევაში, დაცვის მხარისათვის სადავო ვითარებას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 10 ივნისის განაჩენი №1348აპ-24, I-14.1).

21. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ს. ჩ-ს მართებულად ამოერიცხა ბრალდებიდან (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული – 2022 წლის 2 მაისის ეპიზოდი) ი. დ-ს საცხოვრებელი სახლიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 9,393 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის ამოღების ნაწილი, ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმეში ნარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურება ს. ჩ-ს შემხებლობა ი. დ-ს სახლიდან ამოღებულ 9,393 გრამ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინთან. თუმცა აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენს ს. ჩ-ს ქმედების საბოლოო კვალიფიკაციაზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

22. იმავდროულად, სასამართლო ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, ი. დ-ს მიმართ მისი საცხოვრებელი სახლიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 9,393 გრამი ნარკოტი-

კული საშუალება პეროინის ამოღების ნაწილში.

23. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ი. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში (მსჯავრდების ნაწილში) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

24. რაც შეეხება კასატორი ბრალდების მხარის მოთხოვნას, მსჯავრდებულების მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „აუცილებელია, სასჯელი ადეკვატურად შეესატყვისებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს. იმ პირობებში, როდესაც სასჯელის სიმკაცრე აშკარად აჭარბებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ეჭვქვეშ დგება დაწესებული სასჯელისა და მისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული დამოკიდებულება. აშკარად მკაცრი და არაგონივრული სასჯელი ზედმეტად შორდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს, ხდება თვითმიზანი და ადამიანის ობიექტივიზაციის საფუძველი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

25. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, წარმოდგენილი მტკიცებულებები და მსჯავრდებულების ინდივიდუალური მახასიათებლები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა, რის შედეგადაც, ს. ჩ-სა და ი. დ-ს განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) და შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

26. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩა-

იდინა.

27. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ან „გ“-„ე“ ქვეპუნქტებით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებისა, წარმოებისა, შეძენისა, შენახვისა, გადაზიდვისა ან გადაგზავნისა). ხოლო, მე-3 მუხლის პირველი პუნქტით ერთი მეოთხედით უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებისა, წარმოებისა, შეძენისა, შენახვისა, გადაზიდვისა ან გადაგზავნისა). ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

28. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

29. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ი. დ-ს მსჯავრად აქვს შერაცხილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 13 აპრილისა და 19 აპრილის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

29.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის გავრცელებაზე და ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ი. დ-ს მართებულად შეუმცირა $\frac{1}{2}$ -ით სასჯელი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნულზე დამატებით აღარ იმსჯელებს.

29.2. ი. დ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილისა და 19 აპრილის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის სასჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე არ ვრცელდება პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებას არ შეიცავს ასევე ამავე კანონის მე-7 მუხლი. შესაბამისად, ი. დ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილისა და 19 აპრილის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის განსაზღვრული სასჯელები უნდა შეუმცირდეს $\frac{1}{6}$ -ით.

29.2.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 13 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით უნდა შეუმცირდეს $\frac{1}{6}$ -ით და განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

29.2.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით უნდა შეუმცირდეს $\frac{1}{6}$ -ით და განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

29.2.3. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით უნდა შეუმცირდეს $\frac{1}{6}$ -ით და უნდა განესაზღვროს – 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

30. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4, მე-5 ან მე-7 ნაწილით. შესაბამისად, ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (სამი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილის, 19 აპრილის და 2 მაისის ეპიზოდები) მსჯავრდმერა ცხილი დანაშაულებისათვის განსაზღვრულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება არ ვრცელდება.

31. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ს. ჩ-ს მსჯავრდ აქვს შერაცხილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილისა და 19 აპრილის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

31.1. ს. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილისა და 19 აპრილის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის სასჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე არ ვრცელდება პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებას არ შეიცავს ასევე ამავე კანონის მე-7 მუხლი. შესაბამისად, ს. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილისა და 19 აპრილის ეპიზოდები) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის განსაზღვრული სასჯელები უნდა შეუმცირდეს 1/6-ით.

31.1.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 13 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით უნდა შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

31.1.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 19 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 6 წლით თავისუფ-

ლების აღკვეთა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით უნდა შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

31.1.3. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით უნდა შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

32. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4, მე-5 ან მე-7 ნაწილით. შესაბამისად, ს. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (სამი ეპიზოდი – 2022 წლის 13 აპრილის, 19 აპრილის და 2 მაისის ეპიზოდები) მსჯავრდებულად დასაშაულებსათვის განსაზღვრულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება არ ვრცელდება.

33. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით ს. ჩ-სთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი. შესაბამისად, სასამართლო იმსჯელებს მოცემული განაჩენით ს. ჩ-სათვის მსჯავრდებულად დასაშაულებზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გავრცელების შესახებ.

34. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით:

34.1. ს. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – 5 წლით, 7 თვითა და 3 დღით. დანიშნული სასჯელიდან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასჯელის ნაწილი – 7 თვით და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა – განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, დარჩენილი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა აეთვალა პირობითად საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე.

34.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

34.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ ს. ჩ-ს განაჩენთა ერთობლიობით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით, 7 თვით და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელიდან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სასჯელის ნაწილი – 7 თვითა და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა – განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, დარჩენილი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად – 5 ხუთი წლის გამოსაცდელი ვადით.

34.4. მსჯავრდებულ ს. ჩ-ს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2017 წლის 3 დეკემბრიდან.

34.5. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4¹ პუნქტის შესაბამისად 6 თვით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 5 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ჩამოერთვა 10 წლით.

35. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 8 თებერვლის განჩინებით, ს. ჩ-ს მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულად ცხილ დანაშაულებზე არ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი.

36. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის განაჩენით:

36.1. ს. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. ბ-ის უპიზოდო) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით;

36.2. ს. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებ-

ბულ ი. ზ-ის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით – 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

36.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა თანაბარი ზომის სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი ზომის სასჯელი და საბოლოოდ, ს. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად დაენიშნა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

36.4. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 27.08.2015 წლიდან, 02.09.2015 წლამდე.

37. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ს. ჩ-ს მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ-რაცხილ დანაშაულებზე არ ვრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი.

38. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის განაჩენთან მიმართებით სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასჯელისაგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ხოლო, ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

38.1. ს. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი), გათვალისწინებული დანაშაულებისათვის სასჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებას არ შეიცავს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი-მე-3 მუხლები, ს. ჩ-ს არ ჩაუდენია ასევე ამავე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. შესაბამისად, ს. ჩ-სათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულებისათვის განსაზღვრუ-

ლი სასჯელი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უნდა შემცირდეს 1/6-ით.

38.1.1. ს. ჩ-სათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. ბ-ის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უნდა შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით).

38.1.2. ს. ჩ-სათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ზ-ის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უნდა შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით).

38.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა თანაბარი ზომის სასჯელმა შთანთქას მეორე თანაბარი ზომის სასჯელი და საბოლოოდ, ს. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით).

39. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენთან მიმართებით სასამართლო ითვალისწინებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ან „გ“-„ე“ ქვეპუნქტებით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოე-

ბისა ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებისა, წარმოებისა, შეძენისა, შენახვისა, გადაზიდვისა ან გადაგზავნისა).

39.1. ს. ჩ. დანაშაულის ჩადენის დროს 2017 წლის 3 დეკემბერს იყო ნასამართლობის მქონე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. შესაბამისად, ს. ჩ.-სათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება ვერ გავრცელდება. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებას არ შეიცავს ასევე ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი. შესაბამისად, ს. ჩ.-სათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულ სასჯელზე უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და განსაზღვრული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობითად 5 წლის გამოსაცდელი ვადით, – უნდა შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობითად იმავე გამოსაცდელი ვადით)).

39.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა შთანთქმას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ ს. ჩ.-ს განაჩენითა ერთობლიობით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვლილი ჰქონდა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით).

40. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად უნდა შთანთქმას წინა (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის) განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, ს. ჩ.-ს განაჩენითა ერთობლიობით, უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლით.

41. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ა/რ პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ირაკლი დონდოლაძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ს. ჩ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ზ.-ისა და მსჯავრდებულ ი.

დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის პ. ბ-ის საკასაციო საჩივრები – დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. აჭარის ა/რ პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ირაკლი დონდოლაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ს. ჩ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ზ-ისა და მსჯავრდებულ ი. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის პ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.1. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე (13 აპრილის ეპიზოდი);

3.2. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.3. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (13 აპრილის ეპიზოდი) და განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და საბოლოოდ, განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე (19 აპრილის – ხ-ის №-ის მიმდებარედ არსებული სკვერის ეპიზოდი);

3.5. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწი-

ლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (19 აპრილის – ხ...ის №-ის მიმდებარედ არსებული სკვერის ეპიზოდი) და განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.6. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (19 აპრილის – ხ...ის №-ის მიმდებარედ არსებული სკვერის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და საბოლოოდ განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.7. ი. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე (2 მაისის ეპიზოდი);

3.8. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.9. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და საბოლოოდ განესაზღვროს – 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.10. ი. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ბუპრენორფინი და მეთადონის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად გაუნახევრდეს და საბოლოოდ განესაზღვროს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.11. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებით, საბოლოოდ, ი. დ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, მოსახდელად განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.12. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრან-

სპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებებში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით ჩამოერთვას საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

3.13. ი. დ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2022 წლის 2 მაისიდან.

3.14. ს. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე (13 აპრილის ეპიზოდი);

3.15. ს. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (13 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.16. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (13 აპრილის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.17. ს. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე (19 აპრილის – ხ....ის №-ის მიმდებარედ არსებული სკვერის ეპიზოდი);

3.18. ს. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (19 აპრილის – ხ....ის №-ის მიმდებარედ არსებული სკვერის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.19. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (19 აპრილის – ხ....ის №-ის მიმდებარედ არსებულ სკვერის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმ-

ცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.20. ს. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე (2 მაისის ეპიზოდი);

3.21. ს. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.22. ს. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განესაზღვროს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.23. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენებით, საბოლოოდ, ს. ჩ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.24. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

3.25. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.25.1. ს. ჩ-სათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. ბ-ის ეპიზოდი) განსაზღვრული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით).

3.25.2. ს. ჩ-სათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ზ-ის ეპიზოდი) განსაზღვრული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით) „ამნისტიის შესახებ“ სა-

ქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით).

3.25.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა თანაბარი ზომის სასჯელმა შთანთქას მეორე თანაბარი ზომის სასჯელი და საბოლოოდ, ს. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით);

3.25.4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3.26. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.26.1. ს. ჩ-სათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობითად 5 წლის გამოსაცდელი ვადით) „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით შემცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობითად იმავე გამოსაცდელი ვადით);

3.26.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე შემცირებულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ ს. ჩ-ს განაჩენთა ერთობლიობით ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა (რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვლილი ჰქონდა პირობითად, იმავე გამოსაცდელი ვადით).

3.26.3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3.27. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა სრულად შთანთქას წინა (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის) განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და ს. ჩ-ს საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3.28. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-3

მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით - საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საქეიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3.29. ს. ჩ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავებიდან – 2022 წლის 2 მაისიდან.

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების გასაღება

განაჩენი

საქართველოს სახელმწიფო

№92აპ-25

26 ივნისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ვასაძე,

ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. მ-ის ადვოკატის – ზ. გ-ის – საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბერის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. შ. მ-ს ბრალად ედებოდა:

ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასაღება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი, 2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

ბ) ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

1.2. შ. მ-ის ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

1.2.1. შ. მ-მა უკანონოდ შეიძინა და თ-ში, უკანონოდ შეინახა ნარკოტიკული საშუალება – 0,0198 გრამი „მეთადონის“ (ფუძე) შემცველი ნივთიერება, რაც 2022 წლის 15 მარტს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს ქ. თ-ში ..ქუჩის №-ში ჩატარებული შ. მ-ის ბინის ჩხრეკისას.

1.2.2. 2022 წლის 7 მარტს, თ-ში, სოფელ ფ-ში, გ-ას ქუჩის №-ის მიმდებარედ, შ. მ-მა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალება – 1,3197 გრამი ჰეროინის შემცველი ნივთიერება უკანონოდ მიასალა რ. მ-ს, რაც, იმავე დღეს, ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

1.2.3. 2022 წლის 10 მარტს, თ-ში, სოფელ ფ-ში, გ-ას ქუჩის №-ის მიმდებარედ, შ. მ-მა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალება – 1,2537 გრამი ჰეროინის შემცველი ნივთიერება უკანონოდ მიასალა რ. მ-ს, რაც, იმავე დღეს, ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 ნოემბრის განაჩენით, შ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 7 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 7 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა

შთანთქა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ.მ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით, რაც აეთვალა 2022 წლის 15 მარტიდან.

შ.მ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 ნოემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ შ.მ-ის ადვოკატმა – ლ. ბ-ემ – მოითხოვა შ.მ-ისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელის $\frac{1}{4}$ ნაწილის პირობითად ჩათვლა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბრის განაჩენით, მსჯავრდებულ შ.მ-ის ადვოკატის – ლ. ბ-ის – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თუმცა შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 ნოემბრის განაჩენი.

3.2. შ.მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შ.მ-ი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და სასჯელისაგან;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 7 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდა $\frac{1}{4}$ -ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 7 მარტის

ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) – თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, შ. მ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით, რაც აეთვალა 2022 წლის 15 მარტიდან.

შ. მ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

3.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ შ. მ-ის ადვოკატი – ზ. გ-ე – საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში და შ. მ-ის დამნაშავედ ცნობას მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის წარდგენილ ბრალდებაში. დამცველის პოზიციით, შ. მ-ს ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი არ ჰქონია, იგი ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დაეხმარა რ. მ-ს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ შ. მ-ის ადვოკატ ზ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბერის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემ-

დეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ეპიზოდებში, ხოლო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა არ გამხდარა სადავო. იმავდროულად, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება მიჩნეულ იქნა პრეიუდიციად, შესაბამისად, ისინი არსებით სხდომაზე არ გამოკვლეულა.

3. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, აგრეთვე, ამავე მუხლის მე-6 ნაწილით (2022 წლის 7 მარტის და 2022 წლის 10 მარტის ეპიზოდები) წარდგენილ ბრალდებებში შ. მ-ის დამნაშავედ ცნობის შესახებ, თუმცა, რამდენადაც აღნიშნულ ეპიზოდებში მსჯავრდება კასატორიც ეთანხმება, სასამართლო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს ამ მიმართებით აღარ შეაფასებს, არამედ იმსჯელებს მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდების ირგვლივ.

4. საკასაციო სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებად მიიჩნევა ნარკოტიკული საშუალების სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემა ნებისმიერი ფორმით და დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა გამსაღებელი სხვადასხვა ხერხით გაასხვისებს ნარკოტიკულ საშუალებას სხვა პირზე. განსახილველ შემთხვევაში, პრეიუდიციული ძალის მქონე მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება, რომ 2022 წლის 7 მარტს და 10 მარტს, შ. მ-მა რ. მ-ს ფულადი თანხის სანაცვლოდ გადასცა ნარკოტიკული საშუალება. კერძოდ, მოწმე რ. მ-ის გამოკითხვის ოქმებში დეტალურად არის აღწერილი როგორ დაუკავშირდა დასახელებულ თარიღებში შ. მ-ს და როგორ შეუთანხმდა მას ნარკოტიკული საშუალების შეძენაზე. დათქმულ შეხვედრაზე ნასვლამდე კი, დანაშაულებრივი ქმედებისა და დამნაშავის გამოვლენის მიზნით, ალიჭურვა ფარული ვიდეო-აუდიოჩამწერი მონაცემებით. იმავდროულად, ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმართვის მიზნით, გამოიყო ფულადი თანხა, რომელიც თითოეული საგამოძიებო მოქმედების წინ გადაეცა რ. მ-ს, როგორც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების – საკონტროლო შესყიდვის – ჩამტარებელ მთავარ მოქმედ პირს.

5. 2022 წლის 7 მარტსა და 10 მარტს, დათქმულ შეხვედრებზე რ. მ-მა ვიდეოგადამღები მონაცემებით ფარულად გადაიღო მისი და შ. მ-

ის შეხვედრები, რა დროსაც ამ უკანასკნელს გადასცა ფულადი თანხა, თავდაპირველად 700, ხოლო შემდეგ – 800 ლარი. შ. მ-მა ორივე შეხვედრისას გამოართვა თანხა და შეთანხმებისამებრ, რამდენიმე წუთში მიუტანა ნარკოტიკული საშუალება (ქიმიური ექსპერტიზის №... და №... დასკვნებით დადასტურებულია, რომ 2022 წლის 7 მარტს და 10 მარტს, შ. მ-ის მიერ რ. მ-ისთვის გადაცემული ნივთიერებები შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, ერთ შემთხვევაში – 1,3197 გრამს, ხოლო, მეორე შემთხვევაში – 1,2537 გრამს).

6. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დამცველის მოსაზრებას გასაღების ნაწილში წარდგენილ ბრალდებაში შ. მ-ის უდანაშაულობის შესახებ. მართალია, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში, ნარკოტიკული საშუალების გასაღებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირებულია ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებაზე, თუმცა, ამგვარი შემთხვევების საფუძველი, მსჯავრდებულის ქმედებაში გასაღების მიზნის დაუდასტურებლობა იყო, განსხვავებით მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისგან, რომელთა ყოველმხრივ და ობიექტურად შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. მ-ისთვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის დროს მსჯავრდებულს გააჩნდა რეალიზაციის მიზანი.

7. ამდენად, საკასაციო სასამართლოს უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია, რომ შ. მ-ის ქმედებაში აშკარად იკვეთება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“, ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რის გამოც, იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ აღნიშნული კვალიფიკაციით (2025 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

8. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38). მართლმსაჯულების განხორციელება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის №1/7/851 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7).

9. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

10. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ თითოეული დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი სრულად შეესაბამება, შ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მის პიროვნებას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას კანონიერად გაითვალისწინა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოთხოვნები.

11. საქართველოს სსსკ-ის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს, მათ შორის, ნივთიერი მტკიცებულების გადაწყვეტის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ შ. მ-ის საქმეზე არსებული ნივთმტკიცებათა ბედი გადაწყვეტილია ძირითადი სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების დროს. რეალურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ივლისის განაჩენში (ძირითადი სისხლის სამართლის საქმე, ჯ. გ-ის მიმართ), ნამსჯელია მტკიცებულებათა ნაწილზე და არ არის გადაწყვეტილი ნარკოტიკული ნივთიერებებიდან ამოღე-

ბული ანანმენდების, ვიდეოჩანანერების შემნახველი მოწყობილობის ე.წ. DVR-ის და ავტომანქანის გასაღების ბედი (ნივთმტკიცებად ცნობილია ორი ავტომანქანის გასაღები, ჯ. გ-ის განაჩენში ნამსჯელია მხოლოდ ერთ გასაღებზე). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტს მსჯელობის მიღმა დარჩენილ ნივთმტკიცებათა ბედს.

12. ამდენად, მსჯავრდებულ შ. მ-ის ადვოკატის – ზ. გ-ის – საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბერის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ შ. მ-ის ადვოკატის – ზ. გ-ის – საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 დეკემბერის განაჩენი:

3. შ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შ. მ-ი გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის და სასჯელისაგან;

4. შ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 7 მარტის ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს $\frac{1}{4}$ -ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

5. შ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 7 მარტის ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

6. შ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხ-

ლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეუმცირდეს 1/4-თ და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

7. შ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

8. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 10 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ. მ-ს სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 14 წლით;

9. შ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს – 2022 წლის 15 მარტიდან;

10. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შ. მ-ს 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

11. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შ. მ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

12. ნარკოტიკული ნივთიერებებიდან ამოღებული ანაწმენდები – განადგურდეს; ვიდეოჩანაწერების შემნახველი მოწყობილობა ე.წ. DVR – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით, ხოლო ავტომატური გასაღების – დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს;

13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქმეზე არსებული ნივთმტკიცებათა ნაწილის (ნარკოტიკული საშუალებების, შესაფუთი მასალების, ნერწყვის ნიმუშების, მობილური ტელეფონების, მანქანის გასაღების, ფულადი თანხის, ავტომატური ნივთების – „BMW“ და „HONDA“, CD დისკების) ბედი გადაწყვეტილია ძირითად სისხლის სამართლის საქმეზე (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ივლისის №... განაჩენი ჯ. გ-ის მიმართ) მიღებული გადაწყვეტილებისას;

14. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

**ყალბი დოკუმენტის, გაჭდის, შტამის ან ბლანკის
დამზადება, გასაღება ან გამოყენება, ძირითად
დანაშაულთან ერთად დამატებითი დანაშაულის
შემაღგენლობას ქმნის**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 1384აპ-24

17 ივნისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქვემო ქართლის საოლქო პრო-
კურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ხატია გოგრი-
ჭიანისა და მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის
ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024
წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით ი. მ-ის და ვ. კ-ის
მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

1.1. 2016 წლის 17 ივნისს მიღებული იქნა „სახელმწიფო პროექტის
ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული
რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების
სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-14 და მე-16
მუხლების საფუძველზე ადგილობრივ თვითმმართველობებს მიენიჭათ
უფლებამოსილება, რომ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით
გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუს-
ტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის
და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული
მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაცია დაედასტურებინათ ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – მიწის ნაკვეთის ადგილზე
დათვალიერების ოქმის შედგენის საფუძველზე.

აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდეგ ზ. ბ-ემ, რ. მ-მა, ვ. ზ-მა
და ბ. ლ-მა – მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, განიზრახეს

მინის ნაკვეთების საკუთრების უფლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტების დამზადების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გამოყენების გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდნენ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სხვადასხვა ფართობის და ღირებულების მქონე მინის ნაკვეთებს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ ვ. კ-ეს, რომელსაც გაანდეს მათი განზრახვა და შეთანხმდნენ, რომ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადების და გამოყენების გზით, ერთობლივად დაუფლებოდნენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ გ-ის რაიონის სოფელ კ-ში მდებარე 5000 კვ.მ. მინის ნაკვეთს. მათ დაამზადეს ყალბი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – 1994 წლის 10 ნოემბრით დათარიღებული №... მიღება-ჩაბარების აქტი – რომლის მიხედვით, თითქოსდა ვ. კ-ეს 1994 წლის 10 ნოემბერს, გ-ის რაიონის სოფელ კ-ში, მინის რეფორმის ფარგლებში გამოეყო 5000 კვ.მ. მინის ნაკვეთი – რომლის შინაარსი და მინის ნაკვეთის ჩაბარების ფაქტი ვ. კ-ემ ხელმოწერით დაადასტურა. იმავდროულად, მათ შეადგინეს აღნიშნული მინის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

მინის ნაკვეთის თაღლითურად დასაუფლებლად, 2017 წლის 12 სექტემბერს, ვ. კ-ემ გამოიყენა ზემოაღნიშნული ყალბი დოკუმენტი, კერძოდ, განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინა ზემოაღნიშნული ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მოითხოვა მინის ნაკვეთის მის სახელზე დარეგისტრირება.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მინის ნაკვეთის სარეგისტრაციო დოკუმენტები გადააგზავნა გ-ის მუნიციპალიტეტის მერიაში იმ მიზნით, რომ თვითმმართველობის წარმომადგენელს მოწმეებთან ერთად მინის ნაკვეთების იდენტიფიკაცია დაედივნა და გაეცა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი“, რომელიც მინის ნაკვეთის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ერთ-ერთი დოკუმენტია.

2018 წლის 12 იანვარს, ვ. კ-ისა და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისათვის თაღლითობაში დახმარების მიზნით, ი. მ-ემ მონაწილეობა მიიღო და გამოყენების მიზნით დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი. კერძოდ, სოფელ კ-ში გ-ის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის – ბ. ლ-ის მიერ, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ყალბი, №..., ოქმის შედგენისას ხელი მოაწერა აღნიშნულ ოქმს, რომლის თანახმად, მისი და გ. ი-ის თანდასწრებით, თითქოსდა ადგილზე დათვალიერდა რეგისტრაციას დაქვემდებარებული მინის ნაკვეთი და მათ მიერ თითქოსდა დადგენილი იქნა,

რომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული, აზომვით ნახაზზე არსებული და დათვალიერებული მიწის ნაკვეთი იყო ერთი და იგივე.

აღნიშნული ყალბი დოკუმენტების – დათვალიერების №... ოქმის და მიღება-ჩაბარების №... აქტის – საფუძველზე, 2018 წლის 23 იანვარს, ვ. კ-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა 5000 კვ.მ. ფართის ... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი, რითაც სახელმწიფოს მიაღდა 77500 ლარის მატერიალური ზიანი.

1.2. აღნიშნული ქმედებით ი. მ-ემ ჩაიდინა: თაღლითობაში დახმარება, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებაში დახმარება, ჩადენილი დიდი ოდენობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; ასევე – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, გამოყენების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; ხოლო ვ. კ-ემ – თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 აპრილის განაჩენით:

2.1. ვ. კ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

2.1.2. ვ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 5 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

2.2. ი. მ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

2.2.1. ი. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განე-

საზღვრა ჯარიმა – 4 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

3.1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის პროკურორმა ხატია გოგრიჭიანმა მოითხოვა ვ. კ-ის და ი. მ-ის, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობა და ასევე – მათთვის მსჯავრდშერაცხილი, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული, დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრება.

3.2. მსჯავრდებულმა ი. მ-ემ და მისმა ადვოკატმა ნ. ნ-მა მოითხოვეს ი. მ-ის სრულად გამართლება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

5.1. მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი – ნ. ნ-ი ითხოვს ი. მ-ის უდანაშაულოდ ცნობას;

5.2. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორი ხატია გოგრიჭიანი ითხოვს ი. მ-ისა და ვ. კ-ის დამნაშავედ ცნობას, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე – მათთვის მსჯავრდშერაცხილი თაღლითობის ნაწილში დანიშნული სასჯელის გამკაცრებას.

6. საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 2024 წლის .. დეკემბრის წერილის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული №.. სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორი არის სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო მოვალე – ვ. კ-ე, – აღსრულებულია.

6.1. აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2024 წლის .. აგვისტოს წერილის თანახმად, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 აპრილის განაჩენის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, ი. მ-ეს სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული განაჩენი აღსრულებულია და თანხა ჯარიმის სახით გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში 2024 წლის 9 აგვისტოს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუ-

თებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., *Gorou v. Greece (No.2)* no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი გაასაჩივრეს ბრადებისა და დაცვის მხარეებმა. პროკურორი ხატია გოგრიჭიანი ითხოვს ი. მ-ისა და ვ. კ-ის დამნაშავედ ცნობას, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე – მათთვის მსჯავრდშერაცხილი თაღლითობის ნაწილში დანიშნული სასჯელის გამკაცრებას. მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი ნ. ნ-ი ითხოვს ი. მ-ის სრულად გამართლებას.

2.1. აღნიშნული განაჩენი ვ. კ-ეს არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, სასამართლო განხილვის საგანს არ წარმოადგენს ვ. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდშერაცხილი დანაშაულის ჩადენა. საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 10 სექტემბრის განაჩენს ამ ნაწილში გადასინჯავს მხოლოდ სასჯელის კანონიერების ნაწილში.

2.1.1. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენით დაადგინა, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დამზადებული და გამოყენებული იქნა ყალბი ოფიციალურ დოკუმენტები, თუმცა, განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტების გაყალბების ნაწილში ვ. კ-ის და ი. მ-ის ქმედებები თაღლითობის/თაღლითობაში დახმარების შემადგენელი ელემენტებია და დამატებით კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით აღარ საჭიროებს.

2.2. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია ასევე: ჩაიდინა თუ არა ი. მ-ემ საქართველოს სსკ-ის 25, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული; კანონიერია თუ არა აღნიშნული დანაშაულისათვის მის მიმართ შეფარდებული სასჯელი; ი. მ-ის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, გამოყენების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ვ. კ-ის მიერ – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წარმოადგენს სა-

ქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს, თუ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – თაღლითობის – შემადგენელ ნაწილს და არ საჭიროებს ცალკე კვალიფიკაციას.

2.2.1. სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით დადგინდა, რომ ვ. კ-ემ გამოყენების მიზნით დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, რაც გამოიყენა და აღნიშნული დაცვის მხარემ არ გაასაჩივრა, – საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს აღნიშნულ ნაწილში ვ. კ-ის დამნაშავეობა/უდანაშაულობის შესახებ. შესაბამისად, სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენს აღნიშნული ქმედების დამატებით, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით კვალიფიკაციის საკითხი.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ხატია გოგრიჭიანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

4.1. ვ. კ-ემ 2017 წლის 12 სექტემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია. უფლების დამდგენ დოკუმენტად წარადგინა, მათ შორის, მიწის მიღება-ჩაბარების №... აქტი;

4.2. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის 26 ოქტომბერს წერილით მიმართა გ-ის მუნიციპალიტეტის გამგეობას, და ვინაიდან დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით არ დგინდებოდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტიურობა, მოითხოვა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახულის მიწის ნაკვეთების იდენტიურობის დადასტურება;

4.3. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №... ოქმის თანახმად, გ-ის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა – ბ. ლ-მა – სოფელ კ-ში, 2018 წლის 12 იანვარს, ვ. კ-ესთან, გ. ი-სა და ი. მ-ესთან ერთად დაათვალიერა მიწის ნაკვეთი და დაადგინა მისი იდენტიურობა მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებულ მიწის ნაკვეთთან;

4.3.1. აღნიშნული ოქმის დათვალიერების თარიღისა და დროის გრა-

ფაში მითითებულია: 2018 წლის 01.12; საათი 11:00, ხოლო დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგების გრაფაში აღნიშნულია: მოქალაქე ვ. კ-ეს მეზობლები (მათ შორის, ი. მ-ე) უდასტურებენ, რომ მიღება-ჩაბარების №... აქტი (ფართობი – 0,50) და შპს ა. ჯ-ის“ მიერ მომზადებული, 5000 კვ.მ. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი არის ერთი და იგივე. ოქმს ხელს აწერენ დათვალიერებაში მონაწილე პირები, მათ შორის, ი. მ-ე;

4.4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული გვერდის დათვალიერების 2019 წლის 19 სექტემბრის ოქმით და თანდართული მასალებით, ასევე 2019 წლის 23 ოქტომბრის ამოღების ოქმით და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივიდან ამოღებული დოკუმენტებით დგინდება, რომ ვ. კ-ემ გ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში 2018 წლის 23 იანვარს დაირეგისტრირა 5000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: მიღება-ჩაბარების №.... აქტი, დამონების თარიღი: 10.11.1994.

4.5. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2017 წლის 3 ოქტომბრის წერილის თანახმად, ქვემო ქართლის რეგიონალურ არქივში დაცულ გ-ის რაიონის სოფელ კ-ის საკრებულოს სოფელ მ-ის მცხოვრებთა მიწის გამოყოფის სიაში, გ-ის რაიონის კ-ის საკრებულოს 1995-2006 წლების სოფელ მ-ის მცხოვრებთა ბარათებში, გ-ის რაიონის კ-ის სასოფლო საბჭოს სოფელ კ-ის 1986-1995, 1996-2000 და 2001-2006 წლების საკომლო წიგნებში, ასევე სოფელ მ-ის მცხოვრებთა მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტებში, კ-ის საკრებულოს სოფელ კ-ის მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტებში, მიწის გადასახადის გადამხდელთა, მიწის მფლობელთა და მიტაცებული მიწების სიებში არ მოიძებნება ჩანაწერი ვ. კ-ის კომლის შემადგენლობისა და კომლის პირად საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების შესახებ;

4.6. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის 2020 წლის .. იანვრის №... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, 01.12.2018წ. დათარიღებული სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №.... ოქმის მესამე ფურცელზე, გრაფაში – „დათვალიერებაში მონაწილე პირთა ხელმოწერები:“ ი. მ-ის სახელით, მარჯვნივ არსებული ხელმოწერა შესრულებულია ი. მ-ის მიერ.

5. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №.... ოქმით დასტურდება, რომ გ-ის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა – ბ. ლ-მა – სოფელ კ-ში, ვ. კ-ესთან, გ. ი-თან და ი. მ-ესთან ერთად, დაათვალიერა მიწის ნაკვეთი და დაადგი-

ნა მისი იდენტურობა მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებულ მიწის ნაკვეთთან, ხოლო მოწმეების – ზ. ბ-ის, ბ. ლ-ის და რ. მ-ის გამოკითხვის ოქმების თანახმად, გ-ის რაიონის სოფელ კ-ში მდებარე 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ვ. კ-ის სახელზე დარეგისტრირების პროცესში, რ. მ-მა, ზ. ბ-ის თხოვნით, მოიძია მოწმეები – გ. ი-ი და ი. მ-ე, რომლებმაც სოფელ კ-ის გამგეობაში, გ-ის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელ ბ. ლ-თან ერთად, ადგილზე გაუსვლელად, ხელმოწერით დაადასტურეს ბ. ლ-ის მიერ ყალბად შედგენილი, მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების ოქმი. აღნიშნული ოქმი ბ. ლ-მა გადაგზავნა საჯარო რეესტრში, რომლის საფუძველზეც მიწა დარეგისტრირდა ვ. კ-ის სახელზე.

5.1. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ვ. კ-ემ ჩაიდინა თაღლითობა (ვ. კ-ის მიერ თაღლითობის ჩადენა არ გაუსაჩივრებია დაცვის მხარეს, შესაბამისად აღნიშნული არ არის დავის საგანი) და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, ხოლო ი. მ-ემ – როგორც თაღლითობაში დახმარება, ასევე – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით.

5.1. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ უსაფუძვლოა მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ნ. ნ-ის მტკიცება, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №... ოქმზე ხელმოწერით თითქოსდა ი. მ-ეს დადასტურებული აქვს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტსა და საკადასტრო აზომვით ნახაზზე არსებული მიწის ნაკვეთების იდენტურობის ფაქტი და იგი ამ მიწის ნაკვეთის დათვალიერებას არ ადასტურებს. აღნიშნული სადავო – №... – ოქმი, როგორც დასათაურებით, ასევე მთელი თავისი შინაარსით, წარმოადგენს უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმს, მასში დაფიქსირებულია დათვალიერების თარიღი და დრო, შედეგი, ამასთან, ი. მ-ეს ხელი მოწერილი აქვს გრაფაში, სახელწოდებით „დათვალიერებაში მონაწილე პირის ხელმოწერა“, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, მას მონაწილეობა უნდა მიეღო მიწის ნაკვეთის დათვალიერებაში და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის და საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა უნდა დაედასტურებინათ მხოლოდ მას შემდგომ, რაც მიწის ნაკვეთი ადგილზე დათვალიერდებოდა.

6. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მსჯავრდებულებმა ყალბი დოკუმენტები დაამზადეს გამოყენების მიზნით/გამოიყენეს ნაკვეთის თაღლითურად დასაუფლებლად, მოცემული ყალბი დოკუმენტების დამზადება/გამოყენება იყო თაღლითობის კონსტრუქცი-

ული ელემენტი – მოტყუების ერთ-ერთი ხერხი, და ითვალისწინებს, რომ:

7. მართალია, ვ. კ-ისა და ი. მ-ის მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და შემდგომში ვ. კ-ის მიერ მისი გამოყენების გზით გახდა შესაძლებელი სადავო მიწის ნაკვეთის ვ. კ-ეს საკუთრებად დარეგისტრირება, თუმცა ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით/გამოყენება და თაღლითობა.

8. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით ისჯება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს. „მოტყუება ეს არის ქეშმარიტების განზრახ დამახინჯება ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვა ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით. არსებობს მოტყუების ორი სახე – აქტიური და პასიური. ასევე მოტყუება შეიძლება გამოიხატოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ თაღლითობას, მოტყუების ელემენტის არსებობის გამო, ხშირად ყალბი დოკუმენტების წარდგენასთან აკავშირებენ, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, ძირითად დანაშაულთან ერთად, დამატებითი დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, კერძოდ, ეს მოქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლითაც უნდა დაკვალიფიციროდეს, რაც გულისხმობს, ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადებას, შეძენას, შენახვას გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღებას ან გამოყენებას“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის №262აპ-23 განჩინება).

9. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია და დამთავრებულია ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ მხარეში შემავალი ერთ-ერთი ქმედების – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება, გამოყენება – ჩადენისთანავე (მოცემულ შემთხვევაში – გამოყენების მიზნით შეძენის და გამოყენების მომენტიდან). ამასთან, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება დამთავრებულად ითვლება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის ოფიციალური წარდგენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიაღწია თუ არა პირმა სასურველ შედეგს. აღნიშნული ქმედება ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის №903აპ-23; 2019 წლის 12 მა-ს №529აპ-18 განაჩენები).

10. ბრალდების მხარე ვ. კ-ეს ედავება ყალბი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის – 1994 წლის 10 ნოემბრით დათარიღებული №... მიღება-ჩაბარების აქტის – დამზადებას გამოყენების მიზნით და გამოყენებას, ხოლო ი. მ-ეს – ვ. კ-ის თაღლითობაში დახმარების მიზნით, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების №... ოქმის დამზადებას, გამოყენების მიზნით, ვ. კ-ის მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით.

11. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდანტით დასტურდება, რომ მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულები ი. მ-ისა და ვ. კ-ის მიერ ჩადენილი იყო სპეციალური მიზნით – ყალბი დოკუმენტის გამოყენების მიზნით (რაც გულისხმობს გამოყენებას იურიდიული მნიშვნელობის შედეგის მიღწევის მიზნით) და ჩადენილი იყო პირდაპირი განზრახვით. კერძოდ:

11.1. ყალბი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – 1994 წლის 10 ნოემბრით დათარიღებული №... მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, თითქოსდა ვ. კ-ეს 1994 წლის 10 ნოემბერს, გ-ის რაიონის სოფელ კ-ში, მიწის რეფორმის ფარგლებში გამოეყო 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის შინაარსი და მიწის ნაკვეთის ჩაბარების ფაქტი ვ. კ-ემ ხელმოწერით დაადასტურა. მიწის ნაკვეთის თაღლითურად დასაუფლებლად, 2017 წლის 12 სექტემბერს, ვ. კ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სადაც წარადგინა ზემოაღნიშნული ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მოითხოვა მიწის ნაკვეთის მის სახელზე დარეგისტრირება;

11.1.2. ი. მ-ემ ვ. კ-ის თაღლითობაში დახმარების მიზნით, მონაწილეობა მიიღო სოფელ კ-ში გ-ის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ბ. ლ-ის მიერ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ყალბი №... ოქმის შედგენაში, რომლის თანახმად, მისი და გ. ი-ის თანდასწრებით თითქოსდა ადგილზე დათვალიერდა რეგისტრაციას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთი და მათ მიერ, თითქოსდა დადგინდა, რომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული, აზომვითი ნახაზზე არსებული და დათვალიერებული მიწის ნაკვეთი იყო ერთი და იგივე.

11.1.3. აღნიშნული ყალბი დოკუმენტების – სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ყალბი №... ოქმისა და მიღება-ჩაბარების №... აქტის – საფუძველზე, ვ. კ-ემ საკუთრებაში დაირეგისტრირა 5000 კვ.მ. ფართი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით), რითაც სახელმწიფოს მიაღდა 77500 ლარის მატერიალური ზიანი.

11.2. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, როგორც ვ. კ-ე, ისე – ი.

მ-ე მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით, – მათ გაცნობიერებული ჰქონდათ ჩადენილი ქმედებების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდნენ მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდათ ეს შედეგი – მათი მიზანი იყო მიზნის ნაკვეთზე ვ. კ-ის მიერ საკუთრების უფლების მოპოვება, წინასწარი შეცნობით ყალბი დოკუმენტების გამოყენებით.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: 1994 წლის 10 ნოემბრით დათარიღებული №... მიღება-ჩაბარების აქტით, 2018 წლის 12 იანვარს, დათვალიერების №... ოქმით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის 2020 წლის 24 იანვრის №... დასკვნით, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2017 წლის .. ოქტომბრის წერილით და სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია ვ. კ-ისა და ი. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

13. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ ვ. კ-ემ და ი. მ-ემ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენების მიზნით დამზადებით და გამოყენებით ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

14. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებით და შემდეგ საბოლოოდ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენით დასრულდა მათ მიერ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, თუმცა ამ ქმედებების განხორციელებით არ დამდგარა მნიშვნელოვანი ზიანი (ე.ი. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოება – რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი). მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ი. მ-ის დახმარებით ვ. კ-ის მიერ ჩადენილმა თაღლითობამ, რომლის ფარგლებშიც მათ მოახერხეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შეცდომაში შეყვანა და, შედეგად, ვ. კ-ის სახელზე დარეგისტრირდა უძრავი ქონება (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 17 აპრილის №1130აპ-24 განაჩენი).

14.1. შესაბამისად, ი. მ-ისა და ვ. კ-ის მიმართ ბრალადშერაცხილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხ-

ლის პირველ ნაწილზე.

14.2. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალად წარდგენილი ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ბრალდების გადაკვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განსჯრეტადად არის მიჩნეული თუ იგი ბრალდების თანდაყოლილ ელემენტს წარმოადგენს (*De Salvador Torres v. Spain*, no. 21525/93 par.33, ECtHR, 24/10/1996; *Sadak and Others v. Turkey*, 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96, paras 52, 56, ECtHR, 17/07/2021, *Juha Nuutinen v. Finland*, no 45830/99, par. 32, ECtHR, 24/07/2007).

14.3. მოცემულ შემთხვევაში, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით ბრალდების მხარე, ი. მ-ეს ედავებოდა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას, გამოყენების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ვ. კ-ეს – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებას გამოყენების მიზნით და გამოყენებას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. შესაბამისად, მათ მიმართ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალის საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირება გამოიწვია, მაკვალიფიცირებელი გარემოების – რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – მოხსნამ. აღნიშნული კი არ წარმოადგენს ახალ ბრალს ან ახალი ბრალდების შემადგენელ ელემენტს.

14.4. სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ბრალდწარდგენილი) სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას სამიდან ექვს წლამდე, ხოლო საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი (მსჯავრდშეარცხილი) – ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე. შესაბამისად, წარდგენილი ბრალდების (საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) გადაკვალიფიცირება – საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამსუბუქებს მათ სამართლებრივ მდგომარეობას.

15. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის

24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

16. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.

17. საკასაციო სასამართლო სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის კატეგორიას (ვ. კ-ემ და ი. მ-ემ ჩაიდინეს განზრახი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული), იმ გარემოებას, რომ დაცვის მხარემ უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ი. მ-ე და ვ. კ-ე არ არიან სასამართლევი პირები.

17.1. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). „პატიმრობის გზით პირის თავისუფლების შეზღუდვა არის არა წესი, არამედ გამონაკლისი. პირის თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევასა და ვითარებაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული ღონისძიება არის აბსოლუტურად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა ალტერნატივა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №3/5/1341, 1660 „თეთრწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციუობის თაობაზე“, II-33).

18. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებისა და სასჯელის მიზნების (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) გათვალისწინებით, ვ. კ-ეს სასჯელის სახედ

და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა 3000 ლარი, ხოლო ი. მ-ეს – ჯარიმა 2000 ლარი.

19. მსჯავრდებულების მიმართ თაღლითობის ნაწილში დანიშნული სასჯელის გამკაცრების თაობაზე, კასატორი ბრალდების მხარის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლომ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების, მსჯავრდებულების ინდივიდუალური მახასიათებლების (მსჯავრდებულებმა ბრალდების მხარის მტკიცებულებები სრული მოცულობით ცნეს უდავოდ, რითიც ხელი შეუწევეს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არ არიან ნასამართლევი პირები) მხედველობაში მიღებით, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები სამართლებრივად სწორად შეაფასა და მსჯავრდებულებს განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსაველდებულო მოთხოვნებს და სასჯელის მიზნებს. ამასთან, ბრალდების მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა დანიშნული სასჯელის უსამართლობას, პრევენციის ან რესოციალიზაციის მიზნებთან შეუსაბამობას, რის საფუძველზეც, შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულებისათვის სასჯელის გამკაცრება.

19.1. იმავდროულად, საკასაციო სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ზიანის ანაზღაურება (რაზეც ასევე უთითებს კასატორი ბრალდების მხარე საკასაციო საჩივარში) წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას და სასჯელზე გავლენას ახდენს შემსუბუქების თვალსაზრისით, ხოლო საწინააღმდეგო მოცემულობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ან/და სასჯელის გამკაცრების საფუძველად (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის №449აპ-22 განჩენი; 2022 წლის 3 ივნისის №388აპ-22 განჩინება; 2024 წლის 10 ივლისის №36აპ-24 განჩინება, 2024 წლის 17 ივლისის №500აპ-22 განჩინება). ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის №51აპ-19 განჩინება; 2021 წლის 12 ოქტომბრის №389აპ-21 განჩინება; 2024 წლის 16 ივლისის №504აპ-24 განჩინება; 2024 წლის 1 აგვისტოს №854აპ-24 განჩინება; 2024 წლის 14 ნოემბრის №845აპ-24 განჩინება).

20. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონ-

ნის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირობეზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინა, თუმცა ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა). შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მსჯავრდებულების მიმართ განსაზღვრულ სასჯელზე – ჯარიმაზე – გაავრცელოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მოქმედება.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ქვემო ქართლის საოლქო პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ხატია გოგრიჭიანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება. კერძოდ:

21.1. ვ. კ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ვ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განაესაზღვროს:

21.1.1. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

21.1.2. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 5000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

21.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ვ. კ-ეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებ-

ლოდ;

21.2. ი. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ი. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განაესაზღვროს:

21.2.1. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

21.2.2. საქართველოს სსკ-ის 25, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 4 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

21.2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. მ-ეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

22. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვ. კ-ისა და ი. მ-ის მიმართ მსჯავრდებურობის დანაშაულების ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელზე, საქმის განხილვის მდგომარეობით, ასევე არ ვრცელდება – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონები, კერძოდ: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2023 წლის 15 ნოემბრის კანონი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ბატია გოგრიჭიანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მსჯავრდებულ ი. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.1. ვ. კ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ვ. კ-ე ცნობილ

იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

3.1.1. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 3000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 5000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ვ. კ-ეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.2. ი. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება, საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველ ნაწილზე. ი. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

3.2.1. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.2.2. საქართველოს სსკ-ის 25, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ჯარიმა – 4 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3.2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. მ-ეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. დანაშაული მტკიცებულებების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ

**მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა
მონების მიერ ცრუ ჩვენების მიცემით**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№ 1296აპ-24

6 ივნისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

1.1. ლ. ყ-ს ბრალად ედებოდა:

1.1.1. მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მონების მიერ ცრუ ჩვენების მიცემით, განხორციელებული სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზ. ლ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით), 2023 წლის 9 იანვარს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე მონების სახით დაკითხვისას, ლ. ყ-მა მისცა ცრუ ჩვენება. კერძოდ, მის მიერ 2022 წლის 7 და 9 მაისს, გამოძიების სტადიაზე ს-ს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში მონების სახით გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაცია, ასევე, 2022 წლის 12 მაისს, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მიწოდებუ-

ლი ინფორმაცია და 2023 წლის 9 იანვარს სასამართლოში დაკითხვისას გაუღერებული პოზიცია არსებითად წინააღმდეგობაში მოვიდა ერთმანეთთან. აღნიშნული ქმედებით ლ. ყ-მა ხელი შეუშალა მართლმსაჯულებას.

1.1.2. სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2023 წლის 23 ივლისს, დღის საათებში, ლ. ყ-მა უსაფუძვლო მოტივით, განზრახ დააზიანა (დაამტვრია) ს-ს რაიონის სოფელ პ-ში გაჩერებული გ. ყ-ის კუთვნილი „TOYOTA AQUA“-ს მარკის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით), რის შედეგადაც ამ უკანასკნელს მიაღდა 250 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

1.1.3. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2023 წლის 23 ივლისს, დღის საათებში, ს-ს რაიონის სოფელ პ-ში, უსაფუძვლო მოტივით, ლ. ყ-მა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ვ. ყ-ს, კერძოდ, მარჯვენა ხელი დაარტყა წარბის არეში, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა მიიღო სკალპის ღია ჭრილობა, რაც მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით.

1.2. გ. ყ-ს ბრალად ედებოდა მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემით, განხორციელებული სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზ. ლ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით), 2023 წლის 16 იანვარს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას, გ. ყ-მა მისცა ცრუ ჩვენება. კერძოდ, მის მიერ 2022 წლის 7 და 9 მაისს, გამოძიების სტადიაზე ს-ს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში მოწმის სახით გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაცია, ასევე, 2022 წლის 12 მაისს, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მიწოდებული ინფორმაცია და 2023 წლის 16 იანვარს სასამართლოში დაკითხვისას გაუ-

ღერებული პოზიცია არსებითად წინააღმდეგობაში მოვიდა ერთმანეთთან. აღნიშნული ქმედებით გ. ყ-მა ხელი შეუშალა მართლმსაჯულებას.

2. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 8 აპრილის განაჩენით:

2.1. გ. ყ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

2.2. ლ. ყ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

2.3. ლ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 1 წელი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით;

2.4. ლ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა – 1 წელი;

2.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე, ერთმა სასჯელმა შთანთქმა მეორე სასჯელი და საბოლოოდ, ლ. ყ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა – 1 წელი;

2.6. ლ. ყ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 23 ივლისის 22:45 საათიდან.

2.7. თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულ ლ. ყ-ის ქცევაზე კონტროლი დაევალა პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მიხეილ კუპრაშვილმა და მოითხოვა ცვლილება გასაჩივრებულ განაჩენში, ლ. ყ-ის დამნაშავედ ცნობა ყველა წარდგენილი ბრალდებით (მათ შორის საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენი-

სათვის) და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა; ასევე – გ. ყ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა გამართლებულ გ. ყ-ისა და მსჯავრდებულ ლ. ყ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. მ-მა და მოითხოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 8 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება.

3.2. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე პროკურორმა მიხეილ კუპრაშვილმა დააზუსტა თავისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, დაეთანხმა ლ. ყ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის გავრცელებას საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებზე და მოხსნა მოთხოვნა მისთვის სასჯელის გამკაცრების შესახებ. ამასთან, აპელანტმა მოითხოვა გ. ყ-ისა და ლ. ყ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით:

4.1. სილნალის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

4.2. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 8 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება:

4.2.1. გ. ყ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

4.2.2. ლ. ყ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

4.2.3. ლ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

4.2.4. ლ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. სილნალის რაიონული პროკურატურის პროკურორი მიხეილ კუპრაშვილი ითხოვს

ცვლილებას გასაჩივრებულ განაჩენში, ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

5.1. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე გამართლებულ გ. ყ-ისა და მსჯავრდებულ ლ. ყ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. მ-მა წარმოადგინა შესაგებელი. დ. მ-ი ითხოვს დაუშვებლად იქნეს ცნობილი ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-71 მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 275-ე მუხლს.

2. საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, კერძოდ, პროკურორი ითხოვს ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს (იხ.: მაგ.: საკასაციო საჩივარში ტერმინი – „ტიპიური კრიმინალი“ და სხვა).

3. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენს და კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ცრუ ჩვენების მიცემისთვის, რაც ქმნის მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის აბსტრაქტულ საფრთხეს და ისჯება იმისდა მიუხედავად, კონკრეტულ შემთხვევაში ამ მოქმედებამ *de facto*/ რეალურად გამოიწვია თუ არა ძირითად საქმეზე, მათ შორის, პირის უკანონოდ გამართლება. ქმედების საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ პირები, რომლებიც ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების განხორციელებას, თავისი დანაშაულებრივი ქმედებით ართულებენ საქმის ობიექტურ განხილვას, ხელს უშლიან საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და ინვევენდროს/რესურსის გაუმართლებელ ხარჯვას და ა.შ. (მაგ.: იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 ივნისის №982აპ-19 განჩინება).

4. საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით ბრალის ფორმის მიხედვით, მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხასიათდება – პირს გაცნობიერებული აქვს, რომ სასამართლოს აძლევს ცრუ ჩვენებას და სურს ეს. ამასთან, მოცემული მუხლით პასუხისმგებლობას იწვევს არა უბრალოდ წინააღმდეგობრივი ჩვენებები, არამედ ცრუ ჩვენება, რომლის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი სხვადასხვაგვარია – ბრალდებული-სათვის მდგომარეობის შემსუბუქება, პასუხისმგებლობის აცილება, შურისძიება, შიში, ანგარება და სხვა. ამასთან, მოტივი/მიზანი, გავლენას არ ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე, ვინაიდან, აღნიშნული დანაშაული არ არის მიზნით დაფუძნებული შემადგენლობა და შესაბამისად, კანონმდებელი პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულო წინაპირობად არ ადგენს რაიმე სახის სპეციალური, კონკრეტული მიზნის/მოტივის არსებობას. მიზანი/მოტივი არ არის არც მაკვალიფიცი-რებელი გარემოება (მაგ. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 დეკემბრის №666აპ-24 განაჩენი).

5. საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მოწმის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება ან ცრუ ჩვენების მიცემა – დამთავრებულად ითვლება ქმედების ჩადენის მომენტიდან (ფორმალური შემადგენლობა), იმის და მიუხედავად ძირითად საქმეზე (რომელზეც მოცემულ შემთხვევაში პირი იკითხებოდა მოწმედ) გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი. ამასთან, ძირითად საქმეზე საბოლოო განაჩენის სახე არ არის საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა, და არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აღნიშნული მუხლის შესაბამისი ნაწილით კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის (პირველი თუ მე-3 ნაწილი), რადგან კანონმდებელი საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს ბრალდებას (...საქმეზე რომელშიც ბრალდებულს ბრალი ედება...). თუმცა ძირითად საქმეზე (რომლის ფარგლებშიც მისცა პირმა ცრუ ჩვენება) სასამართლოს მიერ განსახილველი მოწმის ჩვენების შეფასება საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის შესაბამისად, მისი სანდოობის, სარწმუნოობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით მსჯავრდების მიზნებისათვის.

5.1. საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით ისჯება მხოლოდ ცრუ ჩვენების მიცემა. ჩვენება ითვლება ცრუდ, თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ განზრახ დამახინჯებულია ის ფაქტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმის ობიექტურად გადამწყვეტისათვის. შესაბამისად, თუ დგინდება, რომ სამართალწარმოების პროცესში მოწმის მი-

ერ არასწორი ჩვენების მიცემა გამოწვეული იყო მოწმის მიერ ფაქტის/მოვლენის არასწორი აღქმით ან მაგალითად, მახსოვრობის დეფექტით, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის საფუძველზე პირის მსჯავრდების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, ცრუ ჩვენება შეიძლება ეხებოდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ნებისმიერ ასპექტს – როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებას, ასევე დანაშაულის ფაქტს, ბრალდებულის პიროვნებას, მის მიერ განხორციელებულ ქმედებას, დაზარალებულს, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობას, ზიანს და ა.შ.

5.2. მოწმის მიერ გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციასა და არსებითი განხილვის სხდომაზე მიცემულ ჩვენებას შორის, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავია, ერთ-ერთის სიცრუე სასამართლოს დასადგენია.

6. ამდენად, ცრუ ინფორმაციის/ცრუ ჩვენების მიცემისთვის მოწმის საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით მსჯავრდებისთვის საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1. მოწმის მიერ ცრუ ინფორმაციის/ჩვენების მიცემა საქართველოს სსკ-ით დადგენილი წესით მისი გამოკითხვის/დაკითხვისას; 2. ინფორმაციაში/ჩვენებაში საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების/გარემოებების შეგნებულად და მიზანმიმართულად სრულად/ნაწილობრივ დამახინჯება; 3. აღნიშნულით მართლმსაჯულების განხორციელებისთვის (ნებისმიერი ფორმით/სახით) ხელი შეშლა/საფრთხის შექმნა.

7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლ. ყ-ი და გ. ყ-ი გამოძიების ეტაპზე გამოიკითხნენ ორჯერ – 2022 წლის 7 მაისსა და 9 მაისს, ხოლო 2022 წლის 12 მაისს მონაწილეობა მიიღეს საგამოძიებო ექსპერიმენტში.

8. მოწმეები ლ. ყ-ი და გ. ყ-ი გამოკითხვისას, კანონით დადგენილი წესით, იქნენ გაფრთხილებულნი ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ (იხ.: ლ. ყ-ის 2022 წლის 7 მაისის გამოკითხვის ოქმი; გ. ყ-ის 2022 წლის 7 მაისის გამოკითხვის ოქმი; ლ. ყ-ის 2022 წლის 9 მაისის გამოკითხვის ოქმი; გ. ყ-ის 2022 წლის 9 მაისის გამოკითხვის ოქმი). ისინი განმეორებით გაფრთხილდნენ ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებამდე. მათი (როგორც მოწმეების) უფლებები და მოვალეობები, ასევე – ცრუ ჩვენების მიცემისას მოსალოდნელი პასუხისმგებლობა მათ კვლავაც განემარტათ სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას. აღნიშნულის მიუხედავად, მათ მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია არსებითად ეწინააღმდეგება მათ მიერ გამოძიებისათვის (გამოკითხვის, საგამოძიებო ექ-

სპერიმენტის ფარგლებში) მიწოდებულ ინფორმაციას.

8.1. ლ. ყ-მა ერთის მხრივ 2022 წლის 7 მაისს გამოკითხვისას მიუთითა, რომ მას შეეშინდა ზ. ლ-ის სიცოცხლის მოსპობის მუქარის, რადგან ალკოჰოლით მთვრალი აგრესიულია და მისგან სრულებით მოსალოდნელია მსგავსი ქმედება. მოწმის განმარტებით, დაინახა ზ. ლ-ი, რომელიც იდგა მისი სახლის ეზოში და ისროდა სახლის მიმართულებით, ეშინოდა, რომ მოარტყამდა ტყვიას და მოკლავდა, ამიტომ შეეცადა დამალულიყო და ამოფარებოდა კედელს. ზ. ლ-მა კარგად იცოდა ვინ იყო სახლში, შესაბამისად, გააზრებული ჰქონდა, რომ ტყვია დიდი ალბათობით მოხვდებოდა რომელიმე მათგანს. მეორე ან მესამე გასროლა მოხვდა მ-ს, სავარაუდოდ ნასროლი ტყვიები განკუთვნილი იყო მისთვის, თუმცა სამწუხაროდ მოხვდა მ-ს.

8.1.1. 2022 წლის 9 მაისს გამოკითხვისას ლ. ყ-მა მიუთითა, რომ ეშინოდა ზ. ლ-ის მუქარის და აღიქვამდა რეალურად, მან ასევე დაადასტურა მის მიერ 2022 წლის 7 მაისს გამოკითხვის ოქმში მითითებული გარემოებები.

8.1.2. განსახილველი შემთხვევისას განვითარებული მოვლენები გამოკითხვის ოქმში მითითებულის იდენტურად აღწერა 2024 წლის 12 მაისს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროსაც.

8.1.3. სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას ლ. ყ-მა (გამოკითხვის ოქმებსა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში მითითებული გარემოებებისგან განსხვავებულად) აღნიშნა, რომ ზ. ლ-ის მუქარა სერიოზულად არ აღუქვამს, რადგან ისინი შეხუმრებულები არიან ერთმანეთს და მსგავსი საუბრები ადრეც ჰქონიათ. როდესაც ზ. ლ-მა გაისროლა, სროლის ხმაზე გავიდა გარეთ, გვერდით დაუდგა ზ-ს და ჰკითხა თუ რას აკეთებდა, ზ-ს რომ მისი მოკვლა სდომოდა აუცილებლად მოკლავდა, რადგან მის გვერდით იდგა. ლ. ყ-მა არ დაადასტურა ასევე გამოძიების ეტაპზე მითითებული გარემოება, რომ ზ. ლ-მა იცოდა მ. ტ-ის ყ-ების სახლში ყოფნის შესახებ, ასევე არ დაადასტურა ზ. ლ-ის მიერ ოთახის მიმართულებით სროლის ფაქტი. გამოძიების ეტაპზე გაკეთებული განმარტებებისაგან განსხვავებულად ასევე მიუთითა, რომ მას არ შეშინებია ზ. ლ-ის სროლების, ვინაიდან იცოდა რომ ზ-ი მას არ მოკლავდა, მუქარა კი რეალურად არ აღუქვამს.

8.2. გ. ყ-მა გამოძიების ეტაპზე, 2022 წლის 7 მაისს, გამოკითხვისას მიუთითა, რომ შეესწრო მისი შვილის – ლ. ყ-ისა და ზ. ლ-ის სიტყვიერ კონფლიქტს, ზ-ი ლ-ს აგინებდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, თუმცა ლ-ი მალევე გაერიდა და გავიდა სახლიდან მალაზიაში. ზ-ი დარჩა, ლ-ი დაბრუნდა დაახლოებით 15 წუთში და ზ-ი კვლავ გადავიდა ჩხუბზე და შეურაცხყოფაზე, რის შემდეგაც გავიდა ეზოში. 2-3 წუთში კი გაიგონა გასრო-

ლის ხმა, რა დროსაც ჩაიმტვრა შესასველი კარის მინა, პირველი გასროლის შემდეგ მიყოლებით გაიგონა რამდენიმე გასროლა, რომელიც როგორც შენიშნა მოხვდა მ-ს, რადგან წამოუვიდა სისხლი სახისა და თავის არიდან. შუშის ჩამტვრევის შემდეგ დაინახა, რომ ზ. ლ-ს ხელში ეკავა სავარაუდოდ სანადირო თოფი და სწორედ ის ისროდა, რომლის ნასროლი ტყვია (არ იცის ზუსტად რამდენი ტყვია) მოხვდა მ-ს. გ. ყ-მა მითითებული გარემოებები დაადასტურა როგორც 2022 წლის 9 მაისს გამოკითხვისას, ასევე – 2024 წლის 12 მაისს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს.

8.2.1. აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას გ. ყ-მა მიუთითა, რომ ზ. ლ-ი შემთხვევის დღეს არ უნახავს. ვერ გაიგო საიდან რა მოხდა, თავის ოთახში მოსასვენებლად იყო გასული, ეძინა, შუშების მტვრევის ხმაზე გაელვიდა, გამოვიდა ოთახიდან და დაინახა მ-ი, რომელსაც სისხლი სდიოდა. გინების ხმა არ გაუგია, არ იცის ამ დროს მისი შვილი სად იყო. მას ლ-სა და ზ-ს შორის ავზის თაობაზე კონფლიქტი არ გაუგია და არ დაუნახავს, რომ ზ. ლ-ი მის შვილს დამუქრებოდა.

9. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დასტურდება, რომ მიღებული გაფრთხილებებისა და უფლებების განმარტების მიუხედავად, ლ. ყ-მა და გ. ყ-მა გამოძიების ეტაპზე ჯერ დაადასტურეს ზ. ლ-ის მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და მუქარის ფაქტები, შემდეგ კი (სასამართლო სხდომაზე) ისინი კატეგორიულად უარჰყვეს (მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით განემარტათ უფლება-მოვალეობები და გაფრთხილებულნი იქნენ ცრუ ინფორმაციის/ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ).

10. დაუსაბუთებლობის გამო, სასამართლო ვერ გაიზიარებს ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის მტკიცებას, რომ, მოწმის სახით დაკითხვისას, ისინი იმყოფებოდნენ ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც იყვნენ გათიშული და მათ მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს.

10.1. ლ. ყ-ი 2022 წლის 7 მაისს მოწმის სახით გამოიკითხა 20:00-20:40 საათზე, ხოლო გ. ყ-ი – 21:00-21:30 საათზე. ნარკოლოგიური გამოკვლევა ლ. ყ-ს ჩაუტარდა 2022 წლის 8 მაისს 06:07- 06:10 საათზე, ხოლო გ. ყ-ს – 06:37-06:41 საათზე, რა დროსაც მათ კლინიკურად ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა არ დაუდგინდათ, დაუდგინდათ ლაბორატორიულად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. ექსპერტმა ვ. ზ-მა მოწმის სახით ჩვენების მიცემისას მიუთითა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისას ორივე პირი იყო ადექვატური, რეფ-

ლექსები ნორმალურად ჰქონდათ, დასმულ კითხვებზე ნორმალურად და ადექვატურად პასუხობდნენ.

10.2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლ. ყ-ი და გ. ყ-ი ასევე გამოიკითხნენ 2022 წლის 9 მაისს, რა დროსაც ისინი გამომძიებელმა კვლავ გააფრთხილა ცრუ დასმენისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, მოწმეები დაეთანხმნენ მათ მიერ გამოძიებისათვის წინა გამოკითხვის ფარგლებში (2022 წლის 7 მაისს) მიწოდებულ ინფორმაციას და დამატებით განმარტეს სხვა გარემოებებიც (იხ.: ლ. ყ-ის 2022 წლის 9 მაისის გამოკითხვის ოქმი; გ. ყ-ის 2022 წლის 9 მაისის გამოკითხვის ოქმი). ამასთან ლ. ყ-მა კვლავაც დაადასტურა, რომ ზ. ლ-ი ემუქრებოდა როგორც სოციალური ქსელით, ასევე პირადად და აღნიშნა, რომ „ბუნებრივია ეშინოდა და მისი სიტყვები აღიქვა რეალურად და იფიქრა რომ მართლაც შეეძლო მისთვის რამე დაეშავებინა“.

11. უსაფუძვლოა ასევე ლ. ყ-ის მტკიცება, რომ მას გამოძიების ეტაპზევე სურდა გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის შეცვლა, რაც ვერ განახორციელა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (აცნობა პროკურორს, ასევე განაცხადა პოლიციაში, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია). ლ. კ-ის განმარტებით, ლ. ყ-ი და გ. ყ-ი ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მათ ჰქონდათ უფლება, დაეზუსტებინათ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია, თუ რამე გაახსენდებოდათ.

11.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოძიების ორგანოს მხრიდან მართლაც არ მოჰყვა რეაგირება ლ. ყ-ის ზეპირსიტყვიერ შეტყობინებას, აღნიშნული არ ართმევდა ლ. ყ-ს გამოძიების ორგანოსათვის წერილობით ოფიციალურად მიმართვის შესაძლებლობას, ასეთის სურვილის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში კი, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დგინდება, რომ ლ. ყ-ს ნამდვილად ჰქონდა მცდელობა ზეპირი ან წერილობითი ფორმით დაეზუსტებინა მის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია.

12. გამომძიებლებმა ი. შ-მა და ლ. კ-მა სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას დაადასტურეს, რომ ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის გამოკითხვის ოქმებში ინფორმაცია ასახული იყო ზუსტად ისე, როგორც მათ თქვეს. მოწმეთა განმარტებით, ყველა პირს აფრთხილებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ლ. ყ-ი და გ. ყ-იც გააფრთხილეს როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად. მათ ტექსტი წაიკითხეს და მისი სისწორე ხელის მოწერით დაადასტურეს.

13. სასამართლო ითვალისწინებს ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no.

49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece* (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009). შესაბამისად, ზემოაღნიშნულის და გასაჩივრებულ განაჩენში წარმოდგენილი მსჯელობის *mutadis mutandis* გათვალისწინებით, სასამართლო დამატებით აღარ იმსჯელებს ლ. ყ-ისა და გ. ყ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილი ბრალდების შესახებ ზ. ლ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

13.1. აღნიშნულ ნაწილში სასამართლო აღნიშნავს მხოლოდ შემდეგს: თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2023 წლის 4 დეკემბრის განაჩენში (რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით – 2024 წლის 22 აპრილს დაუშვებლად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი) საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ზ. ლ-ისათვის წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით შეაფასა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები (მათ შორის: საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მოწმეთა ჩვენებები და სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები) და აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, დაზიანებების მიყენების კონკრეტული ვითარება გამორიცხავს ზ. ლ-ის განზრახვას – ლ. ყ-ის განზრახ მკვლელობისა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით (რომელიც უთითებდა, რომ ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის მიერ ჩვენების მიცემისას გაკეთებული განმარტებები, სასამართლოს უქმნიდა რწმენას, რომ მათი ჩვენებები ემსახურებოდა ზ. ლ-ისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას და არ ასახავდა საქმის რეალურ გარემოებებს), სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული ანალიზი საფუძველია დასკვნისათვის, რომ დაზარალებულთა სასამართლოში გაცხადებული პოზიცია გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი კარგად იცნობენ ზ. ლ-ის პიროვნებას და იციან მომხდარის დეტალები. სასამართლომ ლ. და გ. ყ-ების მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებები მიიჩნია სარწმუნოდ, ეჭვი არ შეუტანია მათში გადმოცემული ინფორმაციის ნამდვილობაში. შესაბამისად, ვინაიდან ერთი მხრივ ბრალდების მხარე ლ. ყ-ს და გ. ყ-ს არ ედავება გამოკითხვისას ცრუ ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლი არ ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას *per se* წინააღმდეგობრივი ჩვენებებისთვის, ამასთან – ძირითად საქმეზე სააპელაციო ინსტანციის სასამარ-

თლომ აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას ისინი სარწმუნოდ მიიჩნია და გამორიცხა ჩვენების შეცვლა ზ. ლ-ისთვის სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მოტივით, – საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ამ ნაწილში დააკმაყოფილოს კასატორის მოთხოვნა მისი უსაფუძვლობის გამო.

14. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენს ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის საფუძველზე – ზ. ლ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2023 წლის 4 დეკემბრის განაჩენში (რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით – 2024 წლის 22 აპრილს დაუშვებლად იქნა ცნობილი ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი) ზ. ლ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით (რომელშიც ზ. ლ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა) მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა დაზარალებულის მიერ მუქარის რეალურად აღქმა, ვინაიდან დაზარალებულმა, გამოძიების ეტაპზე გამოკითხვისას მითითებული გარემოებებისაგან განსხვავებით, სასამართლო სხდომაზე კატეგორიულად უარყო ზ. ლ-ის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მუქარისა და მისი მხრიდან მიწერილი შეტყობინებების სერიოზულობა და რეალურად აღქმა. იმავდროულად, გ. ყ-მა, გამოძიების ეტაპზე გამოკითხვისას აღნიშნულისგან განსხვავებით, სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას უარჰყო რომ შეესწრო ზ. ლ-ის მხრიდან ლ. ყ-ის მიმართ მუქარას.

15.1. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ეპიზოდში ზ. ლ-ის გამართლება დაუკავშირდა/გამოწვეული იყო ლ. ყ-ის და გ. ყ-ის მიერ ჩვენებების არსებითად შეცვლით, რადგან სისხლის სამართლის საქმეში არსებული სხვა არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება დაზარალებულის მიერ მუქარის რეალურად აღქმა.

16. აღნიშნულის მიუხედავად, ბრალდების მხარე ლ. ყ-სა და გ. ყ-ს არ ედავება საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. კერძოდ,

17. ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ. ლ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით), 2023 წლის 9 იანვარს ლ. ყ-მა, ხოლო 16 იანვარს გ. ყ-მა სიღნაღის რაიონულ

სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე მონმის სახით და-
კითხვისას, მისცეს ცრუ ჩვენება. კერძოდ, მათ მიერ 2022 წლის 7 და 9
მაისს, გამოძიების სტადიაზე ს-ს რაიონული სამმართველოს ადმინის-
ტრაციულ შენობაში მონმის სახით გამოკითხვისას მიწოდებული ინ-
ფორმაცია, ასევე, 2022 წლის 12 მაისს, საგამოძიებო ექსპერიმენტის
მიმდინარეობისას მიწოდებული ინფორმაცია და 2023 წლის 9 და 16 იან-
ვარს სასამართლოში დაკითხვისას გაჟღერებული პოზიცია არსებითად
წინააღმდეგობაში მოვიდა ერთმანეთთან. აღნიშნული ქმედებით ლ. ყ-
მა და გ. ყ-მა ხელი შეუშალეს მართლმსაჯულებას (იხ. გ. ყ-ის ბრალდე-
ბის დადგენილება, ლ. ყ-ის ბრალდების დადგენილება).

18. მოცემულ შემთხვევაში წარდგენილი ბრალდების ფორმულირე-
ბიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ლ. ყ-სა და გ. ყ-ს ედავება მხო-
ლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეზე ცრუ ჩვენების მი-
ცემას და არ ედავება ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეზე (საქარ-
თველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული
დანაშაულისათვის) ცრუ ჩვენების მიცემით მართლმსაჯულებისათვის
ხელის შეშლას.

19. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „სასამართლო
საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. საქართვე-
ლოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება
მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 169-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დად-
გენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმი-
ნირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის,
საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მი-
თითებით. ამდენად, წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება
სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩა-
მოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნ-
და იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმე-
დების აღწერა (როგორ/რაში გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხა-
რე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, სა-
შუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მი-
თითებით“ (იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024
წლის 20 დეკემბრის 745აპ-24 განაჩენი, II-3.4.-3.4.1; საქართველოს უზე-
ნაესი სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე
№230აპ-13, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.1.2.; 2023 წლის 10 აგვის-
ტოს განაჩენი საქმეზე №426აპ-23, II-9.1). ამდენად, სასამართლო სის-
ხლის სამართლის საქმეს იხილავს, ბრალდებულის დამნაშავეობასა თუ
უდანაშაულობაზე მსჯელობს და ქმედებას სამართლებრივად აფასებს
სწორედ ბრალდების დადგენილებაში მითითებული ფორმულირების

ფარგლებში, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ინკრიმინირებული ქმედების აღწერა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 აგვისტოს განაჩენი საქმეზე №426აპ-23, II-9.1; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 5 ივნისის განაჩენი №1340აპ-24, II-19).

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან ბრალდების მხარე საკასაციო საჩივარში ასევე უთითებს ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის მიერ ცრუ ჩვენების მიცემაზე ზ. ლ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზეც, ლ. ყ-სა და გ. ყ-ს ბრალი უნდა წარსდგენოდეთ საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მე-3 ნაწილით ცალცალკე, ვინაიდან, საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლისათვის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას).

21. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „საბრალდებო დასკვნას, რომელიც განსაზღვრავს ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, გადამწყვეტი როლი აქვს სისხლის სამართლის პროცესში“ (*Glonti an others v. Georgia*, app. 13708/18, par. 13, ECtHR, 11/02/2025. aseve ix., *Kamasinski v. Austria*, no. 9783/82, par.79, ECtHR, 19/12/1989; *Varela Geis v. Spain*, no. 61005/09, par.51, ECtHR, 5/03/2013).

22. „ბრალდებულის უფლება, მოამზადოს მისი დაცვა, გულისხმობს უფლებას, ინფორმირებული იყოს არა მხოლოდ ბრალდების მიზეზის შესახებ, არამედ სამართლებრივი კვალიფიკაციის შესახებ, რაც იმ ქმედებებს მიეცა, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილია მის მიერ“ (*Gelenidze v. Georgia*, no. 72916/10, par. 35, ECtHR, 7/11/2019. aseve ix. *I.H. And Others v. Austria*, no. 42780/98, par. 34, ECtHR, 20/04/2006; *Penev v. Bulgaria*, no. 20494/04, par.42, ECtHR, 7/01/2010).

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გასცდეს პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ ბრალის ფორმულირებას და პირს პასუხისმგებლობა დააკისროს იმ ქმედების ჩადენისათვის, რომელსაც ბრალდების მხარე არ ედავება.

24. შესაბამისად, სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-300 მუხლით, 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი
პირმო ნაწილი
კასაცია
საკასაციო განაჩენი
გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამართლებელი განაჩენის დადგენა
განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№ 1340აპ-24

5 ივნისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავეის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 ოქტომბრის განაჩენ-
ზე.

აღწერილობითი ნაწილი:

**1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით კ. ს-ს ბრალად ედუ-
ბოდა:**

1.1. გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, ოჯახის ერთი წევრის
მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზი-
კური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 117-ე, 118-ე ან
120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, – დანაშაული, გათვალის-
წინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023
წლის 20 სექტემბრის ეპიზოდი);

1.1.1. კ. ს-ის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2023
წლის 20 სექტემბერს დღის პირველ ნახევარში, გ-ს მუნიციპალიტეტის
სოფელ ნ-ში, თავისი სახლის ეზოში კ. ს-მა, გენდერული დისკრიმინა-
ციის მოტივით, თვლიდა რა, რომ ქალი მეუღლის დაუკითხავად მეზო-
ბელთან არ უნდა გასულიყო, მარჯვენა მუშტის თავის არეში ორჯერ
დარტყმით ფიზიკურად იძალადა მეუღლის – ა. ს-ას – მიმართ. კ. ს-ის
ქმედებით ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.2. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 10 ოქტომბრის ეპიზოდი);

1.2.1. კ. ს-ის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2023 წლის 10 ოქტომბერს დღის პირველ ნახევარში, გ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ში, თავისი სახლის ეზოში კ. ს-მა, ალკოჰოლური სასმელის საყიდლად ფულის მიცემაზე უარის მიღების გამო, თმით თრევისა და ორივე ხელის მუშტის თავის არეში არაერთხელ დარტყმით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის – ა. ს-ას – მიმართ. კ. ს-ის ქმედებით ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

1.3. გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 21 ოქტომბრის ეპიზოდი);

1.3.1. კ. ს-ის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2023 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, გ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ში, თავისი სახლის ეზოში კ. ს-მა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, თვლიდა რა, რომ ქალის მოვალეობა იყო მეუღლეს უსიტყვოდ დამორჩილებოდა, ეძახდა უსაქმურს და ცუდ დედას, მარჯვენა მუშტის თავის არეში სამჯერ დარტყმით, მკლავებში ხელის მოჭერისა და შენეზღრევის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის – ა. ს-ას – მიმართ. კ. ს-ის ქმედებით ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერვლის განაჩენით კ. ს-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი ფიზიკური ძალადობა) წარდგენილი დანაშაულები გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სისტემატური შეურაცხყოფა);

2.1. კ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სისტემატური შეურაცხყოფა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

2.2. კ. ს-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან 2023 წლის 21 ოქტომბრიდან.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა სალომე ქემაშვილმა. აპელან-

ტმა მოითხოვა კ. ს-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი დამოუკიდებელი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მისთვის მკაცრი სასჯელის დანიშვნა.

3.1. პროკურორის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა მსჯავრდებულ კ. ს-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. კ-მ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით:

4.1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

4.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 12 თებერვლის განაჩენში შევიდა ცვლილება:

4.2.1. კ. ს-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი ფიზიკური ძალადობა) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სისტემატური შეურაცხყოფა);

4.2.2. კ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სისტემატური შეურაცხყოფა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

4.2.3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 27 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

4.3. მსჯავრდებულ კ. ს-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 21 ოქტომბრიდან და დაუყონებლივ განთავისუფლდა სხდომის დარბაზიდან;

4.4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 27 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის და მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულ კ. ს-ის მიმართ გამოცემული იქნა დამცავი ორდერი 9 თვით.

4.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 ოქტომბრის დამცავი ორდერის თანახმად: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 27 სექტემბრის მე-12 მუხლის, მე-7 პუნქტის, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ კ. ს-ის მიმართ, 9 თვით გამოიცა დამცავი ორდერი, რომლის მოქმედების ვადაშიც: კ. ს-ს აეკრძალა დაზარალებულ ა. ს-ას საცხოვრებელ სახლთან, სამსახურთან და ყველა იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც შე-

საძლებელია ა. ს-ა იმყოფებოდეს; მსჯავრდებულ კ. ს-ს აეკრძალა და-ზარალებულ ა. ს-ასთან ნებისმიერი სახით, როგორც უშუალოდ, ისე მო-ბილური, კომპიუტერული საშუალებების და სოციალური ქსელების გა-მოყენებით კომუნიკაცია.

5. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა რუსთავის რა-იონული პროკურატურის პროკურორმა სალომე ქემაშვილმა. კასატო-რი ითხოვს კ. ს-ის დამნაშავედ ცნობას ბრალდნარდგენილი – საქარ-თველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი ფი-ზიკური ძალადობა) გათვალისწინებული – კვალიფიკაციით და მისთვის მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

5.1. პროკურორის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოდგინა მსჯავრდებულ კ. ს-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ბ. შ-ემ.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამარ-თლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 275-ე მუხლს; იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადანყევტილების ვალ-დებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენ-ტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილე-ბა საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევა-ში, კასატორი ბრალდების მხარე ითხოვს კ. ს-ის დამნაშავედ ცნობას ბრალდნარდგენილი – საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამი ეპიზოდი ფიზიკური ძალადობა) გათვალისწინებული – დანაშაულების ჩადენაში, ნაცვლად მსჯავრდშერაცხილი საქართვე-ლოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილისა (სისტემატური შეურაც-ხყოფა), ხოლო დაცვის მხარე შესაგებლით – ბრალდების მხარის საკა-საციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდ-გენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ რუსთავის რაიო-ნული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო სა-ჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და კ. ს-ი უნდა გამართლდეს შემდე-გი გარემოებების გამო:

4. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპე-რატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემ-ყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის

(მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც, გონივრულ ეჭვს მიღმა, ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც, საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე, გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

5. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის მტკიცებულებათა ხარისხობრივ მოთხოვნასთან ერთად ადგენს მათი საკმარისობის კონსტიტუციურ სტანდარტსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბრალდების მხარის იმპერატიული ვალდებულებაა სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი გამოძიების წარმოება, მტკიცებულებათა მოპოვება, მათი გამყარება და პირის ბრალეულობის დასადასტურებლად იმგვარი სამხილების წარმოდგენა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა, თავისთავად, ზრდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შეცდომის, თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-103; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 1 დეკემბრის №505აპ-21 განაჩენი).

6. ამდენად, უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ იმას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ (სანდო, გაუყალბებელ) მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს, არამედ იმასაც, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ეჭვგარეშე დასტურდებოდეს პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/2/1276 საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77). ამასთან, მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით უნდა დასტურდებოდეს დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინ

ნაალმდეგ“, II-41-43).

7. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის განსაზღვრულ მტკიცებით სტანდარტს და გონივრულ ეჭვს მიღმა არ ადასტურებს კ. ს-ის მიერ მისთვის ბრალადშერაცხული დანაშაულების ჩადენას. კერძოდ, სასამართლო ითვალისწინებს:

8. დაზარალებულმა ა. ს-ამ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას (ჩვენების მიცემის პროცესში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კ. ს-ის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის თაობაზე) გამოორიცხა კ. ს-ის მიერ მის მიმართ ფიზიკური ძალადობა და, მათ შორის, განმარტა, რომ: 2023 წლის ოქტომბერში მომხდარი ფაქტი ზუსტად არ ახსოვს, იყო გაბრაზებული, აღელვებული და წავიდა პოლიციაში; კ. ს-ს ფიზიკურად არ უძალადია და არც სამჯერ დაურტყამს მუშკი მისთვის; დაზარალებულმა უარყო გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული გარემოებები სხვა ეპიზოდებთან მიმართებითაც; არ ახსოვს, რა მოყვა პოლიციაში და რა დაწერეს მისი სახელით პოლიციელებმა; დაზარალებულმა ივარაუდა, რომ მისი გამოკითხვის ოქმში აღნიშნული გარემოებები თარჯიმანმა არასწორად თარგმნა, ასევე, არ გამოორიცხა, რომ გამოძიებელმა იცრუა; არ დაადასტურა გამოკითხვის ოქმში, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმსა და შემაკავებელ ორდერში მითითებული გარემოებები. ა. ს-ამ დაადასტურა, რომ მან მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტში, თუმცა არ გადაუთარგმნიათ ოქმში რა ეწერა და რასაც ფოტოებზე უთითებს, გამოძიებელმა მიათითებინა. 2023 წლის 21 ოქტომბრის შემაკავებელ ორდერში რაც არის მითითებული მან უთხრა პოლიციას არასწორად; კ. ს-მა მისი საჩივრის საფუძველზე მოიხადა სასჯელი წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამო და მას შემდეგ, რაც დატოვა პენიტენციური დაწესებულება, აღარ უძალადია.

9. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს, რის გამოც მისი ჩვენების უტყუარობა, საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების დეტალური ანალიზით უნდა შეფასდეს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის №527აპ-17 განაჩენი).

9.1. ოჯახური დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობის ან საქმის მასალებში ბრალდებულის მიმართ დაზარალებულის პრეტენზიის არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაშიც, ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს სისხლის სამართლის საქმეში არ-

სებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, და უნდა შეფასდეს, რამდენად ქმნის აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობა საქართველოს სსსკ-ით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის საჭირო მტკიცებით სტანდარტს.

10. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

10.1 გამოძიების დანეყბას საფუძვლად დაედო შეტყობინების რეგისტრაციის №... ბარათი (თემა: ცემა), რომლის თანახმადაც, 2023 წლის 21 ოქტომბერს გ-ს რაიონული სამმართველოს სამორიგეო ნაწილში გამოცხადდა გ-ს რაიონის სოფელ ნ-ში მცხოვრები მოქალაქე ა. ს-ა, რომელმაც განაცხადა, რომ მეუღლემ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა;

10.2. 2023 წლის 21 ოქტომბერის №... შემაკავებელი ორდერის თანახმად, მსხვერპლ ა. ს-ას მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე მოძალადე კ. ს-ს დაუწესდა შესაბამისი აკრძალვები 30 დღით. შემაკავებელი ორდერის ოქმის თანახმად, სავარაუდო ძალადობა გამოიხატა შემდეგში: 2023 წლის 21 ოქტომბერს ა. ს-ას ფიზიკური დაზიანება მიაყენა მეუღლემ კ. ს-მა, კერძოდ თავის არეში სამჯერ ჩაარტყა მუშტი, რადროსაც ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი; ასევე, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ შეაგინა დედის მისამართით და მიმართა უცენზურო სიტყვებით, რითაც ა. ს-ამ, როგორც ქალმა თავი იგრძნო დამცირებულად. მსხვერპლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად: მოძალადე მსხვერპლს ემუქრება ჯანმრთელობის დაზიანებით; მოძალადე აკონტროლებს მსხვერპლის გადაადგილებას და სხვა პირებთან ურთიერთობას, რადგან არის ქალი და უნდა იყოს სახლში, მიხედოს სახლის საქმეს და მოიქცეს ისე, როგორც მეუღლე ეტყვის; მოძალადემ მსხვერპლს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ შეაგინა დედა და მიმართა უცენზურო სიტყვებით, ასევე დაამცირა, როგორც ქალი; მოძალადემ 21 ოქტომბერს ფიზიკური ძალადობა განახორციელა მსხვერპლზე, კერძოდ თავის არეში სამჯერ დაარტყა მუშტი; იგივე მსხვერპლის მიმართ შემაკავებელი ორდერები გამოცემული იქნა: 31.03.2021; 18.10.2021; 11.12.2022; 05.04.2023; 11.08.2023.

10.3. საგამოძიებო ექსპერიმენტის 2023 წლის 21 ოქტომბრის ოქმის თანახმად, თარჯიმან ა. მ-ას მონაწილეობით ა. ს-ას ჯერ ნაეკითხა 2023 წლის 21 აგვისტოს გამოკითხვის ოქმი (რომელიც ეხება 2023 წლის 21 ოქტომბერს მისი მეუღლის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ოჯახური ძალადობის ფაქტს), შემდეგ კი ა. ს-ამ ფაქტებისა და მოვლენების სრულად აღდგენის მიზნით, მიუთითა გ-ს რაიონის სოფელ ნ-ში არსებული მისი საცხოვრებელი სახლი და კონკრეტულად ის ადგილები, სადაც მისი განმარტებით 2023 წლის 21 ოქტომბერს, 2023 წლის 20 სექტემბერსა და 2023 წლის 10 ოქტომბერს მეუღლემ კ. ს-მა ფიზიკურად იძალადა მასზე, კერძოდ: საცხოვრებელი სახლის წინ ეზოში რამდენჯერმე დაარ-

ტყა შეკრული მუშტები თავში და მოქაჩა თმა. ა. ს-ას მითითებით, 2023 წლის 21 ოქტომბერს კ. ს-ის მიერ მუშტებით ცემის დროს, მას ძალიან ეტკინა თავი, რითაც განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

10.4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გ-ს მუნიციპალიტეტში მაგისტრაცი მოსამართლის 2023 წლის 30 ნოემბერის №11ა-1914-23 განჩინების საფუძველზე, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან“ ამოღებული იქნა ა. ს-ას სამედიცინო ბარათი №..., რომლის თანახმად, 2023 წლის 21 ოქტომბერს ბრიგადა გამოიძახეს პოლიციის განყოფილებაში პიროვნების გასასინჯად, რომელიც აცხადებს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლემ და უჩივის თავის ტკივილს. გარეგნული დათვალიერებით პიროვნებას დაზიანების ნიშნები არ აღენიშნება.

10.5. მონმე ზ. ჩ-მ (გამომძიებელი) განმარტა, რომ 2023 წლის ოქტომბერში მან დაიწყო გამოძიება ოჯახური ძალადობის ფაქტზე, რადგან თავად მოქალაქემ – ა. ს-ამ მიმართა გ-ს რაიონულ სამმართველოს და განაცხადა, რომ მეუღლემ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, სცემა და ამასთან დაკავშირებით ითხოვა პოლიციის დახმარება. ა. ს-ამ მოწმის სახით გამოკითხვისას თავი შეუძლოდ იგრძნო, ასევე თავი სტიკოდა, რის გამოც გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. გამოკითხვის შემდეგ, როდესაც დაზარალებულმა თავი უკეთ იგრძნო, ჩატარდა საგამომძიებო ექსპერიმენტი.

10.6. მონმე ა. მ-ამ განმარტა, რომ მუშაობს ბიუროში თარჯიმნად, 2023 წლის 20 დეკემბერს განსახილველ საქმეზე ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას გამომძიებელ ზ. ჩ-ს მიერ ა. ს-ას გამოკითხვისას; ჯერ გამომძიებელი სვამს კითხვებს, უთარგმნის, შემდეგ უკითხავს გამოკითხვის ოქმს და ხდება მოწმის მიერ ხელმოწერით დადასტურება; ახსოვს, რომ რამდენჯერმე კითხვაც დაუსვა, გასაგები თუ იყო ა. ს-ასთვის თარგმანი, რაზეც დაზარალებული დაეთანხმა; ა. ს-ას არავინ კარნახობდა, გამომძიებელი არაფერს უთითებდა; დადასტურა საგამომძიებო ექსპერიმენტში თარჯიმნის სტატუსით მონაწილეობა.

10.7. მონმე ი. ნ-ის (სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმი) ჩვენების თანახმად, პაციენტი – ა. ს-ა – უჩიოდა თავის ტკივილს (15:42:27), რასაც უკავშირებდა მეუღლის მხრიდან ძალადობას (15:42:45), თუმცა გარეგნული დათვალიერებით დაზიანებები არ აღენიშნებოდა (15:35:53; 15:40:02).

10.7.1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2024 წლის 21 იანვრის №... დასკვნის თანახმად, ა. ს-ას 2023 წლის 22 ოქტომბერს ობიექტური შემონმებით და ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ფიზიკური დაზიანების რა-

იმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება. დასკვნის თანახმად, ა. ს-ას შემონმება ჩატარდა 2023 წლის 22 ოქტომბერს 12:36 საათზე, რა დროსაც შემონმდა თავის, კისრის, სახისა და მტევნების მიდამოები და ფიზიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღენიშნებოდა.

11. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაკითხული მოწმეების (მათ შორის, უზნის ინსპექტორის – ნ. მ-ის, გამომძიებელის – ზ. ჩ-ს, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმის – ი. ნ-ის) ჩვენებები არის ირიბი, რადგან ისინი ძალადობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უშუალოდ არ შესწრებიან და მომხდარის შესახებ გადმოცემით იციან დაზარალებულისაგან. საკასაციო სასამართლო კი ამჯერადაც აღნიშნავს, რომ ირიბი ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის „შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო ნებისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 22/01/2015, II-52).

12. სასამართლო ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმი საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ საგამომძიებო ექსპერიმენტის დროს პრაქტიკულად ადგილზე შემონმდა დაზარალებულის ჩვენება. მოცემულ შემთხვევაში, საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმი შინაარსობრივად არის დაზარალებულის (მონმეების) ჩვენების – მის მიერ გამოკითხვის ოქმებში მოწოდებული ინფორმაციის შემონმება. მოწმის/დაზარალებულის ჩვენება და საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმი, მართალია, ორი სხვადასხვა მტკიცებულებაა, მაგრამ ცალსახაა, რომ, ორივე შემთხვევაში, ინფორმაციის მომწოდებელი წყარო არის ერთი და იგივე პირი (მაგალითისთვის, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებები: №315აპ-20; №49აპ-20; №679აპ-20; №442აპ-21).

13. შემაკავებელ ორდერში მითითებული ინფორმაციის პირველწყაროც არის მხოლოდ დაზარალებული, რომელმაც, სასამართლო სხდომაზე კატეგორიულად უარყო კ. ს-ის მიერ მის მიმართ (შემაკავებელ ორდერსა და გამოკითხვის ოქმში მითითებული) ფიზიკური ძალადობის ფაქტები.

14. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში ქმედების საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა დასტურდებოდეს დაზარალებულის მიერ ტკივილის განცდა. დაზარალებულისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენისათვის გამოიყენება სუბიექტური და

ობიექტური ტესტები (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №746აპ-19; 674აპ-20, 2025 წლის 21 მარტის №1256აპ-24 განჩინება). მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულმა არსებით სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას უარყო კ. ს-ის მიერ მის მიმართ ფიზიკური ძალადობა, აღნიშნული არ დასტურდება სხვა არც ერთი დამოუკიდებელი პირდაპირი მამხილებელი მტკიცებულებით.

15. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც დაზარალებულმა სასამართლოში საქმის განხილვისას გამოიჩინა კ. ს-ს მიერ მის მიმართ ფიზიკური ძალადობა, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი არ არის თვითმხილველი მოწმის ჩვენება ანდა სხვა რომელიმე პირდაპირი მამხილებელი მტკიცებულება (მხოლოდ გამომძიებელი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი უთითებს, რომ დაზარალებულს აღენიშნებოდა თავის ტკივილი, რომელსაც უკავშირებდა მეუღლის მხრიდან ძალადობას, თუმცა ისინი უშუალოდ ფაქტს – ძალადობას – ასეთის არსებობის შემთხვევაში არ შესწრებიან), რაც დაადასტურებდა კ. ს-ის მიერ მისთვის ბრალდშერაცხილი დანაშაულის ჩადენას, ასევე – დაზარალებულის მიერ ტკივილის განცდის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რაც ობიექტურად დაადასტურებდა დაზარალებულის მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტს და აღნიშნულით დაზარალებულის მიერ ტკივილის ობიექტურად განცდას, უდავოდ არ არის ცნობილი შემაკავებელი ორდერი (და მისი ოქმი), საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, – საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა (შეტყობინება, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, შემაკავებელი ორდერი და მოწმეთა ირიბი ჩვენებები) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს კ. ს-ის მიერ მისთვის ბრალდშერაცხილი (საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (ფიზიკური ძალადობის სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული) დანაშაულების ჩადენას.

16. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, ვერ დასტურდება კ. ს-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის

პირველი ნაწილით (2023 წლის 20 სექტემბრის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 10 ოქტომბრის ეპიზოდი) ან/და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 21 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის/ების ჩადენა.

18. რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას კ. ს-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილით (სამი ეპიზოდი ფიზიკური ძალადობა) წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სისტემატური შეურაცხყოფა) გადაკვალიფიცირების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალდების მხარე კ. ს-ს ედავება შემდეგს:

18.1. 2023 წლის 20 სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში, გ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ში, თავისი სახლის ეზოში კ. ს-მა, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, თვლიდა რა, რომ ქალი მეუღლის დაუკითხავად მეზობელთან არ უნდა გასულიყო, მარჯვენა მუშტის თავის არეში ორჯერ დარტყმით ფიზიკურად იძალადა მეუღლის – ა. ს-ას მიმართ. კ. ს-ის ქმედებით ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

18.2. 2023 წლის 10 ოქტომბერს, დღის პირველ ნახევარში, გ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ში, თავისი სახლის ეზოში კ. ს-მა, ალკოჰოლური სასმელის საყიდლად ფულის მიცემაზე უარის მიღების გამო, თმით თრევისა და ორივე ხელის მუშტის თავის არეში არაერთხელ დარტყმით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის – ა. ს-ას მიმართ. კ. ს-ის ქმედებით ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

18.3. 2023 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, გ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ში, თავისი სახლის ეზოში კ. ს-მა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, თვლიდა რა, რომ ქალის მოვალეობა იყო მეუღლეს უსიტყვოდ დამორჩილებოდა, ეძახდა უსაქმურს და ცუდ დედას, მარჯვენა მუშტის თავის არეში სამჯერ დარტყმის, მკლავებში ხელის მოჭერისა და შენჯღრევის გზით, ფიზიკურად იძალადა მეუღლის – ა. ს-ას მიმართ. კ. ს-ის ქმედებით ა. ს-ამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

18.4. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც: ბრალდების მხარე კ. ს-ს თითოეულ ეპიზოდში ედავება ფიზიკურ ძალადობას და ძალადობის შედეგად ფიზიკური ტკივილის მიყენებას, და არ შეიცავს მითითებას – სისტემატური შეურაცხყოფის/სიტყვიერი შეურაცხყოფის და შესაბამისად, ტანჯვის განცდის თაობაზე; არ არის წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა მსჯავრდებულის ქმედებებით დაზარალებულის ტანჯვას, რაც დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია; ბრალდების მხარე გენდერული დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენას ედავება

მხოლოდ 2023 წლის 20 სექტემბრის და 2023 წლის 21 ოქტომბრის ეპიზოდებში (2023 წლის 10 ოქტომბრის ეპიზოდი უთითებს – ალკოჰოლური სასმელის საყიდლად ფულის მიცემაზე უარის მიღებაზე), საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში კვალიფიკაციის ცვლილებით პირველი ინსტანციის სასამართლო არ გაცდა წარდგენილ ბრალდებას.

19. გასაჩივრებული განაჩენით კ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით – სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ტანჯვა (და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი) – ჩადენაში.

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „სისტემატურობა უკავშირდება ძალადობის განხორციელებას გარკვეული პერმანენტულობით, ანუ ქმედება მეორდება გამუდმებით, განუწყვეტლივ, რეგულარულად, რაც ქმნის გარკვეულ სისტემას... შესაბამისად, ძალადობა, როდესაც ქმედებები დროის ინტერვალთა საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, არ შეიძლება მივიჩნიოთ სისტემატურად. სისტემატურობა გამოკვეთილია მაშინ, როდესაც ძალადობრივ ქმედებებს შორის არსებული დროის პერიოდი იმდენად მოკლეა, რომ დაზარალებული კვლავ განიცდის პირველი ქმედებით მიყენებულ ზიანს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 29 მაისის განაჩენი №733აპ-18).

სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ „ფსიქიკური ტანჯვა, მათ შორის გაგებული უნდა იქნეს, როგორც ხანგრძლივი და აუტანელი ფსიქიკური ტკივილი (განცდები), რომელსაც პირი განიცდის ძალადობის შედეგად“. ამასთან ფსიქიკური ტკივილის ინტენსივობის შეფასება, როგორც წესი, საჭიროებს სპეციალურ ცოდნას.

21. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა, ხოლო მე-12 და 166-ე მუხლების თანახმად – სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №230აპ-13) და შეზღუდულია ბრალის ფორმულირებით.

22. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება უნდა იწვევდეს დაზარალებულის ტანჯვას. ამასთან, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს, როგორც დაზარალებულის მიერ ტანჯვის განცდა, ასევე ის გა-

რემოება, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო/ უკავშირდებოდა სწორედ განსასჯელის მიერ მისთვის ბრალადშერაცხული ქმედებების ჩადენას და უნდა დასტურდებოდა, მათ შორის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის – ექსპერტის – დასკვნით.

23. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარე არ ედავებოდა კ. ს-ს სისტემატიურ შეურაცხყოფას/სიტყვიერ შეურაცხყოფას, სისხლის სამართლის საქმეში არ არის წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რათა დადგენილიყო, დაზარალებულმა განიცადა თუ არა სტრესი ან/და ტანჯვა ან/და მის ქმედებებზე იქონია თუ არა გავლენა კ. ს-ის მიერ განხორციელებულმა შეურაცხყოფამ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ არის წარმოდგენილი არც ერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც ირიბად მაინც მიუთითებდა კ. ს-ის მიერ სწორედ მისთვის ბრალად შერაცხილი ქმედებებით დაზარალებულისთვის ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებას, ბრალდების მხარეს კ. ს-ის ქმედება სამართლებრივად არ შეუფასებია სისტემატური შეურაცხყოფის კონტექსტში.

24. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, რომლის თანახმად, ბრალდების გადაკვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განჭვრეტადად არის მიჩნეული, თუ იგი ბრალდების თანდაყოლილ ელემენტს წარმოადგენს (*De Salvador Torres v. Spain*, no. 21525/93 § 33, ECtHR, 24/10/1996; *Sadak and Others v. Turkey*, 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96, § 52 and § 56, ECtHR, 17/07/2021; *Juha Nuutinen v. Finland*, no 45830/99, § 32, ECtHR, 24/07/2007).

25. „შეჯიბრებითობის პრინციპი ...არცერთ შემთხვევაში არ ათავისუფლებს მოსამართლეს თავისთავადი ვალდებულებისგან, ითვალისწინებდეს და სწორად იყენებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს იმისგან დამოუკიდებლად, მხარე რამდენად ჯეროვნად ახერხებს საკუთარი ინტერესების დაცვას და მიუთითებს თუ არა მოსამართლეს სამართლის სათანადო წესების და პრინციპების გამოყენების აუცილებლობაზე (იხ.: იქვე, II-21). „შესაძლოა არსებობდეს რიგი საკითხებისა, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად უნდა შეამოწმოს. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთვნება ისიც, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ“ (იხ.: იქვე, II-22). კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს არ გამოიყენოს და უგულებელყოს ფუნდამენტური და იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადანყევტილების მიღების მიზანს (იხ.: საქართველოს სა-

კონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება II-20).

26. საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას და ამასთანავე, მტკიცებულებათა ერთობლიობა საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ სადავო საკითხთან, მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებასთან მიმართებით, რომელიც დანაშაულის თითოეულ ნიშანს დაადასტურებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, ხოლო „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამორიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ს-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 20 სექტემბრის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 10 ოქტომბრის ეპიზოდი) ან/და საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 21 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის დასადასტურებლად ბრალდების მხარემ ვერ შესძლო საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება იმისათვის, რომ პირის ბრალეულობა არ იყოს დამოკიდებული მთლიანად ან უმეტესწილად დაზარალებულის ჩვენებაზე, ხოლო საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა არ არის საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კ. ს-ი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი კ. ს-ის მიმართ;

2.1. კ. ს-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 20 სექტემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

2.2. კ. ს-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 10 ოქტომბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

2.3. კ. ს-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (2023 წლის 21 ოქტომბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

2.4 გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 22 ოქტომბრის დამცავი ორდერი კ. ს-ის მიმართ;

3. საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, კ. ს-ს განემართოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

4. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს
სსკ-ის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით**

**განაჩენი
საქართველოს სახალით**

№საქმე №1238აპ-24

5 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),

ლ. თევზაძე,

ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახალციხის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ გელა მაღრაძის საკასაციო საჩივარი თბილისის
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024
წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, გ. ჩ-ს ბრალად და-
ედო დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, რაც გამოიხატა შემ-
დეგით:

1.1. 2022 წლის 19 აგვისტოს გ. ჩ-ს შეტყობინების საფუძველზე, შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ... რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა გ. ჩ-ს №... შეტყობინება, თითქოსდა რ. ჩ. ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, რაც მან ასევე დაადასტურა 2022 წლის 19 აგვისტოს, გამოკითხვისას, გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციით, რა დროსაც, ცრუდ დაასმინა რ. ჩ. მუქარის ჩადენისათვის. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა რ. ჩ-ს მიერ გ. ჩ-ს მიმართ მუქარის ფაქტი.

2. გ. ჩ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

3. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 19 მარტის განაჩენით გ. ჩ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გაპართლდა.

4. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 19 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – გიორგი ბეგაშვილმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. ჩ-ს დამნაშავედ ცობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 19 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – გელა მალრაძემ, რომელიც ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. ჩ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მისთვის ბრალდშერაცხილი დანაშაულის ჩადენისათვის, ვინაიდან მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია. ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით – გ. ჩ. 2022 წლის 19 აგვისტოს შეტყობინებითა და 2022 წლის 19 აგვისტოს გამოკითხვის ოქმით; მონემების – რ. ჩ., ლ. დ., მ. ა., მ. ვ., გ. ც. ჩვენებებით; სამშენებლო ობიექტიდან ამოღებული ვიდეოჩანაწერებით – უტყუარად დასტურდება, რომ გ. ჩ-ს მიერ 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ ოპერატორისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ისევე, როგორც 2022 წლის 19 აგვისტოს რ. ჩ. მამხილებელი ჩვენება, არის სიცრუე. 2022 წლის 11 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც

გ. ჩ. გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მათ შორის, სამშენებლო ობიექტიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერებსა და მონმეთა ჩვენებებს, გ. ჩ-მ იგრძნო მოსალოდნელი პასუხისმგებლობის საფრთხე და მოიგონა, თითქოსდა რ. ჩ-ს მუქარა არ ყოფილა სიტყვიერი ან ჟესტიბით გამოხატული, არამედ – მუქარისშემცველი იყო რ. ჩ-ს აგრესიული გამომეტყველება. იგივე დაადასტურა მან სასამართლოში ჩვენების მიცემის დროსაც.

7. გამართლებული გ. ჩ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი პ. მ. საკასაციო შესაგებლით ითხოვენ ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ გელა მაღრაძის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას, რამეთუ მიიჩნევენ, რომ გადანყვეტილება კანონიერი და დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების რაიმე წინაპირობა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ გ. ჩ-ს 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინების საფუძველზე, შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ა. რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, გ. ჩ-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით. განსჯის საგანია: გამოკვეთილია თუ არა გ. ჩ-ს ქმედებაში დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენის შემადგენლობა და, შესაბამისად, ჩაიდინა თუ არა მან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაული, როგორც ამას ბრალდების მხარე ამტკიცებს, თუ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადგინდა მისი ბრალეულობა, როგორც ეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია.

3. გ. ჩ-ს წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს მიერ, ძირითადად, ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, შეუძლებელს ხდიდა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, კერ-

ძოდ: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ, ერთი მხრივ, მიუთითა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებით გაურკვეველია, თუ კონკრეტულად რომელი – 2022 წლის 10 თუ 18 აგვისტოს – მუქარის ეპიზოდთან მიმართებით ედავებოდა, დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენას, ბრალდების მხარე გ. ჩ-ს მაშინ, როდესაც შეტყობინებასა და გამოკითხვის ოქმში თავად გ. ჩ. მიუთითებდა, როგორც ერთ, ისე – მეორე დანაშაულებრივ ეპიზოდზე, ხოლო, მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, უტყუარად ვერ დაადასტურა, რომ 2022 წლის 18 აგვისტოს, რ. ჩ. მუქარასთან დაკავშირებით, გ. ჩ-მ ერთმნიშვნელოვნად იცრუა, რითაც ფაქტობრივი საფუძველი გამოეცალა ცრუ დასმენისათვის მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

4. საკასაციო სასამართლო თანმიმდევრულად მიმოიხილავს საქმეში წარმოდგენილ მასალებს და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული არგუმენტების კვალდაკვალ, პირველ ყოვლისა განსჯის, არის თუ არა ბრალდების შესახებ დადგენილება ბუნდოვანი და გაურკვეველი, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, განჭვრეტადი იყო თუ არა გ. ჩ-სთვის, რაში მდგომარეობდა მისი ბრალდების არსი და, კონკრეტულად, რას ედავებოდა მას ბრალდების მხარე. კერძოდ:

5. საქმეში წარმოდგენილი, გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის – ფორმა № 1-ის – მიხედვით, 2022 წლის 19 აგვისტოს, საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ... რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება, სისხლის სამართლის №... საქმეზე, გ. ჩ-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

6. სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ გ. ჩ-ს შეტყობინება, რომელსაც საკასაციო სასამართლო დეტალურად ქვემოთ მიმოიხილავს და რომლის მიხედვით, გ. ჩ-მ სამართალდამცავებს აცნობა, რომ 2022 წლის 10 აგვისტოს, რ. ჩ-მ დაუშინა ქვები, ვ. ბ-ს კი – აგინა, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა. ამავდროულად, გ. ჩ-მ მიუთითა, რომ რ. ჩ-მ, რომელიც გამუდმებით თავს ესხმის, 2022 წლის 18 აგვისტოს, დაუწყო გინება, ლანძღვა, მუშტების ქნევა და ხმამაღლა დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით.

7. შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ გ. ჩ-ს შეტყობინებაში გაცხადებულ გარემოებებთან დაკავშირებით,

საქმეზე ობიექტური გარემოებების დასადგენად, მოწმეების სახით გამოიკითხნენ: გ. ჩ. და მისი მეუღლე – ი. ჩ.; რ. ჩ.; დედამისი – მ. ჩ.; ვ. ბ. მისი მეუღლე – შ. ბ.; სიძე – ს. ო.; მათი მეზობლები: მ. ლ. და ლ. ბ., ასევე – სოფელ ა. სკოლის მშენებლობაზე დასაქმებულები – ლ. დ, მ. ა., მ. ვ. და გ. ც.

8. 2022 წლის 31 აგვისტოს გ. ჩ.-ს წარედგინა ბრალდება შემდეგი ფორმულირებით: 2022 წლის 19 აგვისტოს გ. ჩ. შეტყობინების საფუძველზე, შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ა. რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №. საქმეზე. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა გ. ჩ.-ს №. შეტყობინება, თითქოსდა, რ. ჩ. ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, რაც მან ასევე დაადასტურა 2022 წლის 19 აგვისტოს, გამოკითხვისას, გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციით, რა დროსაც, ცრუდ დაასმინა რ. ჩ. მუქარის ჩადენისათვის. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა რ. ჩ.-ს მიერ გ. ჩ.-ს მიმართ მუქარის ფაქტი.

9. 2022 წლის 6 სექტემბერს გ. ჩ.-ს დამატებითი გამოკითხვის შემდეგ, 2022 წლის 9 სექტემბერს მისი მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილ იქნა და დათვალიერდა 2022 წლის 10 აგვისტოს ვიდეოჩანაწერი.

10. 2022 წლის 4 ოქტომბერს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-დან“ გამოთხოვილ იქნა და დათვალიერდა 2022 წლის 19 აგვისტოს გ. ჩ.-ს №... შეტყობინების აუდიოჩანაწერი, ხოლო 2022 წლის 17 ოქტომბერს – შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“, რ. ჩ.-ს დედის – მ. ჩ.-ს – 2022 წლის 10 აგვისტოს №... შეტყობინება.

11. 2022 წლის 18 ოქტომბრის დადგენილებით, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე, 2022 წლის 10 აგვისტოს გ. ჩ.-ს მიმართ შესაძლო მუქარის ფაქტზე, ვინაიდან სისხლის სამართლის №... საქმეზე, 2022 წლის 18 აგვისტოს მუქარასთან დაკავშირებით, გამოძიება ამოიწურა და საქმე უნდა წარმართულიყო სასამართლოში, ხოლო, 2022 წლის 10 აგვისტოს ეპიზოდთან მიმართებით, ჩასატარებელი იყო დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები.

12. ამდენად, ბრალდების შესახებ დადგენილებიდან გამომდინარე, რომლის ფარგლებშიც იხილავს სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო, ბრალდების მხარე გ. ჩ.-ს ედავებოდა, რომ 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინებით, რომ, თითქოსდა რ. ჩ. ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, ცრუდ დაასმინა იგი დანაშაულის ჩადენაში, რაც გ. ჩ.-მ ასევე დაადასტურა, მისივე ზემოაღნიშნული შეტყობინების საფუძველზე, დაწყებული გამოძიების დროს, 2022 წლის 19 აგვისტოს, მოწმის სახით გამოკითხვისას. ხაზგასასმელია, რომ შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფ-

რთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინებისას გ. რ. რ. ჩ-ს მის მიმართ მუქარაში ადანაშაულებდა მხოლოდ 2022 წლის 18 აგვისტოს ეპიზოდთან მიმართებით, ხოლო 2022 წლის 10 აგვისტოს მომხდართან დაკავშირებით, ამტკიცებდა, რომ რ. ჩ-მ დაუშინა ქვეები, ვ. ბ-ს კი დაემუქრა. შესაბამისად, სამართალდამცავებისათვის გ. რ-ს არ შეუტყობინებია, რომ რ. ჩ. 2022 წლის 10 აგვისტოს ემუქრებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ცრუ დასმენა ფორმალური დანაშაულია და დასრულებულია ვინმეს ბრალეულობის შესახებ სამართალდამცავების დეზინფორმირების მომენტიდან. განსახილველ საქმეზე კი დადგენილია, რომ 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინებისას გ. რ. რ. ჩ-ს ამხელდა მხოლოდ 2022 წლის 18 აგვისტოს ჩადენილ მუქარაში. ამდენად, სწორედ ამ დანაშაულში – 2022 წლის 18 აგვისტოს მუქარაში – ცრუ დასმენისათვის წარედგინა მას ბრალდება. ამავდროულად, საყურადღებოა, რომ გ. რ. სამართალდამცავებისათვის შეტყობინებასა და გამოკითხვისას, მის წინააღმდეგ 2022 წლის 18 აგვისტოს ჩადენილ დანაშაულში ამხელდა მხოლოდ რ. ჩ-ს, ხოლო 2022 წლის 10 აგვისტოს – რ. ჩ-ს და ვ. ბ-ს, შესაბამისად, ვინაიდან სადავოდ გამხდარი ბრალდების შესახებ დადგენილების ფორმულირების მიხედვით, გ. რ-მ დანაშაულის ჩადენაში ცრუ დაასმინა რ. ჩ., რომელსაც აბრალებდა სწორედ 2022 წლის 18 აგვისტოს დანაშაულის ჩადენას და არა – რ. ჩ. და ვ. ბ., რომელთა ერთობლივ დანაშაულზეც მიუთითებდა იგი 2022 წლის 10 აგვისტოს ეპიზოდთან მიმართებით, ცხადია, რომ გ. რ-ს ბრალად შერაცხილი ჰქონდა მხოლოდ 2022 წლის 18 აგვისტოს ფაქტთან დაკავშირებით რ. ჩ-ს ცრუ დასმენა. მით უფრო, როდესაც საქმეში წარმოდგენილია 2022 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ, რომელშიც არაორაზროვნად არის გაცხადებული, რომ გამოძიება დასრულდა და საქმე სასამართლოში წარიმართა 2022 წლის 18 აგვისტოს ეპიზოდთან დაკავშირებით ცრუ დასმენისათვის, ხოლო 2022 წლის 10 აგვისტოს ფაქტზე, დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება გაგრძელდა. ბრალდების შესახებ დადგენილებაში არასდროს ყოფილა მითითებული, რომ გ. რ-ს ბრალი წარდგენილი ჰქონდა 2022 წლის 10 და 18 აგვისტოს ეპიზოდებთან მიმართებით, რ. ჩ. ცრუ დასმენისათვის, რაც 2022 წლის 10 აგვისტოს ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების ცალკე წარმოებად გამოყოფის შემდეგ, გააჩენდა სწორედ ბრალდების ახალი, დაზუსტებული ფორმულირების საჭიროებას.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ გ. რ-ს მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილება ბუნდოვანია, რამეთუ არ იკვეთება, კონკრეტულად რომელ

– 2022 წლის 10 თუ 18 აგვისტოს – მუქარის ფაქტთან დაკავშირებით, ედავებოდა მას ბრალდების მხარე ცრუ დასმენას, უსაფუძვლო და გაუმართლებელია, რამეთუ ბრალდების შესახებ და საქმის ცალკე წარმოებით გამოყოფის შესახებ დადგენილებების ფორმულირებებით ცალსახაა, რომ გ. ჩ-ს ბრალი წარედგინა და საქმე სასამართლოში წარიმართა 2022 წლის 18 აგვისტოს მუქარასთან დაკავშირებით, რ. ჩ-ს ცრუ დასმენის გამო, ხოლო 2022 წლის 10 აგვისტოს ფაქტთან დაკავშირებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, გამოძიება გაგრძელდა.

14. სააპელაციო სასამართლოს მეორე საკვანძო არგუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ 2022 წლის 18 აგვისტოს მუქარასთან დაკავშირებით, უტყუარად ვერ დადგინდა გ. ჩ-ს მიერ რ. ჩ-ს ცრუდ დასმენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფელ ა. მშენებარე სკოლის გარე პერიმეტრის 2022 წლის 18 აგვისტოს ვიდეოჩანაწერები იყო ხარვეზიანი, კერძოდ, ჩანაწერის 11:05 საათზე, კადრში ჩანდა, რომ სკოლასთან მიმავალი გ. ჩ-ს ავტომანქანა მოექცა რ. ჩ-ს მხედველობის არეში, რომელიც წელში გაიმართა და უყურებდა მას, თუმცა ხარვეზის გამო, ჩანაწერში აღარ ისახებოდა რ. ჩ-ს შემდგომი ქმედება და, შესაბამისად, ვერც ის დგინდებოდა უტყუარად, მართლაც ხომ არ იკვეთებოდა ამ ეპიზოდში მისი მუქარის შემცველი ქცევა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი მართალია არ ადასტურებდა რ. ჩ-ს მიერ მუქარის ფაქტს, თუმცა, იმავდროულად, ცალსახად არც გ. ჩ-ს მიერ სამართალდამცავებისათვის მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობას გამორიცხავდა.

15. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მტკიცების კვალდაკვალ, საკასაციო სასამართლო მიმოიხილავს საქმეში წარმოდგენილ, რელევანტურ მტკიცებულებებს და შეაფასებს, რამდენად ქმნის მათი ერთობლიობა უტყუარ და საკმარის საფუძველს გ. ჩ-ს დანაშაულის ჩადენაში ცრუ დასმენისათვის გონივრულ ეჭვს მიღმა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

16. გ. ჩ-ს წარდგენილ ბრალდებაში დანაშაულობა/უდანაშაულობის საკითხის გამოსარკვევად და იმის დასადგენად, დანაშაულის ჩადენაში ცრუდ დაასმინა თუ არა მან რ. ჩ., ცხადია, უპირველესად ყურადსაღებია 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ გ. ჩ-ს შეტყობინებისა და 2022 წლის 19 აგვისტოს გამოკითხვის ოქმის შინაარსი.

17. საქმეში წარმოდგენილი აუდიოჩანაწერის მიხედვით, 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ ოპერატორთან გასაუბრებისას, გ. ჩ. აღნიშნავს:

„ – ასე, 10 აგვისტოს, ღამე, 10 საათზე, მომინწყევს ჩასაფრება რ. ჩ-მ და ვ. ბ-მ. რ. ჩ-მ დამიშინა ქვეები, ვ. ბ. მაგინა, მომაცენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამემუქრა და მთელი ამბები ... ძლივს დავიხსენი თავი და გამოვალწი ამ სიტუაციიდან. ამის შესახებ მე პოლიციას მოვახსენე ... მაგრამ არავითარი რეაგირება. მე მჭირდება დაცვა. გუშინაც ასე, რ. ჩ. გადაკიდებულია ჩემზე. სადაც დამინახავს, მაგინებს, მაყენებს შეურაცხყოფას, საშველს არ მაძლევს. სანამ სისხლისღვრამდე მივა და სანამ იმამდე ... კატასტროფამდე შენი ჭირიმე, თუ შეიძლება, თქვენ მაინც დამეხმარეთ და მიიღეთ საჭირო ზომები იმისათვის, რომ ეს ადამიანი ან ჩამომაშოროთ ან რაღაცა იმასაქნათ.“

...

„ – გამუდმებით... გამუდმებით თავს მესხმის...“

...

„ – ეს ფაქტი გუშინ მოხდა?“

„ – გუშინ კიდეც, ისაა, დამინახა თუ არა რ. ჩ-მ, დამიწყო გინება, ლანძღვა, მუშტების ქნევა და მუქარები. ხოდა გუშინ კიდეც ვიფიქრე, ვიკავებდი თავს, მაგრამ არ შეიძლება თავის შეკავება რა, არ შეიძლება ამაზე... სულ გამუდმებით...“

„ – რითი გემუქრება?“

„ – ქუჩაში ვეღარ უნდა გამოხვიდე!“

„ – რითი გემუქრებიან ბატონო?“

„ – როგორ?“

„ – სიცოცხლის მოსპობით ბატონო, ასე გიზავ და ისე გიზავ, დაგჩეხავთ!“

18. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ გ. ჩ-ს შეტყობინების საფუძველზე, იმავე დღეს, საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ა. რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება, სისხლის სამართლის №. საქმეზე, გ. ჩ-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, ხოლო შეტყობინებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, იმავე დღეს, 17:27-18:41 საათზე, გამოძიების მიერ, მოწმის სახით გამოიკითხა გ. ჩ., რომელმაც 2022 წლის 18 აგვისტოს მომხდართან დაკავშირებით, განმარტა:

19. „გუშინ, მიმდინარე წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით, 14:00 საათზე, როდესაც ჩემი კუთვნილი „ჰიუნდაი-ტუქსონის“ ავტომანქანით მივდიოდი ჩემს სახლში, ჩვენს სოფელში მიმდინარე სკოლის მშენებლობის ობიექტზე, სამშენებლო ტერიტორიაზე დავინახე, მუშაობდა რ. ჩ., რომელმაც დამინახა თუ არა, გაჩერდა, ხმამაღლა დამიწყო გინება,

მუშტების ქნევა და ისევ მუქარა ჩემი სიცოცხლის მოსპობით, კერძოდ, მუშტებს მიღერებდა, დედის მისამართით მაგინებდა და მეუბნებოდა, რომ მოგკლავ, შენი დედაო. მოგახსენებთ, რომ მე აღნიშნული ქმედების დანახვაზე, არ შევაჩერე ავტომანქანა და შეუჩერებლად წავედი სახლში, რის შემდეგაც სახლიდან აღარც ქვეითად და აღარც ავტომობილით აღარ გავსულვარ. მოგახსენებთ, რომ რ. ჩ. 18 აგვისტოს ჩემზე მუქარის დროს იმყოფებოდა მარტო.“

...

„2022 წლის 18 აგვისტოს, როდესაც გზაზე გასვლისას სამშენებლო ობიექტიდან, მუჭების დაქნევითა და ხმამაღალი სიტყვებით მე დამემუქრა მოკვლით რ. ჩ., მიუხედავად იმისა, რაიმე ნივთი არ ეჭირა და არც სროლა უცდია, ამ დროს მისი მუქარა აღვიქვი რეალურად, ვინაიდან იგი გზის ნაპირიდან იქნებოდა, დაახლოებით, 10 მეტრის მანძილზე და ვიფიქრე, რომ თუ შევაჩერებდი ავტომანქანას, იგი ფიზიკურად გამისწორდებოდა და მომაცნებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას.“

20. თავის მხრივ, სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას, რ. ჩ-მ დაადასტურა, რომ გ. ჩ. არის მისი ბიძა და მათ ერთმანეთთან აქვთ ცუდი ურთიერთობა. გ. ჩ. გამოხატავს აგრესიას მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ. 2022 წლის 18 აგვისტოს მუშაობდა სოფელ ა., სკოლის მშენებლობაზე, რა დროსაც, გზაზე კუთვნილი ავტომანქანით გაიარა გ. ჩ.-მ, რომელიც დაინახა, თუმცა ყურადღება არ მიუქცევია. მათ ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. ამ დროს მათ შორის არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. გ. ჩ-ს იგი არასდროს დამუქრებია.

21. საპირისპიროდ, გ. ჩ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს აღნიშნა, რომ 2022 წლის 18 აგვისტოს მანქანით გაიარა მშენებარე სკოლასთან და გზიდან ათ-თხუთმეტ მეტრში დაინახა რ. ჩ., რომელმაც აგრესიულად შეხედა და, ამავდროულად, მისი ტუჩების მოძრაობით მიხვდა, რომ რაღაც დაუძახა. რ. ჩ-ს ჰქონდა აგრესიული გამომეტყველება და მათი კონფლიქტური წარსულის გათვალისწინებით, მისი ქმედება აღიქვა მუქარად. იფიქრა, რომ რ. ჩ. განზრახ იყო ჩასაფრებული. „112-ში“ დარეკა თავის დაცვის მიზნით. ოპერატორს შეატყობინა, როგორც 10, ასევე – 18 აგვისტოს ფაქტზე. ტყუილის თქმა არ უფიქრია, თავის დაცვა უნდოდა, ითხოვდა შველასა და ყურადღებას, რადგან 10 აგვისტოს მომხდარზე გამოძიება არ დაწყებულა. გამოძიებულმა მისი გამოკითხვის ოქმში ჩანერა ინფორმაცია, რომელიც მას არ მიუწოდებია, კერძოდ, 10 აგვისტოს ფაქტთან დაკავშირებით, რაც მოუთხრო, 18 აგვისტოზე მიუთითა, თუმცა საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელი მოაწერა, რადგან გამომძიებელს ენდობოდა.

22. დაპირისპირებული მხარეების ურთიერთგამომრიცხველი მტკიცებების გათვალისწინებით, მეტად საყურადღებოა სასამართლოში და-

კითხულ იმ პირთა ჩვენებები, რომლებიც 2022 წლის 18 აგვისტოს იყენენ დასაქმებულნი სოფელ ა-ს სკოლის მშენებლობაზე, კერძოდ:

23. მოწმე ლ. დ-ს ჩვენებით, 2022 წლის 18 აგვისტოს, რ. ჩ. მუშაობდა ა-ს სკოლის მშენებლობაზე, რომელსაც იგი მეთვალყურეობდა და იმყოფებოდა იმ არეალში, რომელშიც – სხვა მუშები. რ. ჩ., მისგან, დაახლოებით, 12-15 მეტრის დაშორებით, ასრულებდა, როგორც გარე, ასევე – შიდა სამუშაოებს. მშენებლობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, რომლებიც იწერს მხოლოდ ვიზუალურ გამოსახულებას, ხმას – არა. შემთხვევის დღის ჩანაწერებში, რომლებიც მან ნახა, არავის მუქარის ფაქტი არ არის ასახული. მსგავსი არც დაუნახავს და არც გაუგონია. არც სხვა დასაქმებულებისგან სმენია, რომ შემთხვევის დღეს მშენებლობაზე რამე მოხდა.

24. მოწმე მ. ა-ს ჩვენებით, 2022 წლის 18 აგვისტოს რ. ჩ-თან ერთად მუშაობდა ა-ს სკოლის მშენებლობაზე. ამ დღეს გ. ჩ. პირადად არ უნახავს, თუმცა დაინახა, რომ გზაზე მისმა მანქანამ ჩაიარა. ამ დროს რ. ჩ. მისგან იქნებოდა, დაახლოებით, თხუთმეტი-ოცი მეტრის მანძილზე. გზა სამშენებლო ობიექტიდან არის, მაქსიმუმ, ოც მეტრში. შემთხვევის დღეს რ. ჩ-ს მიერ გ. ჩ-ს მიმართ მუქარა არც დაუნახავს და არც გაუგია. არც ყვირილი ყოფილა. ხმაური რომ ყოფილიყო, გაიგებდა.

25. მოწმე მ. ვ-ს ჩვენებით, 2022 წლის 18 აგვისტოს რ. ჩ., მ. ა., გ. ც-სა და ლ. დ-თან ერთად მუშაობდა ა-ს სკოლის მშენებლობაზე. ის და გ. ც. ძირითადად შიდა სამუშაოებს ასრულებდნენ, თუმცა გარეთაც უწევდათ გასვლა. რ. ჩ. ვერ ხედავდა, მხოლოდ მაშინ – თუ გარეთ გადიოდა. შემთხვევის დღეს ობიექტთან ჩავლილი გ. ჩ-ს ავტომანქანა არ დაუნახავს, არც არავის მუქარა გაუგონია და არც ხმამალალი საუბარი. მსგავსი რომ ყოფილიყო, გაიგებდა.

26. მოწმე გ. ც-ს ჩვენებით, 2022 წლის 18 აგვისტოს მუშაობდა სკოლის მშენებლობაზე. თავად, ძირითადად, ასრულებდა შიდა სამუშაოებს. რ. ჩ-ს ხედავდა, როცა კოჭებს აწვდიდა მ. ა-ს. იქნებოდა მისგან, დაახლოებით, თოთხმეტ-თხუთმეტ მეტრში. არც გაუგია და არც დაუნახავს, რ. ჩ-ს, ვინმესთვის ხელით ენიშნოს ან დაეყვიროს რამე. ყვირილი და მუქარა არ ყოფილა. არც უცხო პირი დაუნახავს ვინმე. მის წინ კედელი იყო და გზას ვერ ხედავდა. ჩხუბი ან ხმამალალი საუბარი რომ ყოფილიყო, გაიგებდა. რაიმე შემთხვევის შესახებ არც სხვებისგან სმენია რამე.

27. საქმეზე გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერებში ჩანს ა. რაიონის სოფელ ა-ს მშენებარე სკოლის შენობა, რომლის ჩრდილოეთით, ეზოსთან ახლოს, გადის საავტომობილო, გრუნტოვანი გზა. მშენებლობაზე რ. ჩ. მიდის 2022 წლის 18 აგვისტოს, 09:06:17 საათზე, შემოუვლის შენობას და ეზოს გავლით შედის შენობის კარში, უერთდება სხვა მუშებს და იწყებს მუშაობას, როგორც შენობის შიდა, ასევე – გარე პერიმეტრზე.

09:35:16 საათზე, რ. ჩ. გადის შენობის გარეთ, გზის საპირისპირო მხარეს, ეზოში და მუშაობს, ხოლო 09:36:12 საათზე ბრუნდება შენობაში, საიდანაც საავტომობილო გზა არ ჩანს. ამ დროს, საავტომობილო გზაზე, 09:40:08 საათზე, ჩანს მარჯვნიდან მარცხნივ მოძრავი, მუქი ფერის, მაღალი გამავლობის ავტომანქანა – „ჰიუნდაი-ტუქსონი“, რომელსაც სახურავზე აქვს ბარგის დასამაგრებელი ორი კონსტრუქცია. ავტომანქანა შეუჩერებლად მოძრაობს და ისე სცდება სამშენებლო ტერიტორიას, რ. ჩ-ს, რომელიც შენობის შიგნითაა, რაიმე სახის კონტაქტი არ აქვს. 10:22:21 საათზე რ. ჩ. კვლავ შედის შენობაში და პერიოდულად ჩანს, როგორ მუშაობს შიდა სივრცეში. ამ დროს, საავტომობილო გზაზე მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობს იგივე „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც შეუჩერებლად გაივლის და 10:26:44 საათზე ეფარება თვალს. რ. ჩ-ს ადგილსამყოფელის გათვალისწინებით, მათ შორის რაიმე სახის კონტაქტი კვლავ შეუძლებელია. 10:56:27 საათზე რ. ჩ. ისევ შედის მშენებარე ობიექტის კარში და ეზოდან ეზიდება სამშენებლო ინვენტარს. ამ დროს, 10:57:00 საათზე, გზაზე ჩნდება მარჯვნიდან მარცხნივ მომავალი, იგივე „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც შეუჩერებლად აგრძელებს გზას და 10:57:07 საათზე ტოვებს ტერიტორიას, ისე რომ, დროის ამ მონაკვეთში, რ. ჩ. შენობიდან არ გამოსულა. 11:02:00 საათზე რ. ჩ. მიდის მშენებარე ობიექტის ჩრდილოეთის ანუ საავტომობილო გზის მოსაზღვრე ეზოში და იწყებს ხის მასალების მეორე სართულზე შეწყობას. 11:05:49 საათზე გზაზე ჩნდება მარცხნიდან მარჯვნივ მომავალი იგივე „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომანქანა, რომლის გამოჩენისას, რ. ჩ-ს ხელში უკავია მობრდილი ხის კოჭა, რომელიც მიაქვს შენობის შუა ნაწილისაკენ და დებს, ისე, რომ გზისკენ არის ზურგით, გადააბიჯებს, იხრება და ხელებით ასწორებს, ისე, რომ გზისკენ არ ბრუნდება. ავტომანქანა აგრძელებს მოძრაობას და 11:05:55 საათზე სცდება სამშენებლო ობიექტს, რადროსაც რ. ჩ. ჯერ კიდევ კოჭებს ასწორებს. რაიმე ჟესტიკულაცია ან მუშტების მოღერება, ამ დროს, კადრში არ ჩანს. 11:17:52 საათზე რ. ჩ. შენობის კარიდან გამოდის, ეზოში იღებს სამშენებლო ინვენტარს და 11:18:19 საათზე ბრუნდება შენობაში. 11:18:46 საათზე გზაზე, მარჯვნიდან მარცხნივ, ისევ შეუჩერებლად მოძრაობს იგივე, „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც 11:18:54 საათზე შეუჩერებლად ტოვებს ტერიტორიას. 12:20:44 საათზე იგივე, „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომანქანა, გზაზე მოძრაობს მარცხნიდან მარჯვნივ და 12:20:51 საათზე სცდება მშენებლობის ტერიტორიას. ამ დროს, რ. ჩ. ისევ შენობის შიდა სივრცეში მუშაობს. გზის მიმდებარედ, ეზოში იმყოფება მხოლოდ ლ. დ.. 12:27:25 საათზე, გზაზე ისევ ჩნდება მარჯვნიდან მარცხნივ მოძრავი, იგივე „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომან-

ქანა, რომელიც 12:27:32 საათზე ტოვებს ტერიტორიას. ამ დროს ეზოში ისევ მხოლოდ ლ. დ-აა, ხოლო რ. ჩ. ისევ შენობის შიდა სივრცეში მუშაობს და ავტომანქანასთან ვერანაირი კონტაქტი ვერ ექნება. იგივე „ჰიუნდაი-ტუქსონის“ მარკის ავტომანქანა, შემთხვევის დღეს, ბოლოჯერ, 15:41:58 საათზე გამოჩნდა გზაზე, მარცხნიდან მარჯვნივ და ისევ შეუჩერებლად დატოვა იქაურობა 15:42:08 საათზე, რა დროსაც რ. ჩ. ისევ შენობის საპირისპირო მხარესაა და სამშენებლო მასალებს ეზიდება შენობის შიდა სივრცეში. მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ისევ შეუძლებელია ავტომანქანასთან მისი რაიმე სახის კონტაქტი.

28. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულ ვიდეოჩანაწერთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: „საქმის არსებითად განხილვის დროს, 2023 წლის 13 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, გამოკვლეულ იქნა ზემოაღნიშნული დისკები სოფელ ა-ს მიმდინარე სკოლის სარემონტო სამუშაოების ვიდეოჩანაწერით. მე-4 დისკზე არსებულ № ფაილის ჩანაწერზე, 11:05:51 წუთზე ჩნდება გ. ჩ-ს ავტომობილი, რომელიც ნელი სვლით ჩაივლის. ამ მომენტში რ. ჩ-ს მიაქვს ფიცრის ნაჭერი, აგდებს ძირს და თვალს აყოლებს გ. ჩ-ს ავტომანქანას. შემდეგ სწორდება და მისი სახე, ხელები და შესაძლო ჟეკსტიკულაცია, კადრის ხარვეზის გამო აღარ ჩანს“, რაც ფაქტობრივად დაუდო კიდეც საფუძვლად ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ გ. ჩ-ს წარდგენილ ბრალდებაში – დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენაში – უდანაშაულოდ ცნობას, რამეთუ მიიჩნია, რომ გამოკვლეული ვიდეოჩანაწერის 11:05:51 საათზე არსებული ხარვეზის გამო, უტყუარად ვერ დგინდებოდა, დროის ამ მონაკვეთში, იკვეთებოდა თუ არა რ. ჩ-ს მუქარის შემცველი ქცევა და, შესაბამისად, უტყუარად ვერ დასტურდებოდა გ. ჩ-ს მიერ რ. ჩ-ს დანაშაულის – სიცოცხლის მოსპობის მუქარის – ჩადენაში ცრუდ დასმენა, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ გ. ჩ-მ 2022 წლის 19 აგვისტოს გამოკითხვისას, ცალსახად მიუთითა, რომ 2022 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით, 14:00 საათზე, კუთვნილი „ჰიუნდაი-ტუქსონის“ ავტომანქანით სახლში მიმავალს, სამშენებლო ტერიტორიაზე მყოფმა რ. ჩ-მ ხმამაღლა დაუწყო გინება, მუშტების ქნევა და სიცოცხლის მოსპობის მუქარა. მნიშვნელოვანია, რომ გ. ჩ. მიერ, გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნულის დანახვაზე, იგი ავტომანქანის შეუჩერებლად წავიდა სახლში, რის შემდეგაც სახლიდან არც ფეხით და არც ავტომანქანით გარეთ აღარ გასულა. ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ შემთხვევის ადგილიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერით, რომელსაც ამ სამხილის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეფასების დროს, უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვს, უტყუარად დასტურდება, რომ 11:05:51 საათის შემდეგ, გ. ჩ-მ კუთვნი-

ლი ავტომანქანით კიდეც 4-ჯერ გაიარა სოფელ ა-ს მშენებარე სკოლასთან, კერძოდ, 11:18:46-11:18:54, 12:20:44-12:20:51, 12:27:25-12:27:32 და 15:41:58-15:42:08 საათებზე და, ამდენად, სავარაუდოდ, სწორედ ბოლო – 15:41:58-15:42:08 საათის – ეპიზოდთან მიმართებით, აბრალებდა იგი რ. ჩ-ს მის მიმართ დანაშაულის ჩადენას, რამეთუ მისივე მტკიცებით, მას შემდეგ, რაც მშენებლობაზე მყოფი რ. ჩ. სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, სახლში წავიდა და იქიდან არც ფეხით და არც ავტომანქანით აღარსად წასულა. 15:41:58-15:42:08 საათზე კი, როდესაც გ. ჩ-მ ავტომანქანით ბოლოჯერ ჩაიარა მშენებლობასთან, დადგენილია, რომ რ. ჩ. იყო შენობის საპირისპირო მხარეს, რა დროსაც მისი და გ. ჩ-ს განლაგების გათვალისწინებით, შეუძლებელია მათ რაიმე სახის კონტაქტი ჰქონოდათ ერთმანეთთან.

29. ამდენად, იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია, რომ 2022 წლის 19 აგვისტოს შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინებისა და 2022 წლის 19 აგვისტოს გამოკითხვისას, გ. ჩ-მ დანაშაულის ჩადენაში – სიცოცხლის მოსპობის მუქარაში – ამხილა რ. ჩ., კერძოდ, დაადანაშაულა, რომ 2022 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით, 14:00 საათზე, სამშენებლო ობიექტზე მყოფმა, მოუღერა მუშტები და ხმამაღლა დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით; ამავდროულად, დადასტურებულია, რომ გარდა რ. ჩ-სი, რომელმაც კატეგორიულად უარყო გ. ჩ-ს მიმართ მუქარის ფაქტი, მშენებარე ობიექტზე დასაქმებულმა უკლებლივ ყველა პირმა, რომელიც სადავო დროს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა შემთხვევის დღეს, სამშენებლო ობიექტზე, ყვირილისა და მუქარის ფაქტი, მაშინ, როდესაც გ. ჩ-ს თქმით, რ. ჩ. ხმამაღლა აგინებდა და ემუქრებოდა მას; და ამავდროულად, შემთხვევის ადგილიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანანერი ცხადყოფს, რომ გ. ჩ-ს მიერ მითითებულ დროის მონაკვეთში, მასა და რ. ჩ-ს შორის ფიზიკური კონტაქტი საერთოდ შეუძლებელი იყო – საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. ჩ-მ დანაშაულის – სიცოცხლის მოსპობის მუქარაში – ცრუდასმინა რ. ჩ. და, შესაბამისად, მის ქმედებაში გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მსჯავრი ედება გ. ჩ-ს ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ან ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

31. სასჯელთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სის-

ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

32. ამავედროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: სასჯელთან დაკავშირებული კონსტიტუციური შეზღუდვის არსი არის პროპორციული სასჯელის დაკისრება მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავეს ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის), დამნაშავეს პერსონალური მახასიათებლები და საქმის კონკრეტული გარემოებები იმისთვის, რათა განისაზღვროს, როგორი სასჯელი იქნება შესაბამისი პირის რეაბილიტაციისა და საზოგადოების დაცვისთვის ამ კონკრეტული დამნაშავეს შეკავების გზით. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეასრულებს სასჯელი თავის მიზნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-97). სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისებრივად და არსებითად გასცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს

ხელს ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ, ვერ შეუწყობს ხელს ვერც სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებას და ვერც საზოგადოების წევრების ჰარმონიულ თანაარსებობას, შედეგად, ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

33. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო აფასებს, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსაგვალდებულო გარემოებებს, ასევე – მსჯავრდებულის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელი გარემოებებს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ გ. ჩ.-ს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 240 საათით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 აპრილის კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 200 საათით, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით

და ა დ გ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ გელა მაღრაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი;

3. გ. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 240 საათით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 აპრილის კანონის

მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 200 საათით;

4. გაუქმდეს გ. ჩ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – და მოიხსნას აღკვეთის ღონისძიების უზრუნველსაყოფად, გ. ჩ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მდებარე:) დადებული ყადაღა;

5. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახის განსაზღვრა და სასჯელის აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს.

6. საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები – დისკები – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს
სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ელი ნაწილით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 169აპ-25

14 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის – ალექსანდრე კოდუას – საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. გ. ქ-ა ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა, ესე იგი, თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2022 წლის 21 ნოემბერს, დაახლოებით 07:30 საათზე, ფ-ში მდებარე კაპიტალური შენობის უკანა მხარეს არსებულ საცხოვრებელ ოთახში, გ. ქ-ა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დანის გამოყენებით თავს დაესხა ა-ს და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით წაართვა 104 ლარის ოდენობის თანხა და 160 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი, ასევე, დანის გამოყენებით მუცლის მიდამოში ნაკანრი ქრილობა მიაყენა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 მაისის განაჩენით, გ. ქ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ერთმანეთთან შეთანხმებული საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა გ. ქ-ას მიერ ბრალდწარდგენილი დანაშაულის ჩადენას.

2.2. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილემ – ალექსანდრე კოდუამ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გ. ქ-ას დამნაშავედ ცნობა წარდგენილ ბრალდებაში.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 დეკემბრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილემ – ალექსანდრე კოდუამ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა გ. ქ-ას დამნაშავედ ცნობა წარდგენილ ბრალდებაში და მისთვის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენი უკანონოა, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას, კერძოდ: დაზარალებულის ჩვენება სხეულზე არსე-

ბულ დაზიანებასთან მიმართებით, თანხვდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას; დაზარალებულის გამოკითხვის ოქმსა და სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობა არ იკვეთება; დაზარალებულმა ამოიცნო ბრალდებული და დაასახელა დანაშაულის საგნის – დანის – ვიზუალური მახასიათებლები, მათ შორის, ფერი და ინგლისურენოვანი წარწერა – „კ-ა“. სამართალდამცავებმა სწორედ ასეთი აღწერილობის დანა ამოიღეს გ. ქ-ას ბინის ჩხრეკის შედეგად; დაზარალებულმა საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები მიიყვანა ბრალდებულის სახლთან, რომლის მისამართიც ვერ ეცოდინებოდა, დანაშაულის დღეს იქ რომ არ ყოფილიყო; წარმოდგენილი მტკიცებულებებით ბრალდებულის ცრუ მხილების მოტივი არ იკვეთება.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, გააანალიზა ბრალდების მხარის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. მოწმე ხ-ას ჩვენებით დგინდება, რომ მუშაობდა ფოთის საქალაქო სამმართველოში დეტექტივის თანაშემწე გამომძიებლად. 2022 წლის 21 ნოემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მიიღო შეტყობინება ა-ის დანით დაყაჩაღების შესახებ, რის საფუძველზეც, დაიწყო გამოძიება და გამოიკითხა ა-ი, რომელმაც მასთან საუბარში განაცხადა, რომ ჰქონდა ნაკანრი ჭრილობა მუცელზე, მარცხენა მხარეს, რომელიც მიაყენა გ. ქ-ამ. მოწმის განმარტებით, ა-ი იყო აღელვებული.

5.3. სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დაზარალებულმა ა-მა განმარტა, რომ 2022 წლის 21 ნოემბერს, დილით იმყოფებოდა ფ-ში (წინა დღეს ფ-ში სტუმრად ჩასული აპირებდა თ-ში დაბრუნებას, თუმცა ტრანსპორტისთვის უწევდა საღამომდე ლოდინი), რა დროსაც მიუახლოვდა უცნობი მამაკაცი, გაეცნო გ. ქ-ას სახელით (თავდაპირველად უთხრა მხოლოდ სახელი, ხოლო შემდეგ, ჩამოართვა ხელი და უთხრა გვარიც) და დაპატიჟა სახლში. იგი დათანხმდა და რამდენიმე საათით ესტუმრა. წასვლა რომ დააპირა, გ-ი გაღიზიანდა, შეიგინა, საწოლის მხრიდან გამოიღო დანა, რომელიც მიაღო უკან. როგორც აღიქვა, თავდამსხმელმა მეგრულად უთხრა „გაგიყრიო“, პარალელურად უკანა ჯიბიდან ამოუღო საფულე, რომელშიც ედო ორი ცალი 50 ლარიანი, ორლარიანი და ხურდა ფული. ამ ფაქტმა ააფორიაქა, გავიდა სახლიდან, რა დროსაც გ-იმ ესროლა საფულე და უთხრა არავისთვის ეთქვა მომხდარის შესახებ. გარეთ გასვლისას იგრძნო სისველე. ანერვიულებულმა გაიხადა დაგ-

ლეჯილი და სისხლიანი მაისური, რომელიც გადაადგო ურნაში. ამის შემდეგ გადავიდა ბაზრის მხარეს და მომხდარის შესახებ მოუყვა პოლიციის თანამშრომელს, რომელმაც სატელეფონო ზარის მეშვეობით დააფიქსირა დანაშაულის შესახებ ინფორმაცია. შემდეგ წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. მოგვიანებით გაიგო, რომ თავდამსხმელ გ. ქ-ას ზედმეტსახელად „ყ-ს“ ეძახდნენ. დაზარალებულმა მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებებში, მათ შორის, საგამოძიებო ექსპერიმენტსა და ფოტოსურათით ამოცნობაში. მანვე განმარტა, რომ გ. ქ-ას ხელზე არ ჰქონდა თითი, რაც გამოკითხვის დროსაც დააფიქსირა. მას ბრალდებულთან პრეტენზია არ აქვს.

5.4. სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაზარალებულმა დაადასტურა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში საქართველოს სსსკ-ის) 243-ე მუხლის თანახმად გამოქვეყნებული მისი გამოკითხვის ოქმის ნაწილი: „... თან პარალელურად მეუბნებოდა არ გაინძრე, თორემ ყელს გამოგჭრიო და დანას მიტრიალებდა სახის წინ. ასევე მარჯვენა ჯიბიდან ამომაცალა საფულე, საიდანაც ამოიღო ჩემი კუთვნილი თანხა ასოთხი ლარის ოდენობით, ხოლო საფულე დაადგო იქვე იატაკზე. ამის შემდეგ დანა დამისვა მუცლის მიდამოში მარცხენა მხარეს...“ მოწმემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ გ. ქ-ამ დანა დაუსვა უკანა მხარეს. დანა იყო შავტარიანი, როგორც ახსოვს, ინგლისურად ეწერა „კ-ა“.

5.5. ბრალდებულის დაკავების ოქმით დასტურდება, რომ 2022 წლის 21 ნოემბერს დააკავეს გ. ქ-ა. დაკავებულს არ ჰქონდა არაფერი. ამასთან, ვიზუალური დათვალიერებით, მარცხენა ხელის საჩვენებელ და შუა თითზე აღენიშნებოდა დაზიანება.

5.6. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის თანახმად, ფ-ში მდებარე გ. ქ-ას საცხოვრებელი სახლის საძინებელი ოთახის სანოლიდან ამოიღეს შავი დანა ნაჭრის ქარქაშით, რომელსაც მარცხენა მხარეს, მჭრელ პირთან აქვს წარწერა – „კ-ა“, ამერიკის დროშის გამოსახულებით წარწერა – „USA“, ხოლო შავ სახელურთან ახლოს აწერია – „...“. აღნიშნულ ოთახში სანოლის გვერდით არსებულ ხის თაროდან ამოიღეს რვა სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის დანა. ამოღებული ნივთები დაილუქა კანონით დადგენილი წესით.

5.7. მოწმეებმა – დ..., ი-მ, თ...მ და გ. ლ-მ – სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურეს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და მის საფუძველზე შედგენილი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის სისწორე.

5.8. ექსპერტმა – შ-ემ – მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა მის მიერ შედგენილი სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის სისწორე, რომლის თანახმად, 2022 წლის 22 ნოემბერს, 14:47-14:55 საათზე,

პირადი შემომწმებისას ა-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები ნაკანრისა და ნაჭდევის სახით (აღწერილობა და ზუსტი ლოკალიზაცია: გულმკერდის მარცხენა გვერდითა ზედაპირზე შუა და ქვედა მესამედებში აღენიშნება დასწვრივ-ირიბად მდებარე, ხაზოვანი ფორმის, მოწითალო, მშრალი, მიმდებარე კანის თითქმის დონეზე მდებარე ზედაპირით ნაკანრი ზომით: 14,2X0,2სმ. მარჯვენა მუხლის სახსრის გარეთა ზედაპირზე აღენიშნება უსწორო ფორმის ნაჭდევი ზომით: 2,2X2,0 სმ – დაფარული მოყავისფრო-მორუხო, სქელი, მშრალი, მიმდებარე კანის დონიდან მაღლამდებარე, კიდეებზე აცლილი ფუფხით – აცლილ მიდამოებში, ზედაპირი მოვარდისფრო, პრიალა). დაზიანება ნაკანრის სახით განვითარებული უნდა იყოს რაიმე მახვილი საგნის წვერით, ლესილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი-ბლავგი საგნის შემხები ზემოქმედების შედეგად, ხოლო დაზიანება ნაჭდევის სახით განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლავგი საგნის ზემოქმედების შედეგად, ცალ-ცალკე და ერთად აღებულნი, მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანება ნაკანრის სახით ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს, ხოლო დაზიანება ნაჭდევის სახით – ხანდაზმულობით არ შეესაბამება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

5.9. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დგინდება, რომ ა-ის მითითებით, საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები შსს ფოთის საქალაქო სამმართველოდან გავიდნენ ფ. ქუჩაზე მდებარე ავტოსადგურის ტერიტორიაზე, სადაც ა-ის განმარტებით, 2022 წლის 21 ნოემბერს, ქვეითად მყოფმა გაიცნო გ. ქ-ა, რომელმაც შეიპატიჟა თავის საცხოვრებელ სახლში. ა-მა დაახლოებით 07:30 საათზე დააპირა ნასვლა, რა დროსაც გ. ქ-ა გახდა აგრესიული და არაადეკვატური, დაუწყო მას ხმამაღლა საუბარი, იქვე ოთახში სანოლიდან გამოიტანა შავი დანა შავი სახელურით, რომელსაც ზედა მხარე ჰქონდა ხერხისებრი. გ. ქ-ამ უთხრა: „ჩქარა ფული მომეცი, თორემ მოგკლავ!“ ამ დროს ა-ს ძალიან შეეშინდა და შეეცადა გაქცევას, თუმცა თავდამსხმელმა ამ დროს დანის მიშვერით ჯიბიდან ამოაცალა „აიფონ 6“ მოდელის მობილური ტელეფონი. ამასთან, გ. ქ-ა ემუქრებოდა: „არ გაინძრე, თორემ ყელს გამოგჭრი!“ და დანას უტრიალებდა თვალწინ. ამ დროს გ. ქ-ამ მას მარჯვენა ჯიბიდან ამოაცალა საფულე, საიდანაც ამოიღო თანხა – ასოთხი ლარი, საფულე დააგდო იქვე იატაკზე და დანა დაუსვა მას მუცლის მიდამოში მარცხენა მხარეს, რის შედეგადაც მიიღო ნაკანრი ჭრილობა. მან აიღო იქვე იატაკზე დაგდებული კუთვნილი საფულე და გაიქცა.

5.10. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის სისწორე დაადასტურეს სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა – ი-მა და გ-ი ფ-მ.

5.11. ამოღების ოქმის თანახმად, გამომძიებელ ი-ს მიერ ფ-ში მდებარე შსს ფ-ს საქალაქო სამმართველოში ა-ისგან ამოღებულ იქნა მის მიერ წარმოდგენილი ყავისფერი საფულე, წარწერით „WOODLAND“.

5.12. გ. ქ-ამ უარი განაცხადა ამოცნობაზე, რის გამოც, დაზარალებულთან ჩატარდა ფოტოსურათით ამოცნობა. აღნიშნული საგამომძიებო მოქმედების ოქმის თანახმად, 2021 წლის 21 ნოემბერს დაზარალებულმა – ა-მა – მისთვის წარდგენილი ოთხი ფოტოდან ამოიცნო გ. ქ-ას ფოტო და აღნიშნა, რომ აღნიშნულმა პირმა დანის გამოყენებით წაართვა ფულადი თანხა, ტელეფონი და მიაყენა ნაკანრი ჭრილობა მუცლის მიდამოში მარცხენა მხარეს, რის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი. ა-მა გ. ქ-ა ამოიცნო სახის მოყვანილობით, მოგრძო პირისახით, თეთრი სახის კანით, ჭალარა სწორი თმებით, ცხვირით, წარბების მოყვანილობით და ჭალარა წვერებით.

5.13. გამომძიებელ ი-იას ჩვენებით დგინდება, რომ მოქალაქე ა-ის შეტყობინების საფუძველზე, დაიწყო გამოძიება და ჩაატარა ძირითადი საგამომძიებო მოქმედებები, მათ შორის, გამოკითხა და დაზარალებულად ცნო ა-ი, რომელსაც მუცელთან ახლოს, მარცხენა გვერდითა მხარეს ჰქონდა ნაკანრი. გამოკითხვისას დაზარალებულმა ისაუბრა მის მიმართ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, თუმცა ვერ მიუთითა, სად გადაადგო სისხლიანი ტანისამოსი.

5.14. მოწმეებმა – ხ-ემ – დაადასტურეს მათი მონაწილეობით შედგენილი საგამომძიებო/საპროცესო მოქმედების ამსახველი ოქმების სისწორე.

5.15. ბრალდებულმა გ. ქ-ამ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. საქმის არსებითი განხილვისას მას არ უსარგებლია ჩვენების მიცემის უფლებით.

5.16. ექსპერტებმა – ა-ემ, ვ-ანმა და მ-ემ – მოწმის სახით დაკითხვისას, დაადასტურეს სასამართლო-ფსიქიატრიული-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნის სისწორე, რომლის თანახმად, გ. ქ-ა დაავადებულია შიზოტიპური აშლილობით (კოდი – №21; დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით) ბრალად შეარაცხილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს მას აღენიშნებოდა შიზოტიპური აშლილობა და მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). თავისი ფსიქიკური მდგომარეობით მას შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას, მისცეს ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებო და სასამართლო მოქმედებებში. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით მას აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით მას შეუძლია წარსდგეს

მართლმსაჯულების წინაშე და პასუხი აგოს ბრალდშერაცხილი ქმედებისათვის. მას აქვს ფსიქიკური ნაკლი, რაც არ გამოორიცხავს შეზღუდულ შერაცხადობას. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, იგი იძულებით მკურნალობას და არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას არ საჭიროებს.

5.17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, დაზარალებულ ა-ის მიკერძოება ან გ. ქ-ასადმი ნეგატიური სუბიექტური დამოკიდებულება არ დადასტურებულა. სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემისას დაზარალებულმა მკაფიოდ განაცხადა ბრალდებულის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ. მეტიც, ჩვენების მისაცემად იძულებით, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებების საფუძველზე, მიიყვანეს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კი გამოირიცხება ბრალდებულის ცრუ მხილების მოტივის არსებობა.

5.18. დაზარალებულმა ჩვენების მიცემისას საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად ისაუბრა 2022 წლის 21 ნოემბერს განვითარებული მოვლენების ირგვლივ, კერძოდ, განმარტა, როგორ გაიცნო გ. ქ-ა, როგორ აღმოჩნდა მასთან სახლში სტუმრად და როგორ გახდა მისი თავდასხმის მსხვერპლი. გ. ქ-ა მას იმ მომენტში დაესხა თავს, როდესაც მისი სახლიდან წასვლა დააპირა. დანის დემონსტრირებით სიტყვიერი მუქარის პარალელურად, ბრალდებულმა უკანა ჯიბიდან ამოუღო საფულე, რომელშიც ედო ორი ცალი 50-ლარიანი, ორლარიანი და ხურდა ფული. მოწმემ დადასტურებით განაცხადა, რომ გ. ქ-ამ მას დანა უკან მიადო, თუმცა ფიზიკური დაზიანება მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც გარეთ გასულმა იგრძნო სისველე. ბინის დატოვებამდე, გ. ქ-ამ ესროლა ცარიელი საფულე და უთხრა, არავისთვის ეთქვა მომხდარის შესახებ. მიუხედავად მუქარისა, დაზარალებულმა აღნიშნულის თაობაზე განაცხადა შემთხვევით შემხვედრ პოლიციელთან, შემდეგ კი – საგამოძიებო ორგანოში, გამოკითხვისას.

5.19. საგულისხმოა, რომ იმავე დღეს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ფარგლებში, გამომძიებლები ა-ის მითითებით გავიდნენ ფ... ქუჩაზე მდებარე ავტოსადგურის ტერიტორიაზე, სადაც დაზარალებულმა გაიცნო გ. ქ-ა, ხოლო შემდეგ – დანაშაულის ჩადენის ადგილზე (გ. ქ-ას საცხოვრებელი სახლში), სადაც ა-მა აღწერა შემთხვევის დღეს მომხდარი თავდასხმის პროცესი და, შედეგად, მის კუთვნილ ნივთთა დაუფლების ფაქტი.

5.20. სასამართლოში ჩვენების მიცემისას, დაზარალებულ ა-ის მიერ, დანაშაულის საგნის – დანის – მკვეთრი ვიზუალური მახასიათებლების დასახელების კვალდაკვალ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, იმავე მახასიათებლების მქონე დანის ამოღე-

ბაც მრავლისმეტყველია. პირადი დაინტერესების არარსებობის პირობებში, დაზარალებულის მიერ ზედმინევნით აღწერილი დანაშაულის საგნის ბრალდებულის სახლში, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში აღმოჩენა, დაზარალებულის ჩვენებას მეტად სარწმუნოს ხდის. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დაზარალებული პირველი შესაძლებლობისთანავე მომხდარის შესახებ ატყობინებს შემთხვევით შემხვედრ პოლიციის თანამშრომელს, რომლის რეაგირების შედეგად იწყება მომხდარ ფაქტზე გამოძიება.

5.21. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამოცნობის ოქმის გაუზიარებლობის ნაწილში, რამეთუ უგულებელყოფილია საქართველოს სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-5 ნაწილის კანონისმიერი დანაწესი (ბრალდებულს ამოსაცნობი პირებისგან წვერი განასხვავებს). მიუხედავად აღნიშნული მტკიცებულების გაუზიარებლობისა, სასამართლო ითვალისწინებს ჩვენების მიცემისას დაზარალებულის განმარტებას ბრალდებულის ვიზუალურ მახასიათებელთან, კერძოდ, ხელზე თითის არქონასთან დაკავშირებით, რაზეც ა-ი გამოძიების ეტაპზე, გამოკითხვის დროსაც უთითებდა. დაზარალებულის ჩვენება და გამოკითხვის ოქმი სრულად შეესაბამება გ. ქ-ას დაკავების ოქმში დაფიქსირებულ ინფორმაციას ბრალდებულის ხელზე თითის არქონის შესახებ.

5.22. აღნიშნული მტკიცებულებების ფონზე, სასამართლო სარწმუნოდ და დამაჯერებლად მიიჩნევს დაზარალებულ ა-ის ჩვენებას და არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დაზარალებულის ჩვენების საექვოდ და არასანდოდ შეფასების ნაწილში. ქვემდგომი სასამართლოს განმარტებით, ა-ის ჩვენებასა და გამოკითხვის ოქმში პირველი წინააღმდეგობა გ. ქ-ას გაცნობის მომენტის აღწერაში ვლინდება (დაზარალებული ჩვენების მიცემისას აცხადებდა, რომ თავდამსხმელის გვარი მოგვიანებით გაიგო, ხოლო გამოკითხვისას უთითებდა, რომ დამნაშავე თავიდანვე გაეცნო გ. ქ-ად). საკასაციო სასამართლომ შეისწავლა ა-ის ჩვენება, რომელშიც, პროკურორის დამაზუსტებელ შეკითხვაზე, ის პასუხობს, რომ უცნობმა მამაკაცმა გაცნობისას, თავდაპირველად უთხრა მხოლოდ სახელი, ხოლო შემდეგ, ჩამოართვა ხელი და უთხრა გვარიც. ამგვარი მოცემულობის პირობებში, დაზარალებულის ჩვენება არათუ ეწინააღმდეგება, არამედ თანხვედბა მისსავე გამოკითხვის ოქმს.

5.23. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაზარალებულის ჩვენების გამოკითხვის ოქმთან წინააღმდეგობა თავდამსხმელის მიერ დანით მიყენებული დაზიანების მდებარეობასთან მიმართებითაც იკვეთება. გამოკითხვისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმების თანახმად, ა-ს დაზიანება ჰქონდა მუცლის მიდამოში, მარცხენა მხარეს, ხოლო ჩვენების მიხედვით – ზურგზე.

5.24. მოისმინა რა სასამართლოში მიცემული ჩვენება, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რადგან ოქმში არ არის ნახსენები ზურგის მიდამო. ნაცვლად ამისა, დაზარალებული დანით მიყენებული დაზიანების ლოკალიზაციასთან მიმართებით აცხადებს, რომ ნაკანრი ჰქონდა უკანა მხარეს. სასამართლოს შეფასებით, ადამიანის სხეულის ზედა ნაწილის „უკანა მხარე“ ერთი მხრივ, მოიაზრებს ზურგის მიდამოს და, მეორე მხრივ, შესაძლოა, ცალკეული ადამიანებისთვის (რამდენადაც ისინი ინდივიდები არიან, რომლებიც თავისებურად, სხვებისგან განსხვავებულად აღიქვამენ და გადმოსცემენ ცალკეულ ფაქტებს) ასოცირდებოდეს სხეულის გვერდითა ნაწილის სიახლოვესთან.

5.25. დანაშაულის შედეგად ა-ისთვის მიყენებული დაზიანების ზუსტი ლოკალიზაციის დასადგენად სასამართლო ხელმძღვანელობს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით, რომელშიც მითითებულია, რომ დაზარალებულს ნაკანრი ჰქონდა გულმკერდის მარცხენა გვერდითა ზედაპირზე შუა და ქვედა მესამედებში. ამ მოცემულობისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაზიანების მიყენების ადგილად დაკითხვისას დაზარალებულმა სიტყვიერად მიუთითა არა ზურგი, როგორც ეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მოხსენიებული, არამედ – მხოლოდ „უკანა მხარე“ (როგორც აღინიშნა, სხეულის უკანა ნაწილზე მითითება ინდივიდუალური აღქმისა და, მაშასადამე, სუბიექტური შეფასების საკითხია), საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და დაზარალებულის ჩვენებას შორის, დაზიანების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით არსებითი წინააღმდეგობა არ იკვეთება.

5.26. გარდა დაზიანების ლოკალიზაციისა, დაზარალებულის ჩვენება სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნას თანხვდება დანაშაულის იარაღად გამოყენებული საგნისა და ხანდაზმულობის ნაწილშიც. დაზარალებულის ჩვენებით, გ. ქ-ა 2022 წლის 21 ნოემბერს დაესხა თავს დანით. ექსპერტიზის დასკვნით კი, დაზიანება ნაკანრის სახით განვითარებულია რაიმე მახვილი საგნის წვერით, ლესილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი-ბლავგი საგნის შემხები ზემოქმედების შედეგად და არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

5.27. ამდენად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ 2022 წლის 21 ნოემბერს, დილით, ფ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, გ. ქ-ა დანის გამოყენებით თავს დაესხა ა-ს და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით წაართვა ფულადი თანხა.

5.28. მართალია, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებუ-

ლია, რომ გ. ქ-ა თავდასხმისას ფულთან ერთად ა-ის მობილურ ტელეფონსაც დაეუფლა, თუმცა ბრალდების ეს ნაწილი სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურებულა (მობილური ტელეფონის დაუფლება მხოლოდ საგამოძიებო ექსპერიმენტისა და დაზარალებულის გამოკითხვის ოქმებშია ნახსენები, დაზარალებულს კი ჩვენების მიცემისას ამ საკითხზე არ უსაუბრია).

5.29. სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით დასჯადია ყაჩაღობა, ესე იგი, თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. აღნიშნული დანაშაული გამოიხატება, როგორც ქონების ხელყოფაში, ისე – თვით ამ ხელყოფის ხასიათში (თავდასხმასა და ისეთი ძალადობის გამოყენებაში, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარაში). ყაჩაღობის დროს ძალადობის მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი და რეალური. მისი გამოვლენის ფორმას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. იგი შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად ან სხვაგვარი მოქმედებით. ყაჩაღობის დროს დაზარალებული დარწმუნებული უნდა იყოს ან საფუძვლიანი ეჭვი უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ეს მუქარა რეალიზებული იქნება, თუ იგი ქონების გადაცემის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მოახერხა თუ არა თავდამსხმელმა ამ შესაძლებლობის რეალიზება.

5.30. საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ მართლსაწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები არ გამოვლენილა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ქ-ას ქმედებაში აშკარად იკვეთება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები, რის გამოც, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და, მის ნაცვლად, უნდა დადგინდეს გამამტყუნებელ განაჩენი.

5.31. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლე-

ბად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). მართლმსაჯულება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის №1/7/851 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

5.32. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

5.33. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელად უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით.

5.34. სასამართლო გ. ქ.-ასთვის სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ზოგადსავალდებულო გარემოებებს, მათ შორის, ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს გ. ქ.-ას შეზღუდულ შერაცხადობას, როგორც ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებას და მიიჩნევს, რომ მას სასჯელად უნდა დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა მინიმალური ვადით. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დანიშნული სასჯელი იქნება, გ. ქ.-ას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შესაბამისი, რეალური და პროპორციული საშუალება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების და დამნაშავის რესოციალიზაციის მისაღწევად.

5.35. სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“, საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის იმპერატიული

დათქმის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის – ალექსანდრე კოდუას – საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 დეკემბრის განაჩენი;

3. გ. ქ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

4. გ. ქ-ას სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პატიმრობასა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადა – 2022 წლის 21 ნოემბრიდან 2023 წლის 19 ივლისის ჩათვლით;

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. ქ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია;

6. საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

ა-ისგან ამოღებული საფულე, რვა სხვადასხვა ზომის, ფერისა და ფორმის დანა – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

შავი დანა წარწერით – „?-ა“ და გ. ქ-ასგან აღებული ნერწყვის ნიმუში – განადგურდეს.

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge